

KETEVAN KVINIKADZE

ULRICH HAGENLOCH

ანდერძის განმარტება და მისი ფორმალური მოთხოვნები
ქართულ და გერმანულ სამართალში

*Formerfordernisse und Auslegung bei Testamenten im
georgischen und deutschen Recht*



**ანდერძის განმარტება და მისი ფორმალური
მოთხოვნები ქართულ და გერმანულ სამართალში**

**Formerfordernisse und Auslegung bei Testamenten
im georgischen und deutschen Recht**

ქეთევან კვინიკაძე

სამართლის დოქტორი, თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
მონვეული ლექტორი, ადვოკატი

Ketevan Kvinikadze

Doktor der Rechtswissenschaften,
Gastdozentin an der Staatlichen
Universität Tiflis, Rechtsanwältin

ულრიხ ჰაგენლოხი

დრეზდენის უმაღლესი სამხარეო
სასამართლოს ყოფილი
პრეზიდენტი (პენსიონირებული)

Ulrich Hagenloch

Präsident des Oberlandesgerichts
Dresden im Ruhestand

თბილისი 2026



Deutsch-Georgische

ZEITSCHRIFT FÜR RECHTSVERGLEICHUNG

ISSN 2587-5191 (ბეჭდური / print)

ISSN 2667-9817 (ონლაინ / online)

© ქეთევან კვინიკაძე, Ketevan Kvinikadze, 2026

© ულრიხ ჰაგენლოხი, Ulrich Hagenloch, 2026

© შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალის რედაქცია,

Redaktion der Deutsch-Georgischen Zeitschrift für Rechtsvergleichung, 2026

www.lawjournal.ge

სარჩევი:

1. შესავალი.....	7
2. ანდერძის ფორმები.....	8
2.1. საჯაროდ დამოწმებული ანდერძი.....	8
2.2. ხელნაწერი ანდერძი.....	10
3. ერთობლივი ანდერძი, როგორც ანდერძის სპეციალური ფორმა	12
3.1. ძირითადი მახასიათებლები.....	12
3.2. ერთობლივი ანდერძის ფორმები.....	17
4. ხელნაწერი ანდერძის ფორმალური მოთხოვნები.....	21
4.1. ხელნაწერი ტექსტის მოთხოვნა	21
4.2. ხელნაწერი ფორმა	25
4.3. ხელმოწერა, ადგილი და სხვა საკითხები	28
4.3.1. ხელმოწერის დამასრულებელი ფუნქცია	29
4.3.2. მოთხოვნები ხელმოწერის მიმართ	31
4.3.3. დამატებები / შემდგომი ჩანაწერები	32
4.3.4. ადგილი და დრო.....	33
5. ანდერძის განმარტება.....	35
5.1. ზოგადი პრინციპები	35
5.1.1. განმარტების კრიტერიუმები	35
5.1.2. ფორმასავალდებულობის შედეგები.....	37
5.1.3. პრაქტიკული შედეგები.....	38
5.1.3.1. ნამდვილი ნების დადგენა.....	38
5.1.3.2. განსაზღვრულობის არარსებობა	43
5.1.4. შემავსებელი განმარტება.....	47
5.1.5. საანდერძო ნება	50
5.2. საანდერძო თავისუფლების საზღვრები	54
5.3. ცალკეული საკითხები	58
5.3.1. განმარტება / კონვერსია	58
5.3.2. არანამდვილი ერთობლივი ანდერძის კონვერსია	61
5.3.3. მემკვიდრედ დანიშვნა სამკვიდრო ქონების ცალკეულ ნივთებზე .	63
6. დასკვნა	66

Inhalt:

1. Einleitung	67
2. Arten des Testaments	68
2.1. Öffentlich beurkundetes Testament	68
2.2. Eigenhändiges Testament	70
3. Gemeinschaftliches Testament als Sonderform des Testaments	71
3.1. Grundzüge	71
3.2. Gestaltungsformen des gemeinschaftlichen Testaments	75
4. Formerfordernisse beim handschriftlichen Testament	78
4.1. Erfordernis des handschriftlichen Textes	78
4.2. Handschriftliche Form	81
4.3. Unterzeichnung, Ort usw.	84
4.3.1. Abschlusswirkung der Unterschrift	84
4.3.2. Anforderung an Unterschrift	86
4.3.3. Nachträge	87
4.3.4. Ort, Zeit	88
5. Auslegung des Testaments	90
5.1. Allgemeine Grundsätze	90
5.1.1. Auslegungskriterien	90
5.1.2. Folgen der Formbedürftigkeit	92
5.1.3. Praktische Konsequenzen	93
5.1.3.1. Ermittlung des tatsächlichen Willens	93
5.1.3.2. Fehlende Bestimmbarkeit	97
5.1.4. Ergänzende Auslegung	100
5.1.5. Testierwille	103
5.2. Grenzen der Testierfreiheit	106
5.3. Einzelfragen der Auslegung	109
5.3.1. Auslegung / Umdeutung	109
5.3.2. Umdeutung eines unwirksamen gemeinschaftlichen Testaments	112
5.3.3. Erbeinsetzung in einen Nachlassgegenstand	113
6. Schlussfolgerung	116

ანდერძის განმარტება და მისი ფორმალური მოთხოვნები ქართულ და გერმანულ სამართალში

1. შესავალი

ქართული მემკვიდრეობის სამართალი ანდერძის დეფინიციას არ იძლევა, თუმცა ეჭვგარეშეა რომ მისი შედგენა კერძო ავტონომიისა და პირის ნების თავისუფლების ერთ-ერთ უმაღლეს გამოვლინებას წარმოადგენს. ანდერძის მეშვეობით მოანდერძე საკუთარი შეხედულებისამებრ ანაწილებს სამკვიდრო ქონებას და თავისუფლად განსაზღვრავს მემკვიდრეთა წრეს, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს ოჯახური ან ნათესაური კავშირის არმქონე უცხო პირებსაც.

ანდერძი ცალმხრივი არამიღებასავალდებულო ნების გამოვლენაა¹, რომელიც როგორც წესი, მოანდერძის მიერ ნებისმიერ დროს შეიძლება გაუქმდეს. საანდერძო განკარგულების თავისებურება იმაში მდგომარეობს რომ ანდერძით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგების დადგომა მოანდერძის გარდაცვალებას უკავშირდება.² სწორედ ამიტომ, ანდერძთან მიმართებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც ფორმის მკაცრ დაცვას, ისე მოანდერძის ნამდვილი (რეალური) ნების დადგენის საკითხს.

ანდერძის განმარტების საკითხი განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობისაა, რადგან ანდერძში არსებული შესაძლო ბუნდოვანი, არასრული ან ურთიერთსაწინააღმდეგო განკარგულებები საჭიროებენ

1 ანდერძი ნამდვილია მისი შედგენის მომენტიდან, ანუ ნების გამოვლენის მომენტიდან და მნიშვნელობა არ აქვს, მემკვიდრეები მიიღებენ თუ არა ანდერძში გამოხატულ ნებას. იხ. *ჭანტურია*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2017, 295, ველი 2. ბენეფიციარი დაცულია მისთვის არასასურველი სტატუსის თავსმოხვევისგან იმით რომ კანონი მას მემკვიდრეობის მიღებაზე უარის თქმის უფლებას ანიჭებს.

2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2025 წლის 28 მარტის #ას-1393-2014 განჩინება.

განმარტებას და მოანდერძის ნამდვილი ნების დადგენას. ამ პროცესში ხშირად საკმარისი არ არის ანდერძის ტექსტის სიტყვა-სიტყვითი გაგება, არამედ საჭირო ხდება ტექსტს გარეთ არსებული იმ დამატებითი გარემოებების გათვალისწინებაც, რომლებიც მოანდერძის ნების სწორად გაგების შესაძლებლობას იძლევა.

ქართულ სამოქალაქო-სამართლებრივ დოქტრინაში ანდერძის განმარტების საკითხი დღემდე ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად დამუშავებულ სფეროდ რჩება. შესაბამისად, წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს არსებული დოქტრინალური სიცარიელის ნაწილობრივ შევსებას, რაც ხელს შეუწყობს აკადემიური დისკუსიებისა და სასამართლო პრაქტიკის შემდგომ განვითარებას. მოცემული მიზნის მიღწევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება გერმანული სამართლის როლი, რადგან (უმეტესად იდენტური სამართლებრივი მდგომარეობის პირობებში) იგი მოიცავს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და სამეცნიერო ნაშრომების უფრო ფართო სპექტრს.

ძირითად ნაწილში ქართული და გერმანული სამართალი ანდერძის შედგენის, მისი სახეებისა და მასში გამოხატული უკანასკნელი ნების განმარტების საკითხებთან მიმართებით შედარებადია. თუმცა, კონკრეტულ შემთხვევებში, განსაკუთრებით კი ანდერძის ნამდვილობისთვის დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებში, ნაწილობრივ არსებობს განსხვავებები. წინამდებარე ნაშრომი ძირითადად იმ საკითხების მიმოხილვას დაეთმობა, რომლებთან დაკავშირებითაც ქართული და გერმანული სამართალი მსგავს მიდგომებს იჩენს, რის გამოც შესაძლებელი ხდება მათი ურთიერთშედარება და ეროვნული სამართლის განმარტებისთვის დამატებითი სამეცნიერო მითითებების მიღება.

2. ანდერძის ფორმები

2.1. საჯაროდ დამოწმებული ანდერძი

საჯაროდ დამოწმებული ანდერძის ანუ იგივე, საჯარო ანდერძის ქვეშ მოიაზრება ნოტარიალურად დამოწმებული ანდერძი (გერმანიის სამოქალაქო კოდექსი - (შემდგომში - „ბგბ“), § 2232). ასეთი ანდერძი ანდერძის დამტოვებლის პირადი განცხადების საფუძველზე ნოტარიუსის წინაშე დგება.³ ნოტარიული ანდერძი რეგისტრირდება გერმანიის ნოტარიუსთა

3 დეტალური რეგულაციები დადგენილია სანოტარო დამოწმების შესახებ კანონით, <<https://www.gesetze-im-internet.de/beurkg/>> [29/06/2026].

ფედერალური პალატის ცენტრალურ ანდერძთა რეესტრში⁴ და ინახება იმ რაიონულ სასამართლოში, რომელიც სამემკვიდრეო დავებს განიხილავს (*Nachlassgericht*).

საჯარო ანდერძის შედგენა უნდა გაიმიჯნოს ბგბ-ს § 2248 პარაგრაფისა და FamFG-ის⁵ §§ 344, 346, 347 პარაგრაფებით მონესრიგებული ხელნაწერი ანდერძის ოფიციალური შენახვისგან. ხელნაწერი ანდერძის ოფიციალური შენახვის მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ ანდერძი არ დაიკარგოს და არ მოხდეს მისი მესამე პირის მიერ (მათ შორის, განსაკუთრებით მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ) დამალვა, განადგურება ან შინაარსის შეცვლა.⁶ თუმცა, მხოლოდ ოფიციალური შენახვისთვის გადაცემა ხელნაწერ ანდერძს საჯარო ანდერძად არ აქცევს.

ნოტარიულად დამოწმებული ანდერძის ფორმას ქართული სამართალიც იცნობს, თუმცა ტერმინოლოგიურად მას საჯარო ანდერძად არ მოიხსენიებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში - „სკ“) 1357 I 2 მუხლის მიხედვით, ანდერძი შესაძლებელია შედგეს როგორც სანოტარო ფორმით, ისე მის გარეშე. სანოტარო ფორმა მოითხოვს რომ ანდერძი შედგენილ იქნეს თავად მოანდერძის მიერ, თუმცა დასაშვებია, რომ ანდერძი მოანდერძის სიტყვებით ჩაიწეროს ნოტარიუსმა ორი მოწმის თანდასწრებით. ასეთ დროს საჭიროა, რომ მოანდერძის სიტყვებით ნოტარიუსის მიერ ჩაწერილი ანდერძი წაიკითხოს თავად მოანდერძემ და ნოტარიუსისა და მოწმის თანდასწრებით მოაწეროს ხელი (სკ, მ.1358). თუ მოანდერძე რაიმე მიზეზით თვითონ ვერ მოაწერს ანდერძს ხელს, მაშინ შესაძლებელია რომ ანდერძზე ხელი მისი თხოვნით სხვა პირმა მოაწეროს. ანდერძში სავალდებულოა რომ აღინიშნოს ის მიზეზი, რის გამოც მოანდერძემ თავად ვერ შეძლო ანდერძზე ხელის მოწერა (სკ, მ.1360).

საქართველოსგან განსხვავებით, გერმანული სამართალი (გადაუდებელი (საგანგებო) ანდერძის გამოკლებით) არ იცნობს ნოტარიუსთან გათანაბრებული პირების მიერ ანდერძის დამოწმების ფორმას (სკ, მ.1359). ქართული სამართლის მიხედვით, განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, რაც სახელდებითაა კანონში ჩამოთვლილი, შე-

4 შდრ. ანდერძთა ცენტრალური რეესტრის შექმნისა და წარმოების შესახებ დადგენილება, <<https://www.gesetze-im-internet.de/ztrv/>> [27/05/2026].

5 „კანონი საოჯახო საქმეებსა და ნებაყოფლობითი იურისდიქციის საკითხებში სასამართლო წარმოების შესახებ“, <<https://www.gesetze-im-internet.de/famfg/>> [29/06/2026].

6 S. Kappler/T. Kappler in: Erman, BGB, 17. Auflage, 9/2023, § 2248 BGB, Rn. 1.

საძლებელია რომ ანდერძი დადასტურდეს არანოტარიუსი პირის მიერაც, რომელიც ანდერძის დამონმების მიზნებისთვის, ფუნქციურად ნოტარიუსთან გათანაბრებულად ითვლება.⁷ კანონი ამომწურავად განსაზღვრავს ნოტარიუსთან გათანაბრებული პირების ჩამონათვალს და იმ გარემოებებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც ანდერძის დადასტურება არანოტარიუსი პირის მიერ ნამდვილად არის მიჩნეული. შესაბამისად, ნორმა იმპერატიული სახისაა და მისი შევსება სხვა საგამონაკლისო შემთხვევებითა თუ ნოტარიუსთან გათანაბრებული პირების ჩამონათვალით, დაუშვებელია. ამასთან, აღნიშნული პირები ნოტარიუსთან გათანაბრებულნი მხოლოდ ანდერძის დადასტურების ნაწილში არიან და არა სხვა სანოტარო მოქმედებათა შესრულებისას.⁸

2.2. ხელნაწერი ანდერძი

საჯარო ანდერძის გარდა, გერმანული სამართალი (გადაუდებელი (საგანგებო) ანდერძის გამოკლებით) იცნობს მხოლოდ ხელნაწერ ანდერძს (ბგზ § 2247). იგი სრულად ხელით უნდა იყოს დაწერილი ანდერძის დამტოვებლის მიერ და მის მიერვე ხელმოწერილი. ხელნაწერი ანდერძი შეიძლება (თუმცა, სავალდებულო არ არის) შესანახად გადაეცეს იმ რაიონულ სასამართლოს, რომელიც სამემკვიდრეო დავებს განიხილავს. ქართული სამართლისგან განსხვავებით (სკ, მ.1366), გერმანიაში დაუშვებელია ხელნაწერი ანდერძის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით შედგენა. მართალია, ქართული სამართალი დასაშვებად მიიჩნევს ხელნა-

7 ასეთ პირებს წარმოადგენენ: ა) საავადმყოფოს, ჰოსპიტლის, სხვა სამკურნალო დაწესებულების ან სანატორიუმის მთავარი ექიმი, უფროსი, სამედიცინო ნაწილში მათი მოადგილეები და მორიგე ექიმი, აგრეთვე ხანდაზმულთა ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალიზებული დაწესებულების დირექტორი ან მთავარი ექიმი, თუ მოანდერძე რომელიმე ამ დაწესებულებაში მკურნალობს ან ცხოვრობს; ბ) საძიებო, გეოგრაფიული და სხვა მსგავსი ექსპედიციის უფროსი, თუ მოანდერძე ასეთ ექსპედიციაში იმყოფება; გ) გემის კაპიტანი ან საჰაერო ხომალდის მეთაური, თუ მოანდერძე გემზე ან საჰაერო ხომალდზე იმყოფება; დ) სამხედრო ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სასწავლებლის მეთაური (უფროსი), თუ სამხედრო ნაწილების დისლოკაციის პუნქტში ნოტარიუსი არ არის და თუ მოანდერძე სამხედრო მოსამსახურე ან სამხედრო ნაწილში მომსახურე სამოქალაქო პირი ან მათი ოჯახის წევრია; ე) პენიტენციური დაწესებულების დირექტორი, თუ მოანდერძე პენიტენციურ დაწესებულებაშია მოთავსებული.

8 ახელედიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, რედ. (ჭანტურია), მ.1359, 415.

წერი ანდერძის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით შედგენას, თუმცა, ასეთ შემთხვევაში ანდერძის ნამდვილობისთვის მოითხოვს რომ ანდერძი შედგენილ იქნეს ორი მოწმის თანდასწრებით, რომლებიც დაადასტურებენ რომ ანდერძი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, მათი თანდასწრებით იყო შედგენილი. დაუშვებელია, რომ ჯერ მოანდერძემ დაბეჭდოს ანდერძის ტექსტი და შემდგომ წარუდგინოს ის მოწმეებს ხელმოსაწერად.⁹

ხელნაწერი ანდერძი ქართულ სამართალში შინაურულ ანდერძად მოიხსენიება (სკ, მ.1364). ასეთი ანდერძი სრული იურიდიული ძალის მქონეა მიუხედავად იმისა, რომ ის არ არის ნოტარიულად დამოწმებული ან არ ინახება ნოტარიუსთან.¹⁰ თუმცა, მოანდერძეს შეუძლია თავისი ხელით დაწერილი ანდერძი დალუქული კონვერტით შესანახად გადასცეს ნოტარიუსს (ან სხვა შესაბამის თანამდებობის პირს) სამი მოწმის თანდასწრებით, რაც დასტურდება კონვერტზე ხელის მოწერით (სკ, მ.1365).

როგორც წესი, მოწმეთა როლი შემოიფარგლება მოანდერძის მიერ ანდერძის პირადად შედგენის ფაქტის დადასტურებით და არა ანდერძის შინაარსის გარკვევით.¹¹ ასეთი ტიპის ანდერძს დახურული ანდერძი ეწოდება (სკ, მ.1367), რა დროსაც მოწმეები ანდერძს ადასტურებენ ისე რომ არ ეცნობიან მათ შინაარსს, ანუ ისინი მხოლოდ იმას უთითებენ, რომ ანდერძი შედგენილ იქნა პირადად მოანდერძის მიერ. ასეთ შემთხვევაში, სავალდებულოა რომ მოწმეები ესწრებოდნენ ანდერძის შედგენას და დადასტურებისას მიუთითონ რომ ანდერძი მოანდერძის მიერ მათი თანდასწრებით იქნა შედგენილი, თუმცა ისინი მათ შინაარსს არ გასცნობიან. ზოგადად, გაცნობიან თუ არა მოწმეები ანდერძის შინაარსს, ეს მთლიანად მოანდერძის ნებაზეა დამოკიდებული.¹²

9 იქვე, მ.1366, 421.

10 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის #ას-1563-1563-2011 განჩინება.

11 ახვლედიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, რედ. (ჭანტურია), მ.1367, 422.

12 იქვე.

3. ერთობლივი ანდერძი, როგორც ანდერძის სპეციალური ფორმა

3.1. ძირითადი მახასიათებლები

ანდერძი, როგორც წესი, ერთი მამკვიდრებლის განკარგულებას უნდა შეიცავდეს. ორი ან მეტი პირის მიერ ერთობლივად ანდერძის შედგენა, როგორც წესი, არ დაიშვება. ამ წესიდან გამონაკლისი არის მეუღლეთა ერთობლივი ანდერძი (ბგბ § 2265 / სკ, მ.1347).

ბგბ-ს § 2265 პარაგრაფის მიხედვით, ერთობლივი ანდერძი ერთი დოკუმენტის სახით შეიძლება შედგენილ იქნეს მხოლოდ მეუღლეების მიერ. ამასთან, დასაშვებია როგორც სანოტარო, ისე ხელნაწერი ფორმაც. ერთობლივი ანდერძის ხელნაწერი ფორმით შედგენისას საკმარისია რომ ტექსტი სრულად ერთ-ერთი მეუღლის ხელით იყოს დაწერილი და ხელმოწერილი ორივე მეუღლის მიერ (ბგბ, § 2267).

ეს საკანონმდებლო რეგულაცია ეხება მხოლოდ ანდერძის შედგენის პრივილეგირებულ ფორმას. იგი არ ნიშნავს იმას, რომ ერთობლივი ანდერძის შესახებ ნორმები მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როცა მეუღლეები ერთიანი ანდერძის დოკუმენტს ადგენენ. ერთობლივი ანდერძის არსებობისთვის გადამწყვეტია არა ფორმა, არამედ ის, არსებობს თუ არა ანდერძით განსაზღვრულ განკარგვებს შორის ე.წ. შედგენის ერთიანი კონტექსტი, ანუ ის გარემოება - დააფიქსირეს თუ არა მეუღლეებმა თავიანთი საბოლოო ნება ერთიან, ურთიერთდაკავშირებულ ჩარჩოში.¹³ ასეთი ერთიანი კონტექსტი, როგორც წესი, სახეზეა მაშინ, როცა მეუღლეები ბგბ-ს § 2267 პარაგრაფით გათვალისწინებული ფორმით ერთიანი ანდერძის დოკუმენტს ადგენენ. თუმცა, თუ ისინი თავიანთ ნებას ცალკეულ დოკუმენტებში აფიქსირებენ, ეს თავისთავად არ გამორიცხავს ერთობლივი ანდერძის არსებობას. ამისთვის აუცილებელია, რომ ცალკე დოკუმენტების არსებობის მიუხედავად, მაინც დგინდებოდეს შედგენის ერთიანი კონტექსტი და ეს შესაბამის ტექსტებში (იგულისხმება თითოეული მეუღლის მიერ შედგენილ დამოუკიდებელ ანდერძის ტექსტში) მიმანიშნებლად მაინც იყოს გამოხატული. აქედან გამომდინარეობს, რომ მეუღლეები თავისუფალნი არიან არჩევანში - თავიანთი ბოლო ნება დააფიქსირონ ორი სამართლებრივად დამოუკიდებელი ანდერძით ან ერთობლივი

13 Staudinger/Raff (2022) Vorbemerkungen zu §§ 2265 ff, Rn. 17 ff.; S. Kappler/T. Kappler in: Erman, BGB, 17. Auflage, 9/2023, Vorbemerkung vor § 2265, Rn. 2; Reymann in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 2265 BGB (01.07.2023 მდგომარეობით), Rn 8.

ანდერძით. ისინი არ არიან ვალდებულნი, თავიანთ ანდერძისმიერ განკარგვებს შორის ერთიანი ურთიერთკავშირი შექმნან.¹⁴ გარდა აღნიშნული ფორმის პრივილეგიისა (ბგბ, § 2267), ერთობლივი ანდერძის შედგენას ასევე აქვს ის უპირატესობა, რომ მეუღლეებს შეუძლიათ შეიმუშაონ ორივე მათგანის გარდაცვალების შემთხვევისთვის შეთანხმებული საერთო კონცეფცია¹⁵ და ანდერძი გადასცენ ოფიციალური შენახვისთვის ისე რომ გამოირიცხოს მისი ცალმხრივი გამოთხოვა (ბგბ, § 2272).

ერთობლივი ანდერძის შედგენის შესაძლებლობა ქართულ სამართალშიც არსებობს, თუმცა გერმანული დეტალური მონესრიგებისგან განსხვავებით, სკ-ში მას მხოლოდ ერთი მუხლი ეთმობა, რომლის მიხედვითაც მეუღლეებს შეუძლიათ შეადგინონ ერთობლივი ანდერძი ურთიერთმემკვიდრეობის შესახებ, რომელიც შეიძლება გაუქმდეს ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნით, მაგრამ - ჯერ კიდევ ორივე მეუღლის სიცოცხლეში (სკ, მ.1347).

აღსანიშნავია, რომ მეუღლეთა ერთობლივი ანდერძი, ქართული იურიდიული მეცნიერების, როგორც ჩანს, ერთსულოვანი შეხედულების მიხედვით, შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ მეუღლეთა ურთიერთმემკვიდრეობას (ანუ ერთმანეთის შემდეგ მემკვიდრეობას) და არ შეიძლება მოიცავდეს მეუღლეების გარდა სხვა პირებს.¹⁶ შესაბამისად, გერმანულ სამართალში განვითარებული ერთობლივი ანდერძის ფორმები ქართული სამართლებრივი პრაქტიკისათვის უცხოა. არის თუ არა ეს გაგება ნორმის ტექსტიდან აუცილებლობით გამომდინარე, თუ, პირიქით, ნორმის მიზანი - კერძოდ, მეუღლეებისთვის მემკვიდრეობის საკითხების ერთობლივად შეთანხმებული მონესრიგების შესაძლებლობის მინიჭება - სხვა ინტერპრეტაციის საფუძველს ქმნის, ამ ნაშრომის ფარგლებში არ იქნება განხილული. ცხადია, ნაკლებად ვიწრო ინტერპრეტაციის შემთხვევაშიც ძალაში უნდა დარჩეს პრინციპი, რომ ერთობლივ ანდერძში უკანასკნელი ნების განკარგულებების ავტორები მხოლოდ მეუღლეები (და არა მათი შთამომავლები) შეიძლება იყვნენ. თუმცა, ასეთ შემთხვევაში მეუღლეებს

14 ამ საკითხის ცალკეულ, ნაწილობრივ სადავო საკითხებთან დაკავშირებით შდრ. S. Kappler/T. Kappler in: Erman, BGB, 17. Auflage, 9/2023, Vorbemerkung vor § 2265, Rn. 2; Reymann in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 2265 BGB (01.07.2023 მდგომარეობით), Rn. 9: Staudinger/Raff (2022) Vorbemerkungen zu §§ 2265 ff, Rn. 17 ff.

15 Reymann in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 2265 BGB (01.07.2023 მდგომარეობით), Rn. 6.

16 ამასთან დაკავშირებით იხ. ახვლედიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, რედ. (ჭანტურია), მ.1347, 403.

უნდა შეეძლოთ, თავიანთი საანდერძო განკარგულებების ბენეფიციარებად მესამე პირებიც, მაგალითად, საკუთარი შთამომავლები დაასახელონ.¹⁷

გერმანიისგან განსხვავებით, ქართული სამოქალაქო კოდექსი შესაძლებლობას ანიჭებს ერთ-ერთ მეუღლეს, ცალმხრივად გააუქმოს ერთობლივი ანდერძი, რისთვისაც საჭიროა მხოლოდ ის, რომ მეორე მეუღლე ჯერ კიდევ ცოცხალი იყოს. სკ-ს 1347-ე მუხლით გათვალისწინებული ეს დანაწესი უნდა გავიგოთ როგორც იმპერატიული, რაც გამორიცხავს მეუღლეთა წინასწარი შეთანხმების ნამდვილობას ერთობლივი ანდერძის ცალმხრივი გაუქმების გამორიცხვაზე. თუმცა, საქართველოს სამართლებრივ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში ჯერჯერობით არ არის განხილული საკითხი იმის შესახებ, საერთოდ უნდა იყოს თუ არა გამორიცხული რომელიმე მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში, მეორე მეუღლის მიერ ერთობლივ ანდერძში მოცემული ნებისმიერი საანდერძო განკარგულების გაუქმება (რასაც სკ-ს 1347-ე მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტება ამყარებს), თუ ნორმის მიზანი მოითხოვს უფრო შეზღუდულ განმარტებას, რომლის მიხედვითაც დაუშვებელი იქნება

17 მეუღლეთა ერთობლივი ანდერძის ინსტიტუტის განვითარება და ფორმირება ქართულ სამართალში სრულად არ შეესაბამება გერმანულ მონესრიგებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს ინსტიტუტი გერმანიის სამოქალაქო კოდექსიდან იქნა გადმოტანილი. შესაძლოა, რაც დღეს უკვე დაზუსტებით ვეღარ დადგინდება, ამის მიზეზი იყოს ის, რომ თარგმნის პროცესში ტერმინი „wechselbezüglich“ (რომელიც თვით გერმანულ ენაშიც უჩვეულო ცნებაა) თავისი სამართლებრივი შინაარსით სრულად ვერ იქნა აღქმული და ამიტომ (ლინგვისტური თვალსაზრისით დასაშვებად, თუმცა იურიდიული თვალსაზრისით არაზუსტად) ტერმინ „gegenseitig“-ის შინაარსით („ურთიერთ“) იქნა გაგებული. ყოველ შემთხვევაში, საკანონმდებლო პროცესის შედეგად სკ-ს 1347-ე მუხლმა ისეთი ფორმულირება მიიღო, რომელიც მეუღლეებს, ნორმის მკაცრად სიტყვასიტყვითი განმარტების შემთხვევაში, არ აძლევს შესაძლებლობას ერთობლივ ანდერძში ჩამოაყალიბონ ურთიერთშეთანხმებული, ერთიანი სამემკვიდრეო კონცეფცია, განსაკუთრებით კი საკუთარი შთამომავლების ჩართვით. თუმცა, სწორედ ასეთი კოორდინირებული სამემკვიდრეო დაგეგმვის შესაძლებლობა წარმოადგენს ერთობლივი ანდერძის უმთავრეს დანიშნულებას. უნდა ითქვას, რომ წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში არ იქნება განხილული საკითხი იმასთან დაკავშირებით, იძლევა თუ არა ქართული სამართალი შესაძლებლობას, სკ-ს 1347-ე მუხლი, მიუხედავად მასში გამოყენებული ტერმინისა „ურთიერთ“, ნორმის მიზნის შესაბამისად იმგვარად იქნეს განმარტებული, რომ ერთობლივ ანდერძში დასაშვებად ჩაითვალოს მხოლოდ ურთიერთდამოკიდებული („wechselbezüglich“) განკარგულებების გაკეთება, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი განმარტება გამოიწვევდა როგორც უფრო გონივრულ და პრაქტიკაში გამოსადეგ საკანონმდებლო რეგულაციას, ისე ერთობლივი ანდერძის ინსტიტუტის მნიშვნელოვნად უფრო ფართო გავრცელებას.

მხოლოდ იმ საანდერძო განკარგულებების გაუქმება, რომლებიც მეუღლეთა საერთო განზრახული კონცეფციის ნაწილს წარმოადგენს, ანუ გერმანული სამართლის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, იმ საანდერძო განკარგულებების, რომლებიც ურთიერთდამოკიდებულ (*wechselbezüglich*) განკარგულებებს წარმოადგენენ.

გერმანულ სამართალში ერთობლივ ანდერძში მოცემული განკარგულების გაუქმებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციები საკმაოდ მრავალშრიანია. ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რასთან გვაქვს საქმე - ე.წ. ურთიერთდაკავშირებული თუ სხვა სახის განკარგვის გაუქმებასთან. ბგ-ს § 2270 პარაგრაფის მიხედვით¹⁸, ეს დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა ერთი მეუღლის საანდერძო განკარგულება მეორე მეუღლის საანდერძო განკარგულებასთან ერთგვარ „დამოკიდებულებით ურთიერთობაში“¹⁹. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმოადგენდა თუ არა ასეთი განკარგვა მეუღლეთა ნების შესაბამისად შეთანხმებულ საერთო კონცეფციის ნაწილს და უნდა „არსებულიყო თუ დაეკარგა ძალა“²⁰ მეორე მეუღლის ანდერძისმიერ განკარგვასთან ერთად. ანდერძის გაუქმების უფლების ამგვარი საკანონმდებლო შეზღუდვების მიზანია იმ მეუღლის ნდობის დაცვა, რომელიც ეყრდნობა იმ რწმენას, რომ ასეთი საერთო გეგმა მეორე მეუღლის ცალმხრივი ცვლილებით არ დაირღვევა.

ამ მიზნიდან გამომდინარეობს ისიც, რომ ერთობლივი ანდერძის ვალდებულო ეფექტი ვერ გავრცელდება ისეთ ანდერძისმიერ განკარ-

18 ბგ, § 2270. ურთიერთდაკავშირებული განკარგვები

(1) თუ მეუღლეებმა ერთობლივ ანდერძში განახორციელეს განკარგვები, რომელთა მიმართაც სავარაუდოა, რომ ერთ-ერთი მეუღლის განკარგვა არ განხორციელდებოდა მეორე მეუღლის განკარგვის გარეშე, მაშინ ერთი განკარგვის ბათილობა ან გაუქმება შედეგად იწვევს მეორე განკარგვის სამართლებრივი ძალის არქონას.

(2) საეჭვოობისას განკარგვების ასეთი ურთიერთკავშირი ივარაუდება, თუ მეუღლეები ერთმანეთს უანდერძებენ ქონებას ან თუ ერთ-ერთი მეუღლე მეორე მეუღლის მიმართ ახორციელებს ქონების გადაცემას და ქონების მიმღების ცოცხლად დარჩენის შემთხვევაში ხორციელდება განკარგვა იმ პირის სასარგებლოდ, ვინც ენათესავება მეუღლეს ან ამ უკანასკნელთან აქვს ახლო ურთიერთობა.

(3) სხვაგვარი განკარგვების მიმართ, გარდა მემკვიდრის დანიშვნის, საანდერძო დანაკისრისა თუ ვალდებულების დაკისრებისა, 1-ლი ნაწილის ნორმა არ გამოიყენება.

19 ფორმულირება მოყვანილია: *Staudinger/Raff* (2022) BGB § 2270, Rn. 7.

20 ფორმულირება მოყვანილია: *S. Kappler/T. Kappler in: Erman, BGB, 17. Auflage, 9/2023, § 2270 BGB, Rn. 2.*

გვებზე, რომლებიც მართალია ანდერძის ტექსტშია ასახული, მაგრამ შინაარსობრივად არ წარმოადგენს მეუღლეთა მიერ ნაგულისხმევი შინაგანი კავშირის ნაწილს. ასეთი „სხვა“ განკარგვები სამართლებრივად დამოუკიდებელ ხასიათს ინარჩუნებენ და საერთო სამართლებრივ ბედს არ იზიარებენ.

აღნიშნული საკითხები უფრო დეტალურად მონესრიგებულია ბგბ-ს § 2271 პარაგრაფში²¹. აღნიშნული ნორმის მიხედვით, თითოეულ მეუღლეს მეორე მეუღლის სიცოცხლეში ურთიერთდაკავშირებული განკარგვის გაუქმება, როგორც წესი, შეუძლია, თუმცა, ამისათვის დაცული უნდა იყოს სამემკვიდრეო ხელშეკრულებიდან გასვლისათვის დადგენილი ფორმალური მოთხოვნები, ანუ გაუქმება უნდა განხორციელდეს მეორე მეუღლის მიმართ გაკეთებული ნოტარიულად დამოწმებული განცხადების გზით. ანდერძის გაუქმების შესახებ ზოგადი წესები ასეთი ურთიერთდაკავშირებული განკარგვის გაუქმებაზე არ ვრცელდება. პირველი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ საკუთარი ურთიერთდაკავშირებული განკარგვის დამოუკიდებლად გაუქმება უკვე გამორიცხულია. თუმცა, ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს შეუძლია სავალდებულო ეფექტისგან გათავისუფლდეს მისთვის მიკუთვნებული ქონებრივი სიკეთის მიღებაზე უარის თქმით.²²

თუ ურთიერთდაკავშირებული განკარგვა ეფექტიანად გაუქმდა, ბგბ-ს § 2270 პარაგრაფის შესაბამისად, ეს ავტომატურად იწვევს მეორე მეუღლის შესაბამისი ურთიერთდაკავშირებული განკარგვის გაუქმებასაც.

21 ბგბ, § 2271. ურთიერთდაკავშირებული განკარგვების გაუქმება

(1) იმ განკარგვის გაუქმება, რომელიც §2270 თანახმად დაკავშირებულია მეორე მეუღლის განკარგვასთან, ხორციელდება მეუღლეთა სიცოცხლის განმავლობაში მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულებაზე უარის მიმართ მოქმედი §2296 ნორმის შესაბამისად. მეუღლეს მეორე მეუღლის სიცოცხლის განმავლობაში არ შეუძლია თავისი განკარგვის ახალი საანდერძო განკარგულების ცალმხრივად გაუქმება.

(2) გაუქმების უფლება უქმდება მეორე მეუღლის გარდაცვალებისთანავე; თუმცა, ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს შეუძლია თავისი განკარგვის გაუქმება, თუ იგი უარს განაცხადებს მისთვის გადაცემულ ქონებაზე. გადაცემული ქონების მიღების შემდეგაც ცოცხლად დარჩენილი მეუღლე უფლებამოსილია განკარგვების გაუქმებაზე §2294 და §2336 შესაბამისად.

22 შდრ. BGH, Beschluss vom 26. März 2025 - IV ZB 15/24 - NJW 2025, 2151, Rn. 15. შენიშვნა: სასამართლო გადაწყვეტილებების ციტირებისას მითითებული პუნქტების ნომრები (Rn.) ეფუძნება შესაბამის ოფიციალურ გამოცემაში (www.juris.de) გამოქვეყნებულ ტექსტებს.

რაც შეეხება სხვა (არაურთიერთდაკავშირებულ) განკარგვებს, ისინი სამემკვიდრეო სამართლის ზოგადი წესების საფუძველზე ნებისმიერ დროს თავისუფლად გაუქმებადია.

თუ ერთობლივი ანდერძი არ აკმაყოფილებს მის მიმართ დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, მაგალითად, იმის გამო, რომ მეორე მეუღლეს ხელი არ აქვს მოწერილი, მაშინ შესაძლებელია მისი გარდაქმნა იმ მეუღლის ინდივიდუალურ ანდერძად, რომელმაც ხელნაწერი ტექსტი შეადგინა. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა ერთ-ერთი მეუღლე ანდერძუნარიანი არ არის ან როდესაც არარეგისტრირებულ პარტნიორთა მიერ არის შედგენილი ერთობლივი ანდერძი.

3.2. ერთობლივი ანდერძის ფორმები

ერთობლივ ანდერძში არსებობს სამი ძირითადი კონცეფცია, რომლის მეშვეობითაც მეუღლეებს შეუძლიათ კანონით დადგენილი სამემკვიდრეო წესრიგის შეცვლა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჰყავთ შთამომავლები. ამ კონცეფციების მიზანი, როგორც წესი, არის ცოცხლად დარჩენილი მეუღლის ეკონომიკური უზრუნველყოფა იმ გზით, რომ მას შეუნარჩუნდეს წვდომა მთლიან საოჯახო ქონებაზე და თავიდან იქნეს აცილებული ხშირად არასასურველად მიჩნეული სამემკვიდრეო თანამესაკუთრეობის (*Erbengemeinschaft*) წარმოშობა შთამომავლების ან მათი მემკვიდრეების მონაწილეობით. ე.წ. სამემკვიდრეო თანამესაკუთრება წარმოიშობა მაშინ, როცა სამკვიდრო ქონება ერთდროულად ეკუთვნის მამკვიდრებლის ცოცხლად დარჩენილ მეუღლესა და შვილებს (ან ზოგჯერ მათი გარდაცვალების შემთხვევაში - შვილიშვილებს). პრაქტიკაში ეს შეიძლება პრობლემური აღმოჩნდეს, რადგან ცოცხლად დარჩენილი მეუღლე ამ გზით მართალია გარდაცვლილი მეუღლის ქონებაში ღირებულებითი თვალსაზრისით შესაბამის წილს იძენს, მაგრამ სამემკვიდრეო თანამესაკუთრეობის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, იზღუდება შესაძლებლობა - თავისუფლად განკარგოს ქონება. ამასთან, ასეთი სამემკვიდრეო თანამესაკუთრეობის წარმოშობამ შესაძლოა გამოიწვიოს ისიც, რომ სამკვიდროში თანამონაწილეებად იქცნენ ისეთი თანამემკვიდრეები, რომელთა ჩართულობასაც ცოცხლად დარჩენილი მეუღლე ხელისშემშლელად აღიქვამს. ასეთი მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად შემუშავდა ერთობლივი სამემკვიდრეო დაგეგმარების სამი მოდელი.

პირველი მოდელი არის ე.წ. „განცალკევების მოდელი“ (*Trennungslösung*), რომლის მიხედვითაც თითოეული მეუღლე თავისი გარდაცვალების შემთხვევისთვის მეორე მეუღლეს ნიშნავს ე.წ. ვალდებულებებისგან გათავისუფლებულ წინასწარ მემკვიდრედ (*befreiter Vorerbe*)²³, ხოლო მესამე პირს, ხშირად შთამომავლებს - შემდგომ მემკვიდრეებად (*Nacherbe*). ამავე დროს, თითოეული მეუღლე საკუთარი გარდაცვალების შემთხვევისთვის მესამე პირს საკუთარ საბოლოო მემკვიდრედ განსაზღვრავს. ამ კონცეფციის მიხედვით, ორივე ქონებრივი მასა პირველი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ერთმანეთისგან განცალკევებული რჩება.

ამ მოდელის მთავარი იდეაა რომ მეუღლეების ქონება საბოლოოდ ერთმანეთში არ აირიოს და თითოეული მეუღლის ქონებრივი ხაზი დამოუკიდებლად შენარჩუნდეს. მაგალითად, ერთობლივი ანდერძის დროს ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში, მეორე მეუღლე ხდება გარდაცვლილი მეუღლის ე.წ. ვალდებულებებისგან გათავისუფლებული წინასწარი მემკვიდრე, ხოლო მათი საერთო შვილი კი - შემდგომი მემკვიდრე. ანუ, წინასწარი მემკვიდრე არის პირი, რომელიც მემკვიდრეობას იღებს დროებით, იმ პირობით რომ ეს ქონება საბოლოოდ აუცილებლად გადაეცემა შემდგომ მემკვიდრეს. ასეთ დროს, ცოცხლად დარჩენილი მეუღლე მთლიანი სამკვიდრო მასის ერთგვარ დროებით მფლობელად გვევლინება, შვილი კი საბოლოო მემკვიდრეა. მოცემული მოდელის მიხედვით, სამკვიდრო ქონება არ ერთიანდება ერთ სამკვიდრო მასად, არამედ შვილი ორივე მშობლის ქონებას მემკვიდრეობის დამოუკიდებელი ხაზით იღებს - მამის ქონებას შემდგომი მემკვიდრეობის გზით (როცა მეორე მშობელიც გარდაიცვლება), ხოლო დედის ქონებას კი - პირდაპირი ხაზით. ამ მოდელით შესაძლებელი ხდება იმ რისკის თავიდან არიდება, რაც დაკავშირებულია ცოცხლად დარჩენილი მეუღლის მიერ მთლიან-

23 ბგბ-ს § 2136 პარაგრაფის მიხედვით, ე.წ. ვალდებულებებისგან გათავისუფლებული წინასწარი მემკვიდრე გათავისუფლებულია იმ განკარგვითი შეზღუდვების უმეტესობისგან, რომლებიც ჩვეულებრივ წინასწარ მემკვიდრეს ეკისრება ხოლმე (ბგბ, §§ 2113-2115). განკარგვითი შეზღუდვების არსებობა აიხსნება იმით, რომ ის ვალდებულია ქონება შეინარჩუნოს შემდგომი მემკვიდრეებისთვის. თუმცა, მას გარკვეული მოცულობით უფლება აქვს განკარგოს სამკვიდრო ქონება, გამოიყენოს იგი ან მოიხმაროს, მაგრამ ასეთი განკარგვა არ უნდა გასცდეს იმ ნაჩუქრობებს, რომლებიც გაკეთდა ზრდილობისთვის ან შეესაბამება მორალურ ვალდებულებებს და საზოგადოდ ჩვეულებრივ მიღებულია.

ნი ქონების „განიავებასთან“ და უზრუნველყოფილია საბოლოო მემკვიდრეების (ხშირ შემთხვევაში, შვილების) დაცვა იმ საფრთხისგან რომ მათ მემკვიდრეობით არაფერი ერგოთ.

მეორე მოდელია ე.წ. „ერთიანობის მოდელი“ (*Einheitslösung*), რომლის ფარგლებშიც მეუღლეები ერთმანეთს სრულ მემკვიდრეებად (*Vollerben*) ნიშნავენ, ხოლო მესამე პირს - უმეტესად შთამომავლებს - კი საბოლოო მემკვიდრეებად²⁴ (*Schlusserben*). ამ მოდელის მიხედვით, პირველი გარდაცვლილი მეუღლის მთელი ქონება სრულად გადადის ცოცხლად დარჩენილ მეუღლეზე. შედეგად, ცოცხლად დარჩენილი მეუღლის ხელში ყალიბდება სამართლებრივად ერთიანი („შერწყმული“) ქონებრივი მასა, რომელიც შედგება როგორც მემკვიდრეობით მიღებული, ისე მისი საკუთარი ქონებისგან და რომელიც საბოლოოდ ერთობლივ ანდერძში განსაზღვრულ მესამე პირზე გადადის.

მესამე მოდელია ე.წ. „უზუფრუქტის მოდელი“ (*Nießbrauchslösung*), რომლის დროსაც თითოეული მეუღლე მესამე პირს, მაგალითად შთამომავლებს, საკუთარ სრულ მემკვიდრეებად ნიშნავს, ცოცხლად დარჩენილი მეუღლის ეკონომიკური უზრუნველყოფა კი ხორციელდება მის სასარგებლოდ დადგენილი სიცოცხლის ბოლომდე მოქმედი უზუფრუქტის უფლებით, რომელიც შეიძლება გავრცელდეს მთელ სამემკვიდრეო ქონებაზე ან მის ნაწილზე. აღნიშნული მოდელი განსაკუთრებით მიზანშეწონილია მაშინ,²⁵ როცა საქმე ეხება მნიშვნელოვან აქტივებს ან/და საწარმოს, რომლის მართვის გადაცემა შთამომავლებისთვის იგეგმება. პრაქტიკაში ეს ფორმა შედარებით იშვიათად გამოიყენება.

იმ მეუღლეებს შორის, რომლებსაც ჰყავთ შთამომავლები, გერმანიაში განსაკუთრებით გავრცელებულია ერთიანობის მოდელი ე.წ. „ბერლინის ანდერძის“ (*„Berliner Testament“*) ფორმით. ამ შემთხვევაში მეუღლეები

24 გერმანულ სამართალში საბოლოო მემკვიდრედ იწოდება პირი, რომელიც მთელ ქონებას იღებს მას შემდეგ, რაც ქორწინების ან რეგისტრირებული პარტნიორობის ორივე მონაწილე გარდაიცვლება. თუმცა ეს არ წარმოადგენს მემკვიდრეობითი სამართლის რაიმე სპეციალურ კანონით დადგენილ ფორმას, არამედ არის მხოლოდ მემკვიდრედ დანიშნის იმ განსაკუთრებული სახის ტერმინოლოგიური აღნიშვნა, რომელიც ერთობლივ ანდერძში შთამომავლების სასარგებლოდ ხდება. პრაქტიკაში საბოლოო მემკვიდრეები უმეტესად მეუღლეთა შვილები არიან, მაშინ როცა მეუღლეებმა ურთიერთდამოკიდებული განკარგულებით ერთმანეთი ერთადერთ მემკვიდრეებად დანიშნეს.

25 გერმანიაში ასევე საგადასახადო-სამართლებრივი მიზეზების გამოც.

ერთმანეთს ნიშნავენ ერთადერთ და სრულ მემკვიდრეებად, ხოლო შთამომავლებს კი - უკანასკნელად გარდაცვლილი მეუღლის საბოლოო მემკვიდრეებად.

ვინაიდან ამ კონსტრუქციის პირობებში პირველად გარდაცვლილი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ შთამომავლები მემკვიდრეობიდან გამორიცხულნი არიან, მათ უჩნდებათ სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება. ეს მოთხოვნა ამცირებს იმ ქონების მოცულობას, რომელიც ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს რჩება და, შესაბამისად, ზღუდავს მის ეკონომიკურ უზრუნველყოფას. სავალდებულო წილის მოთხოვნის თავიდან ასაცილებლად ე.წ. „ბერლინის ანდერძში“ ხშირად ერთვება ე.წ. „სავალდებულო წილის სანქციის დათქმა“ (*Pflichtteilsstrafklausel*).²⁶ აღნიშნული დათქმის თანახმად, შთამომავალი, რომელიც პირველი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მოითხოვს თავის სავალდებულო წილს, მას მიიღებს მხოლოდ მეორე მეუღლის გარდაცვალების შემდეგ. ასეთ დათქმას შესაძლოა სხვადასხვა ფორმულირება ჰქონდეს.²⁷ ერთობლივი ანდერძის ამგვარი კონსტრუქცია, მიუხედავად მასთან დაკავშირებული ეკონომიკური ზენოლისა, ძირითადად სამართლებრივად ნამდვილად არის მიჩნეული.²⁸

საბოლოოდ იმის დადგენა, თუ რომელი მოდელი სურდათ მეუღლეებს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ანდერძის განმარტების გზით უნდა დადგინდეს,²⁹ რა დროსაც გადამწყვეტია ორივე მეუღლის საერთო ნება. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შემოწმდეს, შეესაბამებოდა თუ არა ერთ-ერთი მეუღლის ქცევიდან გამომდინარე მისი ნება

26 ამასთან დაკავშირებით დეტალურად იხ. S. Kappler/T. Kappler in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 2269 BGB, Rn. 8 ff.

27 იხ. Schön, ე.წ. „სავალდებულო წილის სანქციის დათქმა“ „ბერლინის ანდერძში“ - ასეთი დათქმის ფორმულირებების მოკლე მიმოხილვა პრაქტიკაში, <<https://www.erbrecht.de/die-pflichtteilsstrafklausel-im-berliner-testament-ein-kurzer-einblick-in-die-gestaltungspraxis/#fn21>> [27/05/2026].

28 Bayerisches Oberstes Landesgericht, Beschluss vom 9. Juni 1994 - 1Z BR 117/93 - NJW-RR 1994, 1495, Rn. 18; Staudinger/Raff (2022) BGB § 2269, Rn. 110; Reymann in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 2269 BGB (18.02.2026 მდგომარეობით), Rn. 86.

29 განმარტების ცალკეულ კრიტერიუმებთან დაკავშირებით იხ.: Staudinger/Raff (2022) BGB § 2269 Rn. 53 ff.

მეორე მეუღლის ნებას ანდერძის შედგენის მომენტში.³⁰ თუ მოანდერძეთა ნება ვერ დგინდება, გამოიყენება ბგბ-ს § 2269 პარაგრაფით გათვალისწინებული განმარტების წესი³¹, რომლის თანახმადაც მოქმედებს ერთიანობის მოდელი, ანუ შთამომავლები ჩაითვლებიან ბოლოს გარდაცვლილი მეუღლის საბოლოო მემკვიდრეებად. სასამართლო პრაქტიკა, როგორც წესი, მიდრეკილია სწორედ ასეთი ნების არსებობის ვარაუდისკენ, რადგან ეს მოდელი თავიდან ირიდებს წინასწარ და შემდგომ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ ქონებრივ დაყოფას და მისგან გამომდინარე სამართლებრივ თუ პრაქტიკულ სირთულეებს. ამავდროულად, ის უზრუნველყოფს ცოცხლად დარჩენილი მეუღლის სრულ ეკონომიკურ დაცვას. რაც შეეხება სავალდებულო წილის საკითხს, ე.წ. „სავალდებულო წილის სანქციის დათქმის“ არსებობა, ჩვეულებრივ, მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს შეთანხმებულად მიჩნეული, როცა ამის მკაფიო საფუძველი ერთობლივი ანდერძის ტექსტში პირდაპირ იკვეთება.³²

4. ხელნაწერი ანდერძის ფორმალური მოთხოვნები

4.1. ხელნაწერი ტექსტის მოთხოვნა

გერმანული სამართლის მიხედვით, საჯაროდ დაუმონმებელი ანდერძის ნამდვილობისათვის აუცილებელია, რომ იგი თავად მამკვიდრებელმა ხელით დანეროს და ხელი მოანეროს ანდერძის დოკუმენტს (ბგბ, § 2247

30 BGH, Urteil vom 26. September 1990 - IV ZR 131/89 - BGHZ 112, 229, Rn. 18; OLG Celle, Beschluss vom 11. Juli 2022 - 6 W 77/22 - FamRZ 2023, 728, Rn. 24. *Staudinger/Raff* (2022) BGB § 2269, Rn. 53; *Reymann* in: *Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger*, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 2269 BGB (18.02.2026 მდგომარეობით), Rn. 123.

31 ბგბ, § 2269. *მემკვიდრეთა მიერ ორმხრივი დანიშვნა*

(1) თუ მეუღლეებმა ერთობლივ ანდერძში, რომლითაც ისინი ერთმანეთს ნიშნავენ მემკვიდრეებად, დაადგინეს, რომ ცოცხლად დარჩენილი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მათი საერთო სამკვიდრო ქონება უნდა გადაეცეს მესამე პირს, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ მესამე პირი ინიშნება მემკვიდრედ ბოლოს გარდაცვლილი მეუღლის მთლიან სამკვიდრო ქონებაზე.

(2) თუ მეუღლეებმა აღნიშნულ ანდერძში დაადგინეს საანდერძო დანაკისრი, რომელიც უნდა შესრულდეს ცოცხლად დარჩენილი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ საანდერძო დანაკისრი უნდა გადავიდეს საანდერძო დანაკისრი.

32 ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით იხ. *Staudinger/Raff* (2022) BGB § 2269 Rn. 108 ff.

1).³³ ასევე, დასაშვებია, ანდერძში გაკეთდეს მითითება სხვა მოქმედ საბოლოო ნების გამოვლენაზე, განსაკუთრებით კი - ნოტარიულ ანდერძზე.³⁴ ეს ნიშნავს, რომ მოანდერძეს შეუძლია თავის ხელნაწერ ანდერძში მითითების უკვე არსებულ იურიდიულად ნამდვილ ნების გამოვლენაზე - ნოტარიალურად დამოწმებულ ანდერძზე, რა დროსაც მოქმედი სწორედ ეს მითითებული ანდერძი იქნება, თუკი იგი კანონით დადგენილ ფორმის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. აღსანიშნავია, რომ მოანდერძეს, როგორც წესი, არ შეუძლია თავისი საბოლოო ნების შინაარსის განსაზღვრისას დაეყრდნოს ისეთ წერილობით დოკუმენტებს, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ანდერძის ფორმის ნამდვილობის მოთხოვნებს.³⁵

თუ ანდერძში მითითება კეთდება სხვა წერილობით დოკუმენტებზე (მაგალითად, დანართზე), პირველ ეტაპზე უნდა შემოწმდეს, არის თუ არა თავად საბოლოო ნების გაცხადება - იმ მოცულობით, რა მოცულობითაც იგი ფორმის მოთხოვნებს აკმაყოფილებს - საკმარისად განსაზღვრული და, შესაბამისად, სრული. თუ ეს ასე არ არის, მაშინ მნიშვნელობა ენიჭება იმას, ექვემდებარება თუ არა ანდერძი განმარტებას, ანუ იძლევა თუ არა იგი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს, არის თუ არა ფორმალური დოკუმენტის გამო არანამდვილი დანართიდან გამომდინარე განმარტების შედეგი ანდერძში მინიშნებით ან ფარული ფორმით მაინც გამოხატული. თუკი ეს დადასტურდა, მაშინ მითითებული დოკუმენტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოანდერძის ნების დასადგენად.³⁶ მარტივად რომ ვთქვათ, თუ მაგალითად, დანართი ხელმოწერელია, მაშინ მისი პირდაპირ გამოყენება მოანდერძის ნების დადგენისთვის დაუშვებელი იქნება, თუმცა მისი გათვალისწინება მაინც შეიძლება, თუკი დანართის შინაარსი თავად ანდერძში გარკვეული ფორმით უკვე ჩანს. ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, როცა ანდერძში წერია, რომ სამკვიდრო ქონებიდან კონკრეტული ნივთი უნდა გადაეცეს იმ პირს, რომელიც დანართშია მითითებული. შესაძლოა, ცალკე აღებული დანართი ფორმალურად არანამდვილი იყოს (მაგალითად, იმის გამო რომ არ არის ხელმოწერილი), თუმცა თუ ანდერძიდან ჩანს, რომ მოანდერძეს ნამდვი-

33 BGH, Beschluss vom 10. November 2021 - IV ZB 30/20 - BGHZ 231, 377, Rn. 12.

34 BGH, Beschluss vom 10. November 2021 - IV ZB 30/20 - BGHZ 231, 377, Rn. 12; BGH, Beschluss vom 15. Juni 2010 - IV ZR 21/09 - ZEV 2010, 364, Rn. 7.

35 BGH, Beschluss vom 10. November 2021 - IV ZB 30/20 - BGHZ 231, 377, Rn. 12; BGH, Urteil vom 29. Mai 1980 - IVa ZR 26/80 - MDR 1980, 831 Rn. 17

36 BGH, Beschluss vom 10. November 2021 - IV ZB 30/20 - BGHZ 231, 377, Rn. 13 ff.

ლად სურდა კონკრეტული პირისთვის სამკვიდრო ქონებიდან კონკრეტული ნივთის დატოვება, მაშინ სასამართლომ შეიძლება დანართში არსებული მითითება გამოიყენოს იმის გასაგებად, თუ კონკრეტულად ვის გულისხმობდა მოანდერძე. მართალია, არანამდვილი დოკუმენტი ვერ გამოდგება ნამდვილი ნების დადგენის საშუალებად, მაგრამ შესაძლებელია ის დაგვეხმაროს ანდერძში გამოხატული ბუნდოვანი ნების განმარტებაში.

ანდერძის არსებობის დასადგენად გადამწყვეტი არ არის, გამოყენებულია თუ არა ფორმულირება „ანდერძი“ ან „ჩემი უკანასკნელი ნება“.³⁷ უმეტესად გადამწყვეტია ის, რომ შესაძლებელი იყოს სამართლებრივად მოქმედი საბოლოო ნების არსებობის დადგენა, ანუ - ცოცხალ პირებს შორის დადებული გარიგების, უბრალო განზრახვის გაცხადების ან ანდერძის პროექტისგან განსხვავებით - უნდა არსებობდეს სიკვდილის შემთხვევისთვის განხორციელებული ნების გამოვლენა.³⁸

ანდერძის შემცველი დოკუმენტისთვის რაიმე კონკრეტული გარეგანი ფორმა აუცილებელი არ არის. ამიტომ, პრინციპულად, საკმარისია მისი თუნდაც მცირე ზომის ფურცელზე დაფიქსირება.³⁹ თუ დოკუმენტის გარეგნული ფორმა განსხვავდება ანდერძისთვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი ფორმებისგან - მაგალითად, ტექსტი დაწერილია დახეულ ფურცელზე ან შავ სამუშაო ფურცელზე, მაშინ სამართლებრივი ნების არსებობის დასადასტურებლად მკაცრი მოთხოვნები უნდა დაწესდეს.⁴⁰ თუკი დოკუმენტი შეიცავს მითითებას დაგეგმილ ნოტარიულ დამოწმებაზე, ეს უფრო მიუთითებს მხოლოდ ანდერძის შედგენის განზრახვაზე და არა

37 Schleswig-Holsteinisches Oberlandesgericht, Urteil vom 9. Januar 2018 - 3 U 17/17 - juris Rn. 65; OLG Hamm, Urteil vom 11. Mai 2017 - I-10 U 64/16 - FamRZ 2018, 862, Rn. 45; *Bauermeister* in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 2247 BGB (01.07.2023 მდგომარეობით), Rn. 4.

38 შდრ. OLG Hamm, Urteil vom 11. Mai 2017 - I-10 U 64/16 - FamRZ 2018, 862, Rn. 45.

39 OLG München, Beschluss vom 28. Januar 2020 - 31 Wx 229/19 - NJW-RR 2020, 329, Rn. 20; OLG Braunschweig, Beschluss vom 20. März 2019 - 1 W 42/17 - NJW-RR 2019, 583, Rn. 19; Schleswig-Holsteinisches Oberlandesgericht, Beschluss vom 16. Juli 2015 - 3 Wx 53/15 - FamRZ 2016, 585, Rn. 26.

40 OLG München, Beschluss vom 28. Januar 2020 - 31 Wx 229/19 - NJW-RR 2020, 329, Rn. 18 ff.; OLG Braunschweig, Beschluss vom 20. März 2019 - 1 W 42/17 - NJW-RR 2019, 583, Rn. 25; OLG München, Beschluss vom 31. März 2016 - 31 Wx 413/15 - FamRZ 2016, 1812, Rn. 10; OLG Hamm, Beschluss vom 27. November 2015 - I-10 W 153/15 - FamRZ 2016, 1500, Rn. 32, სასამართლო პრაქტიკის ამომწურავი ჩამონათვალისთვის იხ. *Staudinger/Baumann* (2022) BGB § 2247, Rn. 33.

უკვე არსებულ მოქმედ ანდერძზე.⁴¹ ასევე, უფრო მეტად ანდერძის პროექტის არსებობაზე და არა ნამდვილ საანდერძო ნებაზე მიუთითებს ის გარემოებაც, როცა მოანდერძე დოკუმენტს დაუდევრად ინახავს - მაგალითად, საკუთარი კონტროლის ფარგლებს გარეთ ან უჩვეულო ადგილას.⁴²

სწორედ ამ მიზეზით, იმ წერილებთან დაკავშირებითაც, რომლებშიც ადრესატის სასარგებლოდ მემკვიდრეობით-სამართლებრივი შინაარსის განცხადებებია მოცემული, საანდერძო ნების არსებობის დასადასტურებლად მაღალი მოთხოვნები უნდა დაწესდეს.⁴³ ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ მესამე პირისადმი (უმეტესად სავარაუდო ბენეფიციარი-სადმი) მიმართული ე.წ. „წერილის ფორმის ანდერძები“ („*Brieftestamente*“) არ შეიძლება შეიცავდეს სამართლებრივად სავალდებულო განცხადებას. თუმცა, მათი ემოციური და გულთბილი შინაარსიდან ავტომატურად ვერ გაკეთდება დასკვნა, რომ მემკვიდრეობითი განკარგვა ავტორს უკვე სამართლებრივად ვალიდურ ფორმაში სურდა განხორციელებინა სწორედ ამ სამადლობელო წერილის საშუალებით. ასეთი მიდგომა გამართლებულია იმის გათვალისწინებითაც, რომ კონკრეტული შემთხვევით ან ძლიერი ემოციით გამოწვეული სამადლობელო წერილები ხშირად ხასიათდება გადაჭარბებული ემოციურობითა და ხმამაღალი დაპირებებით, რომლებიც სამართლებრივი ნების არსებობას არ გამოხატავს.⁴⁴

თუ არსებობს დოკუმენტი, რომელიც თავისი გარეგნული ფორმითა და შინაარსით აკმაყოფილებს ფორმალურად სწორად შედგენილი ანდერძის მიმართ დადგენილ მოთხოვნებს, მაშინ არსებობს ფაქტობრივი ვარაუდი იმისა, რომ იგი საანდერძო ნებით არის შედგენილი. ამიტომ, თუ

41 Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Beschluss vom 23. November 2021 - 5 W 62/21 - FamRZ 2023, 802, Rn. 10.

42 OLG Hamm, Beschluss vom 27. November 2015 - I-10 W 153/15 - FamRZ 2016, 1500, Rn. 36; S. Kappler/T. Kappler in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 2247 BGB, Rn. 3.

43 KG Berlin, Beschluss vom 11. April 2022 - 19 W 1167/20 - ErbR 2023, 792, Rn. 8; Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Beschluss vom 23. November 2021 - 5 W 62/21 - FamRZ 2023, 802, Rn. 8; OLG München, Beschluss vom 31. März 2016 - 31 Wx 413/15 - FamRZ 2016, 1812, Rn. 10.

44 სრულად იხ. *Staudinger/Baumann* (2022) BGB § 2247, Rn. 89.

სამოქალაქო-სამართლებრივ დავაში ამ ვარაუდის საწინააღმდეგოდ ვინმე უარყოფს ასეთი ნების არსებობას, ამის დასადასტურებლად შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენა იქნება საჭირო.⁴⁵

4.2. ხელნაწერი ფორმა

ხელნერის თითოეული ინდივიდუალური ნიშანი ემსახურება ანდერძის ნამდვილობის უზრუნველყოფასა და გაყალბების გართულებას.⁴⁶ ამასთან, სწორედ ხელნერა წარმოადგენს გრაფოლოგიური ექსპერტიზის საფუძველსაც, რომლის მეშვეობითაც დავის შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს ანდერძის ავთენტურობა. გარდა ამისა, ტექსტის საკუთარი ხელით დაწერა, ზეპირი განცხადების ან უბრალო წერილობითი ფორმისგან განსხვავებით, უზრუნველყოფს უფრო მაღალ დაცვას დაუფიქრებელი და ნაჩქარევი გადაწყვეტილებებისაგან და ქმნის გარკვეულ სამართლებრივ უსაფრთხოებას, მაგალითად, ანდერძის პროექტისა და საბოლოო ნების გამიჯვნის თვალსაზრისით.⁴⁷

ამ მიზნის შესაბამისად, ხელნერის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად მიიჩნევა ყველა იმ წერიტი ფორმით, რომელიც შესაბამის ენაში ხელნერ ნიშნებად არის აღიარებული;⁴⁸ გერმანიაში ესენია: კალიგრაფიული ხელნერა, ბეჭდური ასოები და სტენოგრაფია. მესამე პირს შეუძლია მონდერძის მხოლოდ ტექნიკური დახმარება გაუწიოს, მაგალითად ხელი ან მკლავი დაუჭიროს, თუმცა ასოების ფორმირება მთლიანად თავად მამკვიდრებელმა უნდა განახორციელოს.⁴⁹ საკმარისია თუ არა ბრაილის შრიფტი, გერმანიაში სადავო საკითხია.⁵⁰ შესაბამისად, სამართლებრივი

45 Staudinger/Baumann (2022) BGB § 2247, Rn. 60.

46 S. Kappler/T. Kappler in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 2247 BGB, Rn. 5; Bauermeister in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 2247 BGB (01.07.2023 მდგომარეობით), Rn. 4; Staudinger/Baumann (2022) BGB § 2247, Rn. 8.

47 ნორმის მიზანთან დაკავშირებით შდრ. BGH, Entscheidung vom 3. Februar 1967 - III ZB 14/66 - BGHZ 47, 68, Rn. 14 ff.

48 Staudinger/Baumann (2022) BGB § 2247, Rn. 38.

49 BGH, Urteil vom 12. März 1981 - IVa ZR 111/80 - NJW 1981, 1900, Rn. 12 ff.; OLG Hamm, Beschluss vom 11. September 2001 - 15 W 224/01 - NJW-RR 2002, 222, Rn. 21; Kappler/T. Kappler in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 2247 BGB, Rn. 5 mwN.

50 Staudinger/Baumann (2022) BGB § 2247, Rn. 39.

გაურკვევლობების თავიდან აცილების მიზნით, უსინათლო პირებისთვის მიზანშეწონილია ანდერძის ნოტარიუსის წინაშე შედგენა.

იმას თუ რა ენაზეა ანდერძი შედგენილი, პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. თუმცა, აუცილებელია, ეს იყოს ენა, რომელიც მოანდერძეს ეს-მის, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს გარანტირებული, რომ მის მიერ დაწერილი ტექსტი მის რეალურ ნებას შეესაბამება.⁵¹ საბეჭდი მანქანით, კომპიუტერიდან ამობეჭდილი ტექსტით, ციფრული ჩანაწერით ან სხვა ტექნიკური საშუალებებით (მაგალითად, ელექტრონული შენახვით)⁵² შექმნილი ანდერძები გერმანული სამართლის მიხედვით, ფორმალუცველობის გამო არანამდვილია. თუმცა ისინი შეიძლება ჩაითვალოს ანდერძის პროექტად⁵³ და გარკვეულ შემთხვევებში გამოყენებულ იქნეს საიმისოდ, რომ დადგინდეს ხელნაწერ ანდერძში გამოსატყული რეალური ნება.

ხელნერის მოთხოვნა ასევე გულისხმობს ტექსტის წაკითხვადობას. თუ განცხადების შინაარსის დადგენა ხელნაწერი დოკუმენტიდან შეუძლებელია, რადგან ტექსტი ექსპერტის დახმარებითაც კი წაუკითხვადია („წაუკითხვადი“ არ ნიშნავს „რთულად წასაკითხს“), მაშინ ადგილი არ აქვს ფორმის მიხედვით ნამდვილად გამოსატყულ საბოლოო ნებას.⁵⁴ ანდერძის ტექსტის განმარტებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანდერძის გარეთ არსებული გარემოებები. თუმცა, ეს არ ვრცელდება თავად ტექსტის შინაარსის დადგენაზე, რადგან მისი დადასტურებული ავთენტურობა ფორმის მიხედვით ნამდვილი ხელნაწერი ანდერძის აუცილებელი ელემენტია.⁵⁵ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის თუ რას წერდა მოანდერძე, შეიძლება მხოლოდ თავად წერილობითი დოკუმენტიდან დადგინდეს. კონკრეტული შემთხვევის გარემოებებზე დამოკიდებული,

51 S. Kappler/T. Kappler in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 2247 BGB, Rn. 5; Staudinger/Baumann (2022) BGB § 2247, Rn. 38.

52 უფრო დეტალურად იხ. Staudinger/Baumann (2022) BGB § 2247, Rn. 42.

53 Staudinger/Baumann (2022) BGB § 2247, Rn. 40.

54 Schleswig-Holsteinisches Oberlandesgericht, Beschluss vom 16. Juli 2015 - 3 Wx 19/15 - FamRZ 2016, 583, Rn. 12; Bauermeister in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 2247 BGB (01.07.2023 მდგომარეობით), Rn. 5; Staudinger/Baumann (2022) BGB § 2247, Rn. 56; Adamus, jurisPR-FamR 2/2016 Anm. 7.

55 Schleswig-Holsteinisches Oberlandesgericht, Beschluss vom 16. Juli 2015 - 3 Wx 19/15 - FamRZ 2016, 583, Rn. 12; OLG Hamm, Beschluss vom 27. Juni 1991 - 15 W 116/91 - NJW-RR 1991, 1352, Rn. 26.

კარგავს თუ არა ტექსტი აზრს იმის გამო, რომ ზოგიერთი სიტყვა ნაუკითხვადაა. თუ ნაუკითხვადაა მხოლოდ ცალკეული სიტყვები ან მონაკვეთები, მაშინ იმის განსაზღვრა, არანამდვილია მხოლოდ კონკრეტული განკარგულება თუ მთელი ანდერძი, ხდება ნაწილობრივი ბათილობის შესახებ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით.⁵⁶ თუ ნაუკითხვადაა ნაწილი არ ეხება ყველა განკარგულების საერთო საფუძველს, არამედ მხოლოდ შინაარსობრივად დამოუკიდებელ განკარგულებებს (მაგალითად, დავალებებს⁵⁷ ან ლეგატს გერმანულ სამართალში, ხოლო ლეგატს - ქართულ სამართალში), მაშინ გადამწყვეტია, სავარაუდოდ სურდა თუ არა

56 შდრ. *Staudinger/Baumann* (2022) BGB § 2247, Rn. 56 mwN.

57 ლეგატთან ერთად გერმანულ მემკვიდრეობის სამართალში არსებობს დავალების ინსტიტუტიც („*Auflage*“), რომლის მიხედვითაც, მემკვიდრეს ან ლეგატის მიმღებს ეკისრებათ რაიმე მოქმედების შესრულების ვალდებულება. გერმანული სამართლის მიხედვით, ცალკეული სამკვიდრო ნივთების მემკვიდრეობა დაუშვებელია, ანუ მემკვიდრის სტატუსს პირი იძენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი იღებს მთლიან სამკვიდროს ან სამკვიდროს ნილს. შესაბამისად, თუკი პირი ანდერძით მხოლოდ კონკრეტულ ნივთს იღებს, ის ვერ ჩაითვლება მემკვიდრედ, არამედ იქნება ლეგატარი. ბგზ-ს § 1939 პარაგრაფის მიხედვით, მამკვიდრებელს შეუძლია ანდერძით გადასცეს ქონებრივი სარგებელი სხვა პირს ამ უკანასკნელის მემკვიდრედ დანიშვნის გარეშე (საანდერძო დანაკისრი). შესაბამისად, თუკი პირი ანდერძით მხოლოდ კონკრეტულ ნივთს მიიღებს, ის ჩაითვლება ლეგატარად, მემკვიდრის სტატუსი მას არ ექნება. დავალების ინსტიტუტის მიხედვით კი (ბგზ, § 1940), მამკვიდრებელს შეუძლია ანდერძით დააკისროს მემკვიდრეს ან ლეგატარს ვალდებულების შესრულება სხვა პირისათვის ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლების მინიჭების გარეშე. ლეგატსა და დავალებას შორის გამიჯვნის დროს, გადამწყვეტია იმის განსაზღვრა, აქვს თუ არა ბენეფიციარს დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება. თუკი ასეთი უფლება არსებობს, მაშინ სახეზეა ლეგატი. ქართული სამართალი კოდექსის დონეზე მხოლოდ ლეგატის ინსტიტუტს იცნობს, რომელიც თავისი ფორმულირების მიხედვით, დავალების ინსტიტუტის შინაარსს უფრო მეტად შეესაბამება. სკ-ს 1383 მუხლის მიხედვით, „მოანდერძეს შეუძლია დააკისროს მემკვიდრეს ერთი ან რამდენიმე პირის სასარგებლოდ რაიმე ვალდებულების შესრულება სამკვიდროს ხარჯზე (საანდერძო დანაკისრი - ლეგატი); სკ-ს 1384-ე მუხლის მიხედვით, „საანდერძო დანაკისრის საგანი შეიძლება იყოს დანაკისრის მიმღებისთვის (ლეგატარისთვის) სამკვიდროში შემავალი ქონებიდან ნივთების გადაცემა საკუთრებაში, სარგებლობაში ან სხვა სანივთო უფლებით, მისთვის ისეთი ქონების შეძენა და გადაცემა, რომელიც არ შედის სამკვიდროში, განსაზღვრული სამუშაოს შესრულება, მომსახურების განევა და ა.შ.“ გერმანული სამართლის მიხედვით, ლეგატი არის ანდერძის გზით ქონებრივი სიკეთის მინიჭება, რომელიც შეიძლება მიიღოს როგორც მემკვიდრემ დამატებით, ისე მესამე პირმაც, რომელიც არ ჩაითვლება მემკვიდრედ. მაგალითად, მოანდერძემ ანდერძით გარკვეული ქონება დაუტოვა ა-ს, როგორც მემკვიდრეს და ამავდროულად ანდერძში ჩაწერა, რომ მანქანას უტოვებდა ბ-ს. რადგან ბ-მ მხოლოდ ერთი კონკრეტული ნივთი მიიღო, ის არ ჩაითვლება მემკვიდრედ, ის იქნება ლეგატის

გარდაცვლილს, რომ ანდერძის დანარჩენი ნაკითხვადი ნაწილები ძალაში დარჩენილიყო მიუხედავად იმისა, რომ მისი გარკვეული, გამიჯნული ნაწილი ნაუკითხვადია.

4.3. ხელმოწერა, ადგილი და სხვა საკითხები

ხელნაწერი ანდერძის ხელმოწერა, ფორმის მიხედვით, მისი ნამდვილობის აუცილებელი წინაპირობაა. ხელმოწერით მოანდერძე ადასტურებს, რომ მან თავისი ნების ფორმირების პროცესი დაასრულა. ამიტომაც იგი გამოიყენება როგორც ნიშანი იმისა, რომ არსებობს სერიოზული და საბოლოო საანდერძო ნება (განსხვავებით ანდერძის პროექტისგან). გარდა ამისა, ხელმოწერა, ხელით დაწერილ ტექსტთან ერთად, ამყარებს ანდერძის ავთენტურობას (ნამდვილობას).⁵⁸

მიმღები (ლეგატარი). ხოლო თუკი, მაგალითად, მოანდერძე მემკვიდრეს დაავალებს, რომ სამკვიდრო ქონებიდან რაღაც ნივთი გადასცეს მათ ნათესავს ან დაუფინანსოს ნათესავს პიანინოს შესაძენად ხარჯები, ეს გერმანული სამართლის მიხედვით იქნება დავალბა, მაგრამ ქართულ სამართალში ეს ლეგატია. სკ პირდაპირ არ მიუთითებს კოდექსში, აქვს თუ არა ბენეფიციარს დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება მემკვიდრის მიმართ, თუმცა გამომდინარე იქედან, რომ ქართველი კანონმდებლის მიერ ლეგატის ინსტიტუტი გაცილებით მარტივად და მოდიფიცირებულად იქნა გადმოტანილი, სავარაუდოა, რომ ბენეფიციარი, რომელიც ლეგატარის სტატუსის მატარებელია, სარგებლობს მემკვიდრის მიმართ დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლებით. ასეთ დროს ლეგატის მიმღები (ლეგატარი) გვევლინება კრედიტორად, ხოლო მემკვიდრე კი - მოვალედ (იხ. *ახვლედიანი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, რედ. (ჭანტურია), 438). ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს სკ-ს 1391-ე მუხლიც, რომელიც საანდერძო დანაკისრის მიმღებს მოთხოვნის უფლების სამწლიან ხანდაზმულობის ვადას ანიჭებს, რაც პირდაპირი დასტურია იმისა, რომ მას დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება გააჩნია. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ლეგატის ინსტიტუტის ქართული გაგება ერთგვარად იანუსისებურ სახეს ატარებს, რადგან აერთიანებს როგორც დავალბის, ისე ლეგატის ელემენტებს.

58 OLG Hamm, Beschluss vom 26. Oktober 2010 - I-15 Wx 81/10 - DNotZ 2011, 702 Rn. 74; Bayerisches Oberstes Landesgericht, Beschluss vom 12. August 2002 - 1Z BR 66/02 - NJW-RR 2002, 1520, Rn. 21; *Bauermeister* in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 2247 BGB (01.07.2023 მდგომარეობით), Rn. 16; umfassend: *Staudinger/Baumann* (2022) BGB § 2247, Rn. 103.

4.3.1. ხელმოწერის დამასრულებელი ფუნქცია

ხელმოწერას თავისი მიზნიდან გამომდინარე, როგორც წესი, უნდა ჰქონდეს დოკუმენტის სივრცობრივი დასრულების ფუნქცია, ანუ იგი უნდა განთავსდეს უწყვეტი ტექსტის ქვემოთ.⁵⁹ ჩვეულებრივ, ხელნაწერი ხელმოწერა მხოლოდ მაშინ ასრულებს ამ ფუნქციას, როცა იგი იცავს ტექსტს შემდგომი დამატებებისა და ჩარევებისგან და ამავდროულად ადასტურებს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი დასრულებულია.⁶⁰ თუ უწყვეტი ტექსტის ქვემოთ არ რჩება ადგილი ხელმოწერისთვის და შესაბამისად, გამოირიცხება შემდგომი მანიპულაციური ჩარევის შესაძლებლობაც, გამონაკლისის სახით შესაძლებელია, რომ ხელმოწერა ტექსტის გვერდითაც ჩაითვალოს საკმარისად.⁶¹

თუ ტექსტის ბოლოსა და ხელმოწერას შორის უჩვეულოდ დიდი სივრცეა, ეს თავისთავად არ გამოირიცხავს ნამდვილი ხელმოწერის არსებობას. თუმცა ასეთი თვალშისაცემი თავისუფალი ადგილი შეიძლება მიაწინებდეს, რომ მოანდერძე გეგმავდა დამატებებს და მისი გადაწყვეტილება ჯერ ბოლომდე არ იყო ჩამოყალიბებული. ასეთ შემთხვევებში, მანიპულაციის რისკის გამო, ავტომატურად ვერ ჩაითვლება, რომ ხელმოწერას ჰქონდა საბოლოო დასრულების ფუნქცია.⁶² ეს უნდა განვასხვავოთ იმ შემთხვევისგან, როცა ანდერძს თავად აქვს დამატებების გაკეთების პირდაპირი დათქმა. ასეთ დროს, ჩვეულებრივ, მიიჩნევა, რომ ფორმალურად სწორად შედგენილი განცხადება ძალაში რჩება მიუხედავად იმისა, განხორციელდება თუ არა შემდგომი ცვლილებები (ბგბ, § 2086).⁶³

59 OLG München, Beschluss vom 9. August 2024 - 33 Wx 115/24 e - NJW-RR 2024, 1462, Rn. 20; OLG Düsseldorf, Beschluss vom 13. Juni 2013 - I-3 Wx 246/12 - FamRZ 2014, 510, Rn 25; Bayerisches Oberstes Landesgericht, Beschluss vom 12. August 2002 - 1Z BR 66/02 - NJW-RR 2002, 1520, Rn. 21; S. Kappler/T. Kappler in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 2247 BGB, Rn. 9; Staudinger/Baumann (2022) BGB § 2247, Rn. 107.

60 OLG Düsseldorf, Beschluss vom 13. Juni 2013 - I-3 Wx 246/12 - FamRZ 2014, 510, Rn 25.

61 OLG München, Beschluss vom 9. August 2024 - 33 Wx 115/24 e - NJW-RR 2024, 1462, Rn. 21.

62 მსგავსი ფაქტობრივი გარემოებების მქონე საქმესთან დაკავშირებით შდრ. OLG Düsseldorf, Beschluss vom 13. Juni 2013 - I-3 Wx 246/12 - FamRZ 2014, 510, Rn 25.

63 ბგბ, § 2086. დათქმა საანდერძო განკარგულების დამატების შესახებ.

თუ საანდერძო განკარგულება შეიცავს დათქმას მასში დამატების შეტანის შესახებ, მაგრამ ეს უკანასკნელი არ განხორციელდა, მაშინ განკარგულება სამართლებრივი

თუ რამდენიმე ერთმანეთთან ფიზიკურად დაუკავშირებელ ტექსტზე მხოლოდ ერთი ფურცელია ხელმოწერილი, ხელმოწერა ყველა ტექსტზე ვრცელდება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი შინაარსობრივად ერთიან ნების გამოვლენას წარმოადგენენ და ხელმოწერა ამ მთლიან ნებას ასრულებს.⁶⁴ ამ ტექსტური ერთიანობის დასადაგენად აუცილებელი არ არის, რომ ფურცლები დანომრილი იყოს; პირიქით, შინაარსობრივი კავშირი - ანუ უწყვეტი ტექსტი და ერთობლივი შენახვა - შეიძლება საკმარისი იყოს იმისთვის, რომ დადასტურდეს ნების ერთიანობა და ხელმოწერის საერთო მოქმედება ყველა ფურცელზე.⁶⁵ ასევე, თუკი ხელმოწერა ასრულებს რამდენიმე ერთმანეთთან გარეგნულად დაკავშირებულ ტექსტს, იგი მხოლოდ მაშინ ვრცელდება ყველა ფურცელზე, თუ მათ შორის არსებობს შინაარსობრივი ერთიანობა, ანუ გასაგები ლოგიკური კავშირი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მანიპულაციის რისკის გამო, როცა ფურცლები გარეგნულად განსხვავდება ერთმანეთისგან (სხვადასხვა ქაღალდი, ფორმატი, წერის ინსტრუმენტი) ან ინახება კონვერტში ან საქაღალდეში.⁶⁶ გამონაკლისის სახით, შესაძლებელია, კონვერტზე გაკეთებული ხელმოწერა, შესაბამისი შინაარსობრივი მითითებით - მაგალითად, „ჩემი უკანასკნელი ნება“ - გავრცელდეს კონვერტში მოთავსებულ ცალკეულ ხელმოწერელ ფურცლებზეც.⁶⁷

ძალის მქონეა, რამდენადაც არ ივარაუდება, რომ მისი სამართლებრივი ძალა დამოკიდებული უნდა ყოფილიყო დამატებაზე.

64 Oberlandesgericht des Landes Sachsen-Anhalt, Beschluss vom 30. Juli 2021 - 2 Wx 55/20 - NJW-RR 2022, 224, Rn. 22 f., für Unterzeichnung auf einem mit dem Fließtext nicht verbundenen gesonderten Blatt; OLG Köln, Beschluss vom 23. September 2020 - I-2 Wx 189/20 - NJW-RR 2021, 11, Rn. 13.

65 OLG Köln, Beschluss vom 14. Februar 2014 - I-2 Wx 299/13 - NJW-RR 2014, 1035, Rn. 39; OLG Hamm, Beschluss vom 19. September 2012 - I-15 W 420/11 - FamRZ 2013, 907, Rn. 9; OLG Hamm, Beschluss vom 26. Oktober 2010 - I-15 Wx 81/10 - DNotZ 2011, 702, Rn. 74; *Staudinger/Baumann* (2022) BGB § 2247, Rn. 62 und Rn. 104; S. *Kappler/T. Kappler* in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 2247 BGB, Rn. 9, jeweils mwN.

66 სრულად იხ. OLG Köln, Beschluss vom 14. Februar 2014 - I-2 Wx 299/13 - NJW-RR 2014, 1035, Rn. 39; OLG Hamm, Beschluss vom 19. September 2012 - I-15 W 420/11 - FamRZ 2013, 907, Rn. 9 ff.

67 OLG Rostock, Beschluss vom 25. September 2013 - 3 W 30/13 - FamRZ 2015, 170, Rn. 19 f.; Bayerisches Oberstes Landesgericht, Beschluss vom 1. Juli 1988 - BReg 1 a Z 1/88 - FamRZ 1988, 1211, Rn. 20 ff.; S. *Kappler/T. Kappler* in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 2247 BGB, Rn. 9.

4.3.2. მოთხოვნები ხელმოწერის მიმართ

ხელმოწერა, როგორც წესი, უნდა შეიცავდეს მოანდერძის სახელსა და გვარს. თუმცა, ხელმოწერა შეიძლება სხვა ფორმითაც გაკეთდეს, თუკი იგი საკმარისია იმის დასადგენად, რომ დოკუმენტი ნამდვილად მოანდერძეს ეკუთვნის და მისი განცხადება სერიოზული ხასიათისაა (ბგბ, § 2247 III 1). ამდენად, გადამწყვეტია, რომ ხელნაწერი ნიშნის მიხედვით შესაძლებელი იყოს როგორც ავტორობის, ისე საანდერძო ნების არსებობის დადგენა, რისთვისაც საჭიროა, რომ ეს ხელნაწერი ნიშანი არ წარმოადგენდეს უბრალოდ ანდერძის პროექტის პარაფირებას.⁶⁸

იმაზე, თუ რამდენად შეიძლება ბგბ-ს § 2247 პარაგრაფის ფარგლებში სახელის შემოკლება ან სახელისა და გვარის ინიციალები ჩაითვალოს ხელმოწერად, სადავოა.⁶⁹ ზოგადად, არ შეიძლება ავტომატურად ჩაითვალოს, რომ პარაფირება ან მისი მსგავსი ნიშანი გამოხატავს საანდერძო ნებას. თუმცა, თუ ავტორის დადგენა შესაძლებელია, მაშინ შესაძლოა, საკმარისად ჩაითვალოს ისეთი ხელმოწერაც, რომელიც შედგება ნათესაობის აღნიშვნისგან (მაგალითად: „შენი საყვარელი ბაბუა“)⁷⁰ ან ადრესატისთვის ცნობილი მეტსახელისგან (მაგალითად: „შენი საყვარელი კნუტი“).⁷¹ სხვა მხრივ, ისეთი ნიშნები, რომლებიც არ იძლევიან პიროვნების იდენტიფიცირების შესაძლებლობას და არ ასრულებს განმასხვავებელ ფუნქციას (მაგალითად, სამი ჯვარი, გრაფიკული სიმბოლოები, ტალღისებრი ხაზები ან „ღრუბლის“ მსგავსი ფორმები,⁷² ასევე ნიშნები როგორიცაა N01 ან N02),⁷³ არ ითვლება ვალიდურ ხელმოწერად მაშინაც კი, თუ ავტორი დადგენილია.⁷⁴ არ არის აუცილებელი რომ ხელმოწერა

68 *Bauermeister* in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 2247 BGB (01.07.2023 მდგომარეობით), Rn. 17.

69 დოქტრინაში არსებული მოსაზრებების ამომწურავი მიმოხილვისთვის იხ. *Staudinger/Baumann* (2022) BGB § 2247, Rn. 124.

70 Oberlandesgericht des Landes Sachsen-Anhalt, Urteil vom 28. März 2002 - 11 U 229/01 - FamRZ 2003, 407, Rn. 4, „Tante Doro“ (für Dorothee).

71 *Staudinger/Baumann* (2022) BGB § 2247, Rn. 124 mwN.

72 OLG München, Beschluss vom 5. Mai 2025 - 33 Wx 289/24 e - NJW-RR 2025, 772, Rn. 7 ff.

73 OLG Hamm, Beschluss vom 17. Februar 2025 I-10 W 115/24 - NJW-RR 2025, 1036, Rn. 13 ff.

74 OLG München, Beschluss vom 5. Mai 2025 - 33 Wx 289/24 e - NJW-RR 2025, 772, Rn. 7; *Staudinger/Baumann* (2022) BGB § 2247, Rn. 124; S. *Kappler/T. Kappler* in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 2247 BGB, Rn. 7.

იყოს წაკითხვადი.⁷⁵ საკმარისია, ის იყოს წერილობითი ნიშანი, რომელიც შეიცავს მინიმუმ ერთ ასოს ან ასოს მსგავს ელემენტს და რომლითაც ადამიანი ჩვეულებრივ საკუთარ თავს აიდენტიფიცირებს და განასხვავებს სხვებისგან. ასეთი ინდივიდუალური ხელმოწერა უნდა იყოს ისეთი, რომ მისი საერთო ვიზუალური შთაბეჭდილებით შეიძლებოდეს მისი აღქმა როგორც კონკრეტული პირის ხელმოწერის.⁷⁶ თუ ავტორობა ეჭვს არ იწვევს, მაშინ უფრო მოქნილი მიდგომა გამოიყენება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ადამიანი ჩვეულებრივად ანალოგიურად აწერს ხელს.⁷⁷

4.3.3. დამატებები / შემდგომი ჩანაწერები

ფორმის თვალსაზრისით ნამდვილად შედგენილი ანდერძის უბრალო შესწორებები და დაზუსტებები ცალკე ხელმოწერას არ საჭიროებენ,⁷⁸ რადგან ისინი ანდერძის განცხადების შინაარსს არ ცვლიან და მხოლოდ განმარტების დამხმარე საშუალებებს წარმოადგენენ. ტექსტში ცვლილებების გარეშე გაკეთებული ხელნაწერი გადახაზვები ბგბ-ს § 2255 პარაგრაფის მიხედვით იწვევს ანდერძის ნაწილობრივ გაუქმებას⁷⁹ და ასეთი გადახაზვა დამატებით ხელმოწერას არ საჭიროებს; ისინი ანდერძის ნამდვილობაზე გავლენას არ ახდენენ.⁸⁰ მაგალითად, თუკი ანდერძში მოანდერძეს თავდაპირველად ეწერა, რომ ბინა დარჩებოდა მის შვილს, ხოლო შემდეგ კი ეს ჩანაწერი გადახაზა, ეს ჩაითვლება მოცემული განკარგულების გაუქმებად, რაც საფრთხეს არ უქმნის მთლიანი ანდერძის ნამდვილობას, ანუ ანდერძში მოცემული დანარჩენი განკარგულებები, ჩვეულებრივ ძალამოსილი რჩება.

იმგვარი დამატებებისა და ჩანაწერების შემთხვევაში, რომლებიც განცხადების შინაარსს ცვლიან, სამართლებრივი უსაფრთხოების მიზნით, მკაცრად რეკომენდებულია ცალკე ხელმოწერა ადგილისა და თარიღის

75 BGH, Beschluss vom 3. März 2015 - VI ZB 71/14 - NJW-RR 2015, 699, Rn. 8; OLG München, Beschluss vom 5. Mai 2025 - 33 Wx 289/24 e - NJW-RR 2025, 772, Rn. 7.

76 BGH, Beschluss vom 24. Juni 2025 - VI ZB 91/23 - NJW 2025, 2556, Rn. 7; BGH, Beschluss vom 3. März 2015 - VI ZB 71/14 - NJW-RR 2015, 699, Rn. 8; BGH, Beschluss vom 11. April 2013 - VII ZB 43/12 - NJW 2013, 1966, Rn. 8 ff.

77 BGH, Beschluss vom 24. Juni 2025 - VI ZB 91/23 - NJW 2025, 2556, Rn. 12; BGH, Beschluss vom 3. März 2015 - VI ZB 71/14 - NJW-RR 2015, 699, Rn. 8.

78 Staudinger/Baumann (2022) BGB § 2247, Rn. 65 und Rn. 124.

79 OLG Stuttgart, Beschluss vom 25. März 2020 - 8 W 104/19 - FamRZ 2021, 312 Rn. 23.

80 Staudinger/Baumann (2022) BGB § 2247, Rn. 63 f.

მითითებით. მაგალითად, თუკი ანდერძში მითითებული იყო, რომ ქონება თავდაპირველად მხოლოდ ერთ შვილს რჩებოდა, ხოლო შემდგომ კი მო-ანდერძემ მეორე შვილიც დაამატა მემკვიდრედ, მაშინ ასეთი ცვლილება უკვე ახალი განკარგულებაა, რაც საჭიროებს ხელმოწერასა და თარიღის მითითებას. თუმცა, თუკი ადგილი და თარიღი გამოტოვებულია, ასეთი ცვლილებები, როგორც წესი, ფორმის მიხედვით მაინც ნამდვილია, თუკი ისინი ხელმოწერის ფარგლებში სივრცობრივად ექცევიან და არ არიან ცალკე დამატებით ფურცლებზე განთავსებულნი.⁸¹ მაგალითად, თუკი ცვლილება ხელმოწერასთან ახლოსაა, შესაძლოა რომ ასეთი ცვლილება ხელმოწერის გარეშეც ვალიდურად ჩაითვალოს. ამ მხრივ გამოიყენება იგივე კრიტერიუმები, რაც ფორმის დაუცველად შედგენილ ანდერძის დანართებზე მითითების შემთხვევაში.⁸²

4.3.4. ადგილი და დრო

ანდერძის შედგენის ადგილისა და თარიღის მითითება მისი ნამდვილობის აუცილებელი წინაპირობა არ არის (ბგბ, § 2247 II). იგივე წესი მოქმედებს ქართულ სამართალშიც (სკ, მ.1368⁸³). ამიტომ, არც არასწორი და არც საბეჭდი მანქანით/კომპიუტერით შესრულებული თარიღისა და ადგილის მითითება, ფორმის თვალსაზრისით, არ აზიანებს ანდერძის ნამდვილობას.⁸⁴ თუ ანდერძი ხელით დანერგულ ადგილისა და დროის მითითებებს შეიცავს, არსებობს ვარაუდი, რომ ეს მონაცემები სწორია.⁸⁵ ადგილისა და თარიღის არარსებობა მნიშვნელობას იძენს მაშინ, როცა

81 Brandenburgisches Oberlandesgericht, Beschluss vom 1. Juni 2021 - 3 W 53/21 - FamRZ 2021, 1924, Rn. 18; OLG Düsseldorf, Beschluss vom 22. Januar 2021 - I-3 Wx 194/20 - NJW-RR 2021, 522, Rn. 13 ff.; S. Kappler/T. Kappler in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 2247 BGB, Rn. 11; ამომწურავად იხ. Staudinger/Baumann (2022) BGB § 2247, Rn. 68.

82 BGH, Beschluss vom 10. November 2021 - IV ZB 30/20 - BGHZ 231, 377, Rn. 12 ff.

83 სკ, მუხლი 1368. ანდერძის შედგენის თარიღი

ანდერძში მითითებული უნდა იყოს მისი შედგენის თარიღი. თარიღის არარსებობა იწვევს ანდერძის ბათილობას მხოლოდ მაშინ, თუ ვერ გაქარწყლდება ანდერძის შედგენის, შეცვლის ან გაუქმებისას, ასევე რამდენიმე ანდერძის არსებობისას მოანდერძის ქმედუნარიანობასთან დაკავშირებული ეჭვი.

84 S. Kappler/T. Kappler in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 2247 BGB, Rn. 4; Staudinger/Baumann (2022) BGB § 2247, Rn. 133 mwN.

85 Hanseatisches Oberlandesgericht Hamburg, Beschluss vom 24. Februar 2020 - 2 W 60/19 - ErbR 2020, 475, Rn. 77; S. Kappler/T. Kappler in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 2247 BGB, Rn. 4; Staudinger/Baumann (2022) BGB § 2247, Rn. 136.

ამის გამო ანდერძის ნამდვილობასთან დაკავშირებით ეჭვები წარმოიშობა (ბგბ, § 2247 V⁸⁶). მაგალითად, თარიღის მითითებას შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს იმის დასადგენად თუ რა თანმიმდევრობით არის შედგენილი ერთმანეთის საწინააღმდეგო შინაარსის ანდერძები; იყო თუ არა მოანდერძე ანდერძის შედგენის დროს ანდერძუნარიანი; ან რომელი გარემოებები უნდა იქნეს გათვალისწინებული ანდერძის განმარტებისას.⁸⁷ ადგილის მითითებას მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს უცხოურ ელემენტთან დაკავშირებულ შემთხვევებში, როცა უნდა დადგინდეს, თუ რომელი სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული ფორმის მოთხოვნებთან მიმართებით.⁸⁸ ზოგჯერ ადგილის მითითება შესაძლოა გაყალბებაზეც მიანიშნებდეს - მაგალითად, თუ დადგინდება, რომ მამკვიდრებელი აღნიშნულ დღეს მითითებულ ადგილზე საერთოდ არ იმყოფებოდა.

თუ საპირისპირო ვერ დადგინდა, რამდენიმე უთარილო ანდერძი განიხილება ისე, თითქოს ისინი ერთდროულად იყოს შედგენილი.⁸⁹ თუ ასეთ ანდერძებს შორის არსებობს წინააღმდეგობები, რომლებიც განმარტებით ვერ აღმოიფხვრება, ჩვეულებრივ მიიჩნევა, რომ ისინი ერთმანეთის მოქმედებას აუქმებენ და შესაბამისად, არანამდვილია.⁹⁰ გარდა ამისა, ასეთი ურთიერთსაწინააღმდეგო ცვლილებები შესაძლოა მიუთითებდეს იმაზეც, რომ ნების ფორმირების პროცესი ჯერ დასრულებული არ იყო

86 ბგბ, § 2247. საკუთარი ხელით დაწერილი ანდერძი

(1) მამკვიდრებელს შეუძლია ანდერძის შედგენა საკუთარი ხელით დაწერილი და ხელმოწერილი ფორმით.

(5) თუ 1-ლი ნაწილის თანახმად შედგენილი ანდერძი არ შეიცავს მისი შედგენის თარიღს და ამის გამო მის ნამდვილობაში შეიჭანება ეჭვი, მაშინ ანდერძი ჩაითვლება ნამდვილად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი შედგენის თარიღი შეიძლება დადგინდეს სხვა ხერხით. იგივე წესი შესაბამისად მოქმედებს იმ ანდერძის მიმართ, რომელიც არ შეიცავს შედგენის ადგილის შესახებ მითითებას.

87 OLG Braunschweig, Beschluss vom 20. März 2019 - 1 W 42/17 - NJW-RR 2019, 583, Rn. 21; Schleswig-Holsteinisches Oberlandesgericht, Beschluss vom 16. Juli 2015 - 3 Wx 53/15 - FamRZ 2016, 585, Rn. 31 ff.; Staudinger/Baumann (2022) BGB § 2247, Rn. 137.

88 შდრ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტი 1961 წლის 5 ოქტომბრის ჰააგის კონვენციის („ანდერძისმიერი განკარგულებების ფორმის მიმართ გამოსაყენებელი სამართლის შესახებ“) მე-3 მუხლთან ერთობლიობაში (BGBl. 1965 II S. 1144, 1145).

89 Bayerisches Oberstes Landesgericht, Beschluss vom 12. Juli 2004 - 1Z BR 049/04 - FamRZ 2005, 482, Rn 16; Staudinger/Baumann (2022) BGB § 2247, Rn. 142.

90 Bayerisches Oberstes Landesgericht, Beschluss vom 12. Juli 2004 - 1Z BR 049/04 - FamRZ 2005, 482, Rn 20, Bauermeister in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 2258 BGB (01.07.2023 მდგომარეობით), Rn. 10; Staudinger/Baumann (2022) BGB § 2247, Rn. 142 und Rn. 147.

და დოკუმენტები, ხელმოწერის მიუხედავად, მხოლოდ პროექტებს წარმოადგენდა.⁹¹ თუ არსებობს რამდენიმე ანდერძი, რომელთაგანაც მხოლოდ ერთია დათარიღებული და ის შინაარსობრივად ეწინააღმდეგება დაუთარიღებელ ანდერძებს, უპირატესობა მიენიჭება დათარიღებულ ანდერძს, თუკი სხვა ანდერძების შედგენის დრო სხვა გზით ვერ დგინდება.⁹²

5. ანდერძის განმარტება

5.1. ზოგადი პრინციპები

საბოლოო ნების შინაარსი უნდა დადგინდეს დოკუმენტირებული ნების გამოვლენის განმარტების გზით. ამისთვის გამოიყენება ნების გამოვლენის განმარტების ზოგადი პრინციპები, მათ შორის, შემავსებელი განმარტების (*Die ergänzende Auslegung*) წესებიც. თუმცა, იმ ნების გამოვლენასთან შედარებით, რომელიც ორმხრივი სამართლებრივი გარემოს ფარგლებში კეთდება, ანდერძის განმარტებისას არსებობს ორი მნიშვნელოვანი თავისებურება - განმარტების კრიტერიუმები და ფორმასავალდებულობის შედეგები.

5.1.1. განმარტების კრიტერიუმები

საანდერძო განკარგულება წარმოადგენს ისეთ ცალმხრივ ნების გამოვლენას, რომელიც მიღებას არ საჭიროებს.⁹³ ამიტომ, მისი განმარტებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ მოანდერძის რეალურ ნებას და არა ამ ნების ობიექტურ გაგებას ან იმ პირის აღქმას, ვის სასარგებლოდაც არის გაკეთებული საბოლოო განკარგულება, ანუ ანდერძის განმარტების დროს ე.წ. „მიმღების ჰორიზონტის“ სტანდარტი არ

91 Bayerisches Oberstes Landesgericht, Beschluss vom 7. April 1989 - BReg 1 a Z 9/88 - NJW-RR 1989, 1092, Rn. 15; *Staudinger/Baumann* (2022) BGB § 2247, Rn. 142.

92 *Staudinger/Baumann* (2022) BGB § 2247, Rn. 147 mwN.

93 OLG Karlsruhe, Beschluss vom 11. März 2022 - 11 W 104/20 (Wx) - FamRZ 2023, 389, Rn. 16; OLG Nürnberg, Urteil vom 4. August 2020 - 3 U 2727/19 - ErbR 2021, 144, Rn. 41; OLG Hamm, Beschluss vom 27. November 2015 - I-10 W 153/15 - FamRZ 2016, 1500, Rn. 31; *Staudinger/Baumann* (2022) BGB § 2247, Rn. 24.

გამოიყენება.⁹⁴ მაგალითად, როგორც წესი, მოანდერძის ნებას შეესაბამება, რომ სიტყვით „ეკლესია“ იგი გულისხმობდეს იმ რელიგიურ გაერთიანებას, რომელსაც თავად ეკუთვნის.⁹⁵ ამას ვერ ცვლის ის გარემოება, რომ ყოველდღიურ ენაში სიტყვა „ეკლესია“ შესაძლოა სხვა რელიგიურ გაერთიანებასაც აღნიშნავდეს ან ცალკეულ სახელმწიფოებში - „სახელმწიფო ეკლესიის“ ინსტიტუტს.

საანდერძო განკარგულების შინაარსის დასადგენად გათვალისწინებული და შეფასებული უნდა იქნეს ანდერძის დოკუმენტის მთელი შინაარსი, აგრეთვე ყველა თანმხლები გარემოება, მათ შორის ისინიც, რომლებიც დოკუმენტის ფარგლებს გარეთ არსებობენ.⁹⁶ თუ სამოქალაქოსამართლებრივ დავაში მხარეები მოსამართლეს არ წარუდგენენ დოკუმენტს გარეთ არსებულ გარემოებებს, მაშინ დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მოსამართლე იძულებულია (მხარისათვის სამართლებრივი მითითების უშედეგოდ მიცემის შემდეგ) ანდერძის განმარტებისას მხოლოდ ტექსტის სიტყვიერი შინაარსის ანალიზით შემოიფარგლოს.⁹⁷

ნების დადგენისთვის გადამწყვეტია ანდერძის შედგენის დრო.⁹⁸ თუმცა, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ მოგვიანებით განვითარებული მოვლენების შემთხვევაში - მაგალითად, მემკვიდრის მოულოდნელი გამორიცხვის ან უნებლიედ დატოვებული სამართლებრივი სიცარიელის არსებობისას - მემკვიდრის შესახებ გაკეთებული განცხადება შემავსებელი გან-

94 Geiger, AnwZert ErbR 1/2023 Anm. 1, Abschnitt B. II.; Schiffer, AnwZert ErbR 24/2016 Anm. 2, Abschnitt B. III.; Rudolf/Scharf, AnwZert ErbR 9/2009 Anm. 1, Abschnitt B I.1.a.

95 Bayerisches Oberstes Landesgericht, Beschluss vom 16. Juli 1998 - 1Z BR 75/98 - NJW 1999, 1119, Rn. 19.

96 BGH, Urteil vom 7. Oktober 1992 - IV ZR 160/91 - NJW 1993, 256, Rn. 10 ff.; OLG Frankfurt, Beschluss vom 23. Oktober 2023 - 21 W 69/23 - NJW-RR 2023, 1563, Rn. 24; KG Berlin, Urteil vom 24. November 2022 - 19 U 39/21 - ErbR 2024, 532, Rn. 97; Brandenburgisches Oberlandesgericht, Beschluss vom 23. November 2022 - 3 W 121/22 - FamRZ 2023, 726, Rn. 17; სტაბილური სასამართლო პრაქტიკა.

97 BGH, Urteil vom 8. Dezember 1982 - IVa ZR 94/81 - BGHZ 86, 41, Rn. 16; KG Berlin, Beschluss vom 17. Januar 2020 - 6 W 58/19 - ErbR 2020, 410 - Rn. 11 f.; OLG München, Beschluss vom 6. Juli 2006 - 31 Wx 35/06 - NJW-RR 2006, 159, Rn. 14 ff.

98 BGH, Beschluss vom 2. April 2003 - IV ZB 28/02 - NJW 2003, 2095, Rn. 11; OLG Celle, Beschluss vom 11. Juli 2022 - 6 W 77/22 - FamRZ 2023, 728, Rn. 24; Staudinger/Baumann (2022) BGB § 2247, Rn. 25; für Erbvertrag: BGH, Beschluss vom 26. März 2025 - IV ZB 15/24 - NJW 2025, 2151, Rn. 12; BGH, Beschluss vom 22. Mai 2024 - IV ZB 26/23 - NJW 2024, 2537, Rn. 10.

მარტების გზით იქნეს გაგებული, იმ ნების საფუძველზე, რომელიც მოანდერძეს ანდერძის შედგენის მომენტში ჰქონდა. ანუ, ასეთ დროს სასამართლო ცდილობს დაადგინოს, რას ისურვებდა მოანდერძე ასეთი ახალი სიტუაციის ცოდნის შემთხვევაში.

ერთობლივი ანდერძის შემთხვევაში აღნიშნული განმარტების პრინციპი გარკვეულ მოდიფიკაციას საჭიროებს, რადგან ორივე მეუღლის ნება ერთიანი უნდა იყოს. ამიტომ ერთობლივი ანდერძის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა თითოეული მეუღლის ინდივიდუალურ რეალურ ნებას, არამედ ორივე მათგანის საერთო რეალურ ნებას. ეს ნება განისაზღვრება იმ განცხადების შინაარსით, რომელიც თითოეული მეუღლისთვის მეორის მხრიდან ამოცნობადი იყო მათი საერთო სუბიექტური გაგებით.⁹⁹ ნებისმიერ შემთხვევაში, ნების სამართლებრივი აღიარება თავის საზღვრებს აღწევს იქ, სადაც იგი უკვე იწვევს ბგბ-ს § 2065 პარაგრაფისა¹⁰⁰ და მასში კონკრეტიზებული განსაზღვრულობის ზოგადი მოთხოვნის დარღვევას.¹⁰¹

5.1.2. ფორმასავალდებულობის შედეგები

განმარტების გზით დადგენილი ნება მხოლოდ მაშინ მიიჩნევა კანონით მოთხოვნილი ფორმით დაფიქსირებულად, თუ იგი ანდერძის ტექსტში გარკვეულ შინაარსს მაინც პოულობს, თუნდაც „ფარული“ ფორმით.¹⁰² მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა განმარტებისთვის მნიშვნელოვანი სხვა გარემოებები (რომლებიც დოკუმენტის ფარ-

99 BGH, Urteil vom 26. September 1990 - IV ZR 131/89 - NJW 1991, 169, Rn. 18; OLG Celle, Beschluss vom 11. Juli 2022 - 6 W 77/22 - FamRZ 2023, 728, Rn. 24.

100 ბგბ, § 2065. მესამე პირის მიერ ანდერძის ნამდვილობის ან ბათილობის განსაზღვრის დაუშვებლობა

(1) მამკვიდრებელს არ შეუძლია საანდერძო განკარგულების განხორციელება იმგვარად, რომ სხვა პირმა განსაზღვროს, არის თუ არა საანდერძო განკარგულება ნამდვილი ან ბათილი.

(2) მამკვიდრებელს არ შეუძლია დაავალოს სხვას იმ პირის განსაზღვრა, რომელმაც უნდა მიიღოს ქონება, ისევე როგორც – ქონებრივი გადაცემის საგნის განსაზღვრა.

101 BGH, Beschluss vom 10. November 2021 - IV ZB 30/20 - BGHZ 231, 377, Rn. 15; OLG Celle, Beschluss vom 11. Juli 2022 - 6 W 77/22 - FamRZ 2023, 728, Rn. 24.

102 BGH, Beschluss vom 10. November 2021 - IV ZB 30/20 - BGHZ 231, 377, Rn. 18; BGH, Beschluss vom 19. Juni 2019 - IV ZB 30/18 - NJW 2019, 2317, Rn. 17; BGH, Beschluss vom 9. April 1981 - IVa ZB 6/80 - BGHZ 80, 246, Rn. 13; BGH, Urteil vom 24. Oktober 1979 - IV ZR 31/78 - NJW 1980, 1276, Rn. 27; სტაბილური სასამართლო პრაქტიკა.

გლებს გარეთ არსებობს) ანდერძის ტექსტში მინიმუმ მინიშნების დონეზე მაინც არის ასახული, შეიძლება დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს კანონით დადგენილი წერილობითი ფორმის მოთხოვნა (ხელნაწერი ან ნოტარიულად დამოწმებული ფორმა).¹⁰³

თუ მოანდერძის ნამდვილი ნება ანდერძის ტექსტში საერთოდ არ პოულობს არანაირ, მათ შორის არც „ფარულ“ გამოხატულებას, მაშინ ანდერძი არ განიხილება თავისი ტექსტური შინაარსის მიხედვით, არამედ ფორმადაუცველობის გამო არანამდვილად მიიჩნევა.¹⁰⁴ პრაქტიკაში მსგავსი შემთხვევები იშვიათია, რადგან მოქმედებს პრეზუმფცია, რომ ანდერძის ტექსტის სიტყვიერი ფორმულირების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მოანდერძის ნებას. ამიტომ ფორმის დარღვევის გამო ანდერძი ბათილად მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს მიჩნეული, როცა უტყუარად დგინდება, რომ მოანდერძის რეალური ნება შეუთავსებელი იყო ანდერძის ტექსტში ასახულ შინაარსთან. თუ საბოლოო განკარგულება ფორმის მიხედვით არანამდვილია, მაშინ მისი „გარდაქმნა“ ფორმის მიხედვით ნამდვილ განკარგულებად შემავსებელი განმარტების პრინციპების გამოყენებითაც კი დაუშვებელია.¹⁰⁵

5.1.3. პრაქტიკული შედეგები

ზემოთ წარმოდგენილი პრინციპები ანდერძის განმარტებაზე შემდეგნაირად აისახება:¹⁰⁶

5.1.3.1. ნამდვილი ნების დადგენა

თუ ანდერძი შეიცავს ბუნდოვან ან არასრულ განკარგულებებს, პირველ რიგში, უნდა შევეცადოთ, განმარტების გზით დავადგინოთ მამკვიდრებლის ნება, რაშიც შესაძლოა დავიხმაროთ დოკუმენტის ფარგლებს გარეთ არსებული გარემოებებიც. ამასთან გამოიყენება ნების გამოვლენის

103 შდრ. BGH, Beschluss vom 10. November 2021 - IV ZB 30/20 - BGHZ 231, 377, Rn. 18.

104 BGH, Beschluss vom 10. November 2021 - IV ZB 30/20 - BGHZ 231, 377, Rn. 21; BGH, Beschluss vom 19. Juni 2019 - IV ZB 30/18 - NJW 2019, 2317, Rn. 17 f.; OLG Frankfurt, Beschluss vom 30. Juli 2020 - 20 W 79/19 - ErbR 2021, 851 Rn. 20 und Rn. 22; *Staudinger/Baumann* (2022) BGB § 2247, Rn. 20; ზოგადად აღიარებული შეხედულება.

105 შდრ. BGH, Beschluss vom 10. November 2021 - IV ZB 30/20 - BGHZ 231, 377, Rn. 25.

106 თვალსაჩინოებისთვის იხ. OLG Braunschweig, Beschluss vom 20. März 2019 - 1 W 42/17 - NJW-RR 2019, 583, Rn. 31 ff.

განმარტების ზოგადი წესები (ბგბ, § 133¹⁰⁷).¹⁰⁸ გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლო ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს:¹⁰⁹

„ანდერძის განმარტებისას უპირველეს ყოვლისა უნდა დადგინდეს მონდერძის რეალური ნება და არ უნდა მოხდეს მხოლოდ გამოყენებული სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობის სიტყვა-სიტყვითი გაგება (*vgl. Senatsbeschluss vom 10. Dezember 2014 - IV ZR 31/14, ZEV 2015, 343 Rn. 16; Senatsurteil vom 24. Juni 2009 - IV ZR 202/07, FamRZ 2009, 1486 Rn. 25*). მოსამართლე ამ ამოცანას სრულყოფილად მხოლოდ მაშინ შეასრულებს, თუ იგი ტექსტის მხოლოდ სიტყვასიტყვითი ანალიზით არ შემოიფარგლება (*Senatsurteile vom 24. Juni 2009 aaO; vom 27. Februar 1985 - IVa ZR 136/83, BGHZ 94, 36 unter II 1 [juris Rn. 11]; vom 8. Dezember 1982 - IVa ZR 94/81, BGHZ 86, 41 unter II 1 [juris Rn. 16]*). გამოყენებული გამონათქვამების სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა გარკვეული თვალსაზრისით უნდა „დაისვას კითხვის ნიშნის ქვეშ“, თუკი საჭიროა მონდერძის რეალური ნების გათვალისწინება (*Senatsurteile vom 24. Juni 2009 aaO; vom 28. Januar 1987 - IVa ZR 191/85, FamRZ 1987, 475 unter 5 [juris Rn. 17]*).

ამისათვის მოსამართლემ ყურადღება უნდა მიაქციოს ყველა იმ გარემოებას, რომელიც სასამართლო განხილვის მასალებიდან მისთვის ხელმისაწვდომია და რომელიც ანდერძის დოკუმენტის ფარგლებს გარეთ არსებობს (*vgl. Senatsurteile vom 16. Juli 1997 - IV ZR 356/96, ZEV 1997, 376 unter 3 [juris Rn. 12]; vom 7. Oktober 1992 - IV ZR 160/91, NJW 1993, 256 unter 2 [juris Rn. 10]*).“

ტექსტის ფარგლებს გარეთ არსებულ ასეთ გარემოებებს მიეკუთვნება, მაგალითად, ანდერძის პროექტები ან ფორმის მიხედვით არანამდვილი ანდერძები;¹¹⁰ ასევე, სხვა წერილობითი დოკუმენტები (მაგალითად, თანმხლები წერილები); ან მოწმეების მიერ დადასტურებული მონდერძის განცხადებები.¹¹¹

107 ბგბ, § 133. ნების გამოვლენის განმარტება

ნების გამოვლენის განმარტებისას უნდა დადგინდეს ნამდვილი ნება, გამოთქმის სიტყვასიტყვით მნიშვნელობაზე შეჩერების გარეშე.

108 BGH, Beschluss vom 26. März 2025 - IV ZB 15/24 - NJW 2025, 2151, Rn. 12.

109 BGH, Beschluss vom 19. Juni 2019 - IV ZB 30/18 - NJW 2019, 2317, Rn. 15.

110 Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Beschluss vom 15. Januar 2019 - 5 W 90/18 - NJW-RR 2019, 906, Rn. 18; Hanseatisches Oberlandesgericht Hamburg, Beschluss vom 18. März 2015 - 2 W 5/15 - FamRZ 2016, 665, Rn 31.

111 OLG Frankfurt, Beschluss vom 11. Januar 2025 - 20 W 169/23 - ErbR 2026, 232, Rn. 66.

ეს გარემოებები შეიძლება არსებობდეს როგორც ანდერძის შედგენამდე, ისე მისი შედგენის შემდეგ. მართალია, სამართლებრივად გადამწყვეტია მოანდერძის ნება ანდერძის შედგენის მომენტში, თუმცა ეს არ გამოირიცხავს, რომ წინარე ან შემდგომ გარემოებებს ინდიციური¹¹² მნიშვნელობა ჰქონდეს.¹¹³ ეს განსაკუთრებით იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ საანდერძო განკარგულებები, როგორც წესი, სპონტანურ გადაწყვეტილებებს არ წარმოადგენენ, არამედ არის გადაწყვეტილების მიღების ხანგრძლივი პროცესის შედეგი. ასევე, არ არის უჩვეულო, რომ ანდერძის შედგენის შემდეგ მის შინაარსზე საუბარი მიმდინარეობდეს ახლობლებსა თუ მეგობრებში, რის საფუძველზეც შესაძლებელია მოანდერძის რეალური ან სავარაუდო ნების შესახებ დასკვნების გაკეთება. გარდა ამისა, განსაკუთრებით ორგანიზაციების სასარგებლოდ გაკეთებული განკარგულებების შემთხვევაში მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს გარკვეულ საზოგადოებრივ ან კულტურულ ინტერესებს, სოციალურ ან საქველმოქმედო საქმიანობას, რელიგიურ კავშირებს, ან სხვა პირად ინტერესებს. ხოლო როდესაც საკითხი ეხება ფიზიკური პირების განსაზღვრას, მოანდერძის პოტენციური მეგობრული ან მტრული დამოკიდებულება კონკრეტული პირების მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მისი ნების დასადგენად.¹¹⁴ ამ ნების დადგენისას ბგბ-ს § 2084 პარაგრაფის¹¹⁵ მიხედვით აუცილებელია გამოყენებულ იქნეს განმარტება საანდერძო განკარგულების ნამდვილობის სასარგებლოდ, ანუ ისეთი ინტერპრეტაცია, რომელიც ეჭვის შემთხვევაში მაქსიმალურად შეესაბამება მოანდერძის სავარაუდო ნებას.¹¹⁶ თუნდაც ტექსტი ენობრივად სრულიად მკაფიო და

112 რაღაც გარემოება შესაძლოა პირდაპირ მტკიცებულებას არ წარმოადგენდეს, მაგრამ შესაძლოა იყოს გარკვეული ფაქტების არსებობის მიმანიშნებელი ან სავარაუდო მაჩვენებელი. იურიდიულ ენაში „ინდიცია“ აღნიშნავს ისეთ გარემოებას, საიდანაც შესაძლებელია სხვა ფაქტზე ლოგიკური დასკვნის გაკეთება.

113 OLG Frankfurt, Beschluss vom 11. Januar 2025 - 20 W 169/23 - ErbR 2026, 232, Rn. 66.

114 შდრ. KG Berlin, Beschluss vom 16. August 2024 - 6 W 39/23 - ErbR 2024, 955, Rn. 43.

115 ბგბ, § 2084. განმარტება საანდერძო განკარგულების ძალმოსილების სასარგებლოდ

თუ საანდერძო განკარგულების შინაარსი იძლევა განსხვავებული განმარტების შესაძლებლობას, მაშინ საეჭვოობისას უპირატესობა ენიჭება იმ განმარტებას, რომლითაც განკარგულებას შეიძლება ჰქონდეს შედეგი.

116 OLG Celle, Beschluss vom 11. Juli 2022 - 6 W 77/22 - FamRZ 2023, 728, Rn. 24; KG Berlin, Beschluss vom 13. Dezember 2017 - 26 W 45/16 - Rn 19; OLG Koblenz, Beschluss vom 10. Dezember 2012 - 2 U 963/11 - juris Rn. 10.

ერთმნიშვნელოვანი იყოს, ეს არ ზღუდავს ასეთი განმარტების შესაძლებლობას.¹¹⁷

მემკვიდრეობით-სამართლებრივი ტერმინების გამოყენების შემთხვევაშიც გადამწყვეტია მოანდერძის სუბიექტური გაგება. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა მოანდერძე იურისტი არ არის, მის მიერ გამოყენებული ტერმინები შეიძლება არ შეესაბამებოდეს მათ იურიდიულ მნიშვნელობას.¹¹⁸ ეს ყურადსაღებია მაშინაც, როცა ანდერძის მთლიანი შინაარსი არ შეესაბამება მასში გამოყენებულ ცალკეულ სამართლებრივ ცნებებს.¹¹⁹ ამიტომ გერმანელმა კანონმდებელმა ბგბ-ს § 2087 პარაგრაფში¹²⁰ სამართლიანად დაადგინა, რომ განსაკუთრებით, მემკვიდრეობასა და ლეგატს შორის გამიჯვნისას მნიშვნელობა არ აქვს, რა სახელით მოიხსენიებს მოანდერძე ბენეფიციარს. ანუ, პირის მემკვიდრის სტატუსით მოხსენიება ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ ის მართლაც მემკვიდრეა, შესაძლოა ეს პირი მხოლოდ ლეგატარი იყოს.

ყოველივე ზემოთგანხილული *a priori* არ ნიშნავს იმას, რომ მკაფიო ტექსტი ჩვეულებრივ არ ასახავს მოანდერძის რეალურ ნებას. თუ ტექსტი ერთმნიშვნელოვანია, სასამართლო მხოლოდ მაშინ იკვლევს, ჰქონდა თუ არა მოანდერძეს ტექსტისგან განსხვავებული ნება, როცა ამისათვის არსებობს გარკვეული მინიშნებები ან ასეთი გარემოებები პროცესის მონაწილეთა მიერ არის წარმოდგენილი.

117 BGH, Urteil vom 8. Dezember 1982 - IVa ZR 94/81 - BGHZ 86, 41, Rn. 16; Hanseatisches Oberlandesgericht Hamburg, Beschluss vom 5. Februar 2020 - 2 W 2/20 - RPfleger 2021, 423, Rn. 50.

118 OLG Karlsruhe, Urteil vom 1. Oktober 2024 . 14 U 144/23 - NJW-RR 2025, 262, Rn. 37; Brandenburgisches Oberlandesgericht, Beschluss vom 22. Februar 2023 - 3 W 31/22 - FamRZ 2023, 1401, Rn. 15; Bayerisches Oberstes Landesgericht, Beschluss vom 8. Mai 2003 - 1Z BR 124/02 - Rn. 42; strenger, weil Nachweis eines abweichenden Verständnisses verlangend: OLG Stuttgart, Beschluss vom 22. Februar 2022 - 8 W 361/21 - FamRZ 2023, 1238, Rn. 32.

119 Thüringer Oberlandesgericht, Beschluss vom 31. Juli 2018 - 6 W 14/16 - FamRZ 2019, 397, Rn. 34.

120 ბგბ, § 2087. ქონების, ქონების ნაწილის ან ცალკეული საგნების გადაცემა
(1) თუ მამკვიდრებელმა უნდერძა თავისი ქონება ან თავისი ქონების ნაწილი მემკვიდრედ დანიშნულ პირს, მაშინ საანდერძო განკარგულება განიხილება როგორც მემკვიდრის დანიშვნა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მემკვიდრედ დანიშნული პირი არ არის დასახელებული როგორც მემკვიდრე.
(2) თუ მემკვიდრედ დანიშნულ პირს გადაეცა მხოლოდ ცალკეული საგნები, მაშინ საეჭვოობისას არ ივარაუდება, რომ იგი უნდა იყოს მემკვიდრე იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის დასახელებულია როგორც მემკვიდრე.

ანდერძის განმარტებასთან დაკავშირებულ დავებში გამოიყენება მტკიცების ტვირთის გადანაწილების ზოგადი წესები. თუ არ არსებობს კანონით დადგენილი ვარაუდი, თითოეულ მხარეს ეკისრება მისთვის ხელსაყრელი გარემოებების მტკიცების ტვირთი.¹²¹ მაგალითად, ბგბ-ს § 2069 პარაგრაფი ქმნის იმისი ვარაუდის საფუძველს რომ, თუკი შვილი მემკვიდრედ იყო დანიშნული და ის მამკვიდრებელზე ადრე გარდაიცვლება, მაშინ მიიჩნევა რომ მემკვიდრეებად დანიშნულები არიან შთამომავლის (ანუ შვილის) შთამომავლები (შვილიშვილები) და ისინი დაიკავებენ გარდაცვლილი მშობლის ადგილს. ამ ნორმაში კანონმდებელი თავად ქმნის მოანდერძის სავარაუდო ნების სასარგებლოდ მოქმედ პრეზუმფციას და შესაბამისად, ამით ამსუბუქებს გარდაცვლილი მემკვიდრის შთამომავლების მტკიცების ტვირთს იმასთან დაკავშირებით, რომ მოანდერძეს ასეთ შემთხვევაში სწორედ მათი მემკვიდრედ დანიშვნა ენდომებოდა.

თვითონ ანდერძის განმარტება სამართლის საკითხია, თუმცა იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, რომლებსაც განმარტება ეფუძნება, უკვე ფაქტის საკითხია.¹²² ამიტომ მხარე, რომელიც ანდერძის ტექსტის გარეთ არსებულ გარემოებებს ეყრდნობა, ვალდებულია მიუთითოს ეს გარემოებები და სათანადოდ დაამტკიცოს მათი არსებობა.¹²³ ეს ასევე ნიშნავს იმასაც, რომ მან უნდა უარყოს მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი ისეთი გარემოებები, რომლებიც მის ინტერპრეტაციას ეწინააღმდეგება.¹²⁴ მტკიცების ტვირთის სწორად გადანაწილების საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ საქმეში განმარტავს: „მტკიცების ტვირთის სწორად განაწილებისას მხედველობაშია მისაღები ანდერძის ნამდვილობის პრეზუმფცია. დასახელებული პრეზუმფცია, როგორც ვარაუდი ამა თუ იმ ფაქტის შესახებ,

121 BGH, Urteil vom 24. Februar 1993 - IV ZR 239/91 - NJW 1993, 2168 - Rn. 30; BGH, Urteil vom 18. Januar 1978 - IV ZR 181/76 - MDR 1978, 649, Rn. 16; Brandenburgisches Oberlandesgericht, Beschluss vom 10. Februar 2026 - 3 W 14/23 - juris Rn. 30; OLG Karlsruhe, Urteil vom 1. Oktober 2024 - 14 U 144/23 - NJW-RR 2025, 262, Rn. 33; vgl. bei Testierfähigkeit: BGH, Beschluss vom 23. November 2011 - IV ZR 49/11 - FamRZ 2012, 297, Rn. 21.

122 OLG Karlsruhe, Urteil vom 1. Oktober 2024 - 14 U 144/23 - NJW-RR 2025, 262, Rn. 33; *Staudinger/Otte* (2019) Vorbemerkungen zu §§ 2064-2086, Rn. 120.

123 BGH, Urteil vom 16. März 2005 - IV ZR 272/03 - NJW-RR 2005, 953, Rn. 18; BGH, Urteil vom 24. Februar 1993 - IV ZR 239/91 - NJW 1993, 2168, Rn. 30; BGH, Urteil vom 18. Januar 1978 - IV ZR 181/76 - MDR 1978, 649, Rn. 16; Brandenburgisches Oberlandesgericht, Beschluss vom 10. Februar 2026 - 3 W 14/23 - juris Rn. 30.

124 BGH, Urteil vom 24. Februar 1993 - IV ZR 239/91 - NJW 1993, 2168 - Rn. 30.

მტკიცებას არ ექვემდებარება და თუ იგი არ იქნა უარყოფილი, სასამართლომ უნდა გამოიყენოს პრეზუმირებული ფაქტი. თავის მხრივ, პრეზუმირებული ფაქტის პროცესუალური ბუნება ვლინდება იმაში, რომ ამგვარი ვარაუდის გაქარწყლება ეკისრება პირს, რომლის წინააღმდეგაცაა მიმართული იგი. ამდენად, ის გარემოება, რომ ანდერძი არ წარმოადგენს ნამდვილს, მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს.¹²⁵

5.1.3.2. განსაზღვრულობის არარსებობა

ამგვარი განმარტებით არ ირღვევა ბგბ-ს § 2065 პარაგრაფით დადგენილი ანდერძის პირადად შედგენის მოთხოვნა.¹²⁶ ასეთი მიდგომით სასამართლო არ ანაცვლებს მოანდერძის ნებას საკუთარი შეხედულებით, არამედ ადგენს მას კანონით დადგენილი წესით - ცალმხრივი ნების გამოვლენის განმარტების ზოგადი პრინციპების დაცვით და იმ შეზღუდვების გათვალისწინებით, რომლებიც ანდერძის ფორმის სავალდებულო მოთხოვნებიდან გამომდინარეობს. თუმცა, თუ ანდერძის ტექსტი იმდენად ბუნდოვანია, რომ მისი განმარტება შედეგს ვერ იძლევა, მაშინ ანდერძი ბათილად იქნება მიჩნეული.¹²⁷ ზოგადად, აღნიშნული საკითხი სასამართლო პრაქტიკაში სადავო არ არის და ზოგიერთ შემთხვევაში იგი პირდაპირ ბგბ-ს § 2065 პარაგრაფით¹²⁸, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კი ზოგადი განსაზღვრულობის მოთხოვნიდან გამომდინარე საბუთდება.¹²⁹

განსაზღვრულობის მოთხოვნის დარღვევა სახეზეა მხოლოდ მაშინ, როცა მოანდერძის ნება, ბგბ-ს § 2084 პარაგრაფის შესაბამისად განმარტების შემთხვევაშიც კი, არ არის საკმარისად ამოსაცნობი; ანუ როცა

125 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2025 წლის 28 მარტის #ას-1393-2024 განჩინება.

126 შდრ. BGH, Beschluss vom 14. Juli 1965 – V BLw 11/65 - NJW 1965, 2201, Rn. 55; OLG Braunschweig, Beschluss vom 20. März 2019 - 1 W 42/17 - NJW-RR 2019, 583, Rn. 33 ff.; Bayerisches Oberstes Landesgericht, Beschluss vom 16. Juli 1998 – 1Z BR 75/98 - NJW 1999, 1119, Rn. 17.

127 BGH, Beschluss vom 10. November 2021 - IV ZB 30/20 - BGHZ 231, 377, Rn. 15; OLG Braunschweig, Beschluss vom 20. März 2019 - 1 W 42/17 - NJW-RR 2019, 583, Rn. 33.

128 OLG Köln, Beschluss vom 14. November 2016 - 2 Wx 536/16 - NJW RR 2017, 648, Rn. 22; OLG München, Beschluss vom 22. Mai 2013 - 31 Wx 55/13 - NJW 2013, 2977, Rn. 13 ff.; wohl auch BGH, Beschluss vom 14. Juli 1965 - V BLw 11/65 - NJW 1965, 2201, Rn. 55.

129 Bayerisches Oberstes Landesgericht, Beschluss vom 22. Juli 1998 - 1Z BR 229/97 - NJW 1999, 1118, Rn. 15 ff.

ფაქტობრივად „ნისლში ხელის ცეცებით“ გვინევს მოქმედება. მაგალითად, თუკი მოანდერძემ მიუთითა, რომ „ეკლესიამ ან ქალაქის ადმინისტრაციამ“ (კონკრეტულად აღწერილი საქველმოქმედო მიზნისთვის) უნდა მიიღოს მემკვიდრეობა, მხოლოდ სიტყვა „ან“-ის არსებობა (რომელიც ენობრივი თვალსაზრისით ორ თანაბრად შესაძლო ალტერნატივაზე მიუთითებს), ჯერ კიდევ არ გამოორიცხავს ნების განსაზღვრადობას, ვინაიდან ენობრივად შესაძლოა გარკვევადი იყოს, თუ რომელ სამართალსუბიექტს გულისხმობდა იგი მემკვიდრედ. ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს, შესაძლებელია თუ არა მოანდერძის რეალური ან სავარაუდო ნების შესაბამისად საკითხის გადანყვეტა. მაგალითად, თუ მოანდერძე განსაკუთრებულად იყო დაკავშირებული ქრისტიანულ ღირებულებებთან, შესაძლებელია, მიუხედავად სიტყვა „ან“-ისა, მისი ნება ყოფილიყო, რომ უპირატესად მემკვიდრედ დაენიშნა პირველად მითითებული „ეკლესია“, ხოლო შემდეგ ნახსენები, რელიგიურად ნეიტრალური „ქალაქის ადმინისტრაცია“ მხოლოდ სათადარიგო მემკვიდრედ. ასეთი ინტერპრეტაცია შეიძლება „ფართო“ იყოს, თუმცა ის მაინც უფრო ახლოს დგას მოანდერძის წარმოდგენებთან, ვიდრე კანონისმიერი მემკვიდრეობის ავტომატური გამოყენება. ამის საპირისპიროდ, განსაზღვრულობის ნაკლებობა დადგინდა იმ შემთხვევაში, როცა ანდერძით მემკვიდრე უნდა გამხდარიყო ის, ვინც მოანდერძეს „მოუვლიდა“¹³⁰ და მას „მოხუცთა პანსიონატში არ მოათავსებდა“.¹³¹ აქ უკვე საერთოდ შეუძლებელი იყო იმის გარკვევა, თუ რას გულისხმობდა მოანდერძე „მოვლაში“ და ვის მიემართებოდა მეორე დათქმის უარყოფითი ფორმულირება.¹³² განსაზღვრულობა სახეზეა მაშინაც, როცა დგინდება, რომ მოანდერძის მიზანია, გარკვეული საზოგადოებრივ-სასარგებლო მიზნის განხორციელება; მაგალითად, არა ზოგადად „ადამიანებისთვის

130 მაგალითად, ვინ იგულისხმება აქ - მეზობლები, რომლებიც დროდადრო კარზე აკაკუნებენ და ეკითხებიან, ყველაფერი რიგზე არის თუ არა? თუ ის პირები, რომლებიც აკონტროლებენ, იღებს თუ არა მოანდერძე ექიმის მიერ დანიშნულ მედიკამენტებს?

131 ვინ უნდა იგულისხმებოდეს - ამბულატორიული მოვლის სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც მოანდერძეს პირადი ჰიგიენის უზრუნველყოფაში ეხმარებიან? თუ კეთილგანწყობილი მეზობელი, რომელსაც რეგულარულად მიაქვს მისთვის საკვები? იქნებ შვილიშვილი, რომელიც მისთვის ყოველდღიური საჭიროების ნივთებს ყიდულობს?

132 იხ. OLG Braunschweig, Beschluss vom 20. März 2019 - 1 W 42/17 - NJW-RR 2019, 583, Rn. 33 ff.

სიკეთის კეთება“, არამედ მისი ქონების გადაცემა ცხოველთა დაცვისთვის, კონკრეტული დაავადების კვლევისთვის ან მიუსაფარი ძაღლებისთვის.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამგვარად მოანდერძის რეალური ნება დადგინდება, შესაძლებელია შეფასდეს, აქვს თუ არა ამ ნებას საკმარისი საფუძველი ანდერძის ტექსტში და შესაბამისად, არის თუ არა იგი ფორმალური მოთხოვნების დაცვით გამოხატული.¹³³ თუმცა, რადგანაც ასეთი ნების არსებობა საბოლოო გადაწყვეტილებისთვის განმსაზღვრელი არ არის, პროცესუალურად დასაშვებია, რომ მოსამართლემ მოანდერძის ნება თუმცა ჰიპოთეტურად ივარაუდოს, მაგრამ ფორმალური მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო იგი სამართლებრივად მაინც არანამდვილად მიიჩნიოს.¹³⁴

ჰამმის მიწის უმაღლესი სასამართლო ამ პრინციპებს შემდეგნაირად აჯამებს:¹³⁵

„პარაგრაფი 22

ა) ბგბ §§ 2064, 2065 პარაგრაფებით ადგენს, რომ მოანდერძემ პირადად უნდა აიღოს პასუხისმგებლობა იმაზე, რომ მის მიერ მემკვიდრეობის განაწილება განსხვავდებოდეს კანონით დადგენილი წესისგან. ამ მიზეზით მას არ შეუძლია ანდერძის შედგენა წარმომადგენლის მეშვეობით, არც ნების ფორმირებაში და არც მისი გამოხატვისას. ბგბ-ს § 2065 პარაგრაფი მოანდერძეს ავალდებულებს თავად განსაზღვროს თავისი საბოლოო ნების ყველა არსებითი ნაწილი. მას არ აქვს უფლება ანდერძი ისეთი არასრული ფორმით გამოხატოს რომ მესამე პირს დარჩეს მისი შევსება საკუთარი შეხედულებით. არსებით ნაწილებს მიეკუთვნება როგორც მემკვიდრეობის ობიექტი, ასევე ბენეფიციარის პიროვნება. მოანდერძემ თავად უნდა განსაზღვროს ბენეფიციარი და არ შეუძლია ეს არჩევანი მესამე პირს მიაწოდოს (*BGH, Urteil vom 18. November 1954 - IV ZR 152/54 -, BGHZ 15, 199-204; Lenz-Brendel in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 2065 BGB (Stand: 01.07.2023) Rn. 25*).

პარაგრაფი 23

თუმცა მოანდერძეს არ მოეთხოვება ბენეფიციარის ან ობიექტის იმდენად კონკრეტული მითითება, რომ იგი ინდივიდუალურად ზუსტად

133 BGH, Urteil vom 8. Dezember 1982 - IVa ZR 94/81 - BGHZ 86, 41, Rn. 18.

134 BGH, Beschluss vom 10. November 2021 - IV ZB 30/20 - BGHZ 231, 377, Rn. 9; BGH, Beschluss vom 19. Juni 2019 - IV ZB 30/18 - NJW 2019, 2317, Rn. 19.

135 OLG Hamm, Beschluss vom 9. Januar 2025 - I-10 W 23/24 - ZEV 2025, 657, Rn. 22 f.

იყოს დასახელებული; საჭიროა მხოლოდ ის, რომ მემკვიდრის (ბენეფიციარის) ან ობიექტის განსაზღვრა შესაძლებელი იყოს ანდერძის შინაარსის მიხედვით, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც ანდერძის დოკუმენტის ფარგლებს გარეთ არსებობს (*KG Berlin, Beschluss vom 26. August 2022 - 1 W 262/22 -, juris*). საკმარისია, თუ მემკვიდრის იდენტიფიცირება შესაძლებელია ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე და მისი განსაზღვრა შეუძლია ნებისმიერ კომპეტენტურ პირს. თუმცა დაუშვებელია, რომ მემკვიდრის განსაზღვრა დამოკიდებული იყოს მესამე პირის თვითნებურ არჩევანზე (*BGH, Urteil vom 18. November 1954 - IV ZR 152/54 -, BGHZ 15, 199-204*). ბგზ-ს § 2065 II პარაგრაფის მიხედვით, მესამე პირს შეიძლება მიეცეს მხოლოდ ის უფლება, რომ დაასახელოს უკვე განსაზღვრული წრის ფარგლებში კონკრეტული ადამიანი, მაგრამ მას არ შეიძლება მიეცეს უფლება, რომ თვითონ გადაწყვიტოს თუ ვინ იქნება მემკვიდრე. (*Bayerisches Oberstes Landesgericht, Beschluss vom 18. März 2004 - 1Z BR 044/03 -, juris*).“

ეს ნიშნავს, რომ მესამე პირს არ შეიძლება გადაეცეს ბენეფიციარის განსაზღვრის თავისუფალი დისკრეციული უფლებამოსილება. თუმცა დასაშვებია, რომ მოანდერძემ ბენეფიციარი სახელდებით არ მიუთითოს, არამედ განსაზღვროს ობიექტურად დადგენადი შინაარსობრივი კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც კომპეტენტურ მესამე პირს შეეძლება დაადგინოს, პოტენციურ ბენეფიციართაგან რომელი აკმაყოფილებს მოანდერძის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს ყველაზე მეტად. მაგალითად, თუ სამკვიდროს ძირითად ნაწილს მოანდერძის მიერ პირადად დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო მიწები წარმოადგენს, დასაშვებია შეიძლება იყოს ისეთი დათქმა, რომლის მიხედვითაც წინასწარ მემკვიდრეს (*Vorerbe*) მიენიჭება უფლება, მოანდერძის შთამომავლებს შორის შემდგომ მემკვიდრედ (*Nacherbe*) შეარჩიოს ის პირი, რომელიც „ყველაზე მეტად არის შესაფერისი მიწის ნაკვეთის შენარჩუნებისა და მეურნეობის გასაგრძელებლად“. ¹³⁶ თუმცა მსგავსი „მესამე პირის მიერ განსაზღვრის დათქმები“ (*Drittbestimmungsklauseln*) განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა იქნეს გამოყენებული, რადგან ასეთი დათქმების დროს ხშირად გაურკვეველი ხდება, თუ სად გადის ზღვარი დასაშვებ და დაუშვებელ დათქმებს შორის.

136 Bayerisches Oberstes Landesgericht, Beschluss vom 18. März 2004 - 1Z BR 044/03 - FamRZ 2005, 65, Rn. 38.

5.1.4. შემავსებელი განმარტება

ნების გამოვლენის განმარტების ზოგადი პრინციპების შესაბამისად, ანდერძიც შეიძლება დაექვემდებაროს შემავსებელ განმარტებას, როცა იგი უნებლიე სამართლებრივ ხარვეზს შეიცავს.¹³⁷ ასეთი ვითარება შეიძლება არსებობდეს, მაგალითად, მაშინ, როცა ობიექტურად მოსაწესრიგებელი საკითხი შემთხვევით დაურეგულირებელი დარჩა ან ანდერძის რომელიმე კონკრეტული განკარგულება (მოანდერძისთვის შეუმჩნევლად) არანამდვილია.¹³⁸ ასეთ შემთხვევებში უნდა შემოწმდეს, შესაძლებელია თუ არა არსებული სამართლებრივი სიცარიელის შევსება ისეთი განმარტების გზით, რომელიც, რამდენადაც შესაძლებელია, შეესაბამება მოანდერძის სავარაუდო ნებას.¹³⁹ გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლო ამასთან დაკავშირებით განმარტავს:¹⁴⁰

„პარაგრაფი 13

ა) ამისათვის (ავტორთა შენიშვნა: შემავსებელი განმარტებისთვის) პირველ რიგში აუცილებელია, რომ მოანდერძის საბოლოო განკარგულება შეიცავდეს უნებლიე სამართლებრივ ხარვეზს.

პარაგრაფი 14

აა) ასეთი ხარვეზი არსებობს მაშინ, როცა მოანდერძემ არ გაითვალისწინა და შესაბამისად არ მოაწესრიგა კონკრეტული შემთხვევა, რომელიც რეალურად დადგა, თუმცა იგი აუცილებლად მოაწესრიგებდა მას, ეს შემთხვევა რომ გაეთვალისწინებინა (*vgl. BGH, Urteil vom 28. Juni 1963 - V ZR 15/62, WM 1963, 999 unter II 4*). ასეთად შეიძლება ჩაითვალოს ანდერძის შედგენის შემდეგ მომხდარი მოვლენაც, თუ მისი ცოდნა მნიშვნელოვანი იქნებოდა შემდგომში მამკვიდრებლის მიერ გადაწყვეტილების მიღებისთვის. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, მოანდერძის მიერ მოულოდნელად მიღებული ქონებაც (*vgl. BayObLG FamRZ 1989, 1348 f.; KG NJW 1971, 1992; OLG München FamRZ 2011, 1817, 1820; ...*).

პარაგრაფი 15

137 BGH, Beschluss vom 12. Juli 2017 - IV ZB 15/16 - Rn 13 ff. und Rn. 23 ff.; BGH, Urteil vom 8. Dezember 1982 - IVa ZR 94/81 - BGHZ 86, 41, Rn. 22 und Rn. 32; OLG Hamm, Beschluss vom 19. März 2025 – I-10 W 40/25 -ErbR 2026, 216- Rn. 42.

138 შდრ. მაგალითად, დებულების ზნეობის სანინალმდეგოდ მიჩნევის შემთხვევასთან დაკავშირებით: OLG München, Beschluss vom 23. September 2024 - 33 Wx 325/23 e - FamRZ 2025, 389, Rn 35 ff.; OLG Frankfurt, Beschluss vom 5. Februar 2019 - 20 W 98/18 - NJW-RR 2019, 394, Rn. 29.

139 BGH, Beschluss vom 26. März 2025 - IV ZB 15/24 - NJW 2025, 2151, Rn. 22.

140 BGH, Beschluss vom 12. Juli 2017 - IV ZB 15/16 - NJW-RR 2017, 1035, Rn. 13 ff.

ის საკითხი, არსებობს თუ არა საბოლოო განკარგულების უნებლიე არასრულყოფილება, არ შეიძლება სქემატურად, მხოლოდ ანდერძის ტექსტის საფუძველზე გადაწყდეს. აუცილებელია ანდერძის შედგენის დროისთვის არსებული ყველა გარემოების შეფასებითი და ერთიანი განხილვა (*MünchKomm-BGB/Leipold, 7. Aufl. § 2084 BGB Rn. 84; Soergel/Loritz, 13. Aufl. § 2084 BGB Rn. 38*).

ბ) მაშინაც კი, თუ სააპელაციო სასამართლოს მსგავსად ვივარაუდებთ, რომ ასეთი სამართლებრივი ხარვეზი არსებობს, ჯერ კიდევ არ არის ნათელი, შეიძლება თუ არა კონკრეტულ საქმეში დამატებითი განმარტების გამოყენება. ამისთვის, როგორც საჩივარი სწორად მიუთითებს, დამატებით აუცილებელია მოანდერძის ჰიპოთეტური ნების დადგენა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა არსებული ხარვეზის შევსება.

პარაგრაფი 24

აა) აქ საუბარი არ არის მოანდერძის სავარაუდო რეალურ ნებაზე, არამედ იმ ნებაზე, რომელიც მას, სავარაუდოდ, ექნებოდა, თუ ანდერძის შედგენის მომენტში გააცნობიერებდა თავისი საბოლოო განკარგულების უნებლიე არასრულყოფილებას (*vgl. RGZ 142, 171, 175; KG NJW 1971, 1992...*). ამასთან, საქმის გარემოებებთან შესაბამისი მოანდერძის ნება მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს ნაგულისხმევად მიჩნეული, თუ იგი შეიძლება გამომდინარეობდეს მოანდერძის ნების გარკვეული მიმართულებიდან, რომელიც ანდერძის განმარტებით იკვეთება (*Senatsurteil vom 15. Dezember 1956 - IV ZR 238/56, BGHZ 22, 357, 360; RGZ 142, 171, 175*). თუ ასეთი ნება ვერ დადგინდა, მაშინ არსებული სამართლებრივი ხარვეზის მიუხედავად, ძალაში უნდა დარჩეს მანამდე მიღებული განმარტების შედეგი (*vgl. OLG Hamm FamRZ 1997, 121, 123; ...*)“.

გარდა ამისა, ანდერძის შემავსებელი განმარტება შეიძლება საჭირო გახდეს მაშინაც, როცა ანდერძით დანიშნული მემკვიდრე თავად მოანდერძეზე ადრე გარდაიცვლება, ხოლო მოანდერძეს ეს შემთხვევა ანდერძში სპეციალურად არ ჰქონდა მოწესრიგებული.¹⁴¹ ასეთ შემთხვევაში

141 ამ თემაზე უახლესი პოზიციისთვის იხ. Thüringer Oberlandesgericht, Beschluss vom 23. Juni 2025 - 6 W 94/24 - FamRZ 2025, 1638, Rn. 18 ff.; OLG Düsseldorf, Beschluss vom 31. Juli 2023 - I-3 Wx 76/23 - juris Rn. 26; KG Berlin, Beschluss vom 22. Juni 2020 - 19 W 91/19 - ErbR 2021, 417, Rn 14 ff.

უნდა გაირკვეს: ჰქონდა თუ არა მოანდერძეს რეალური ნება სათადარიგო მემკვიდრის (ბგბ, § 2096)¹⁴² დანიშვნის შესახებ; ან, თუ ასეთი რეალური ნება ვერ დგინდება, შეესაბამება თუ არა სათადარიგო მემკვიდრის დანიშვნა მოანდერძის სავარაუდო ნებას.¹⁴³ როგორც წესი, ასეთი ფაქტობრივი ან ჰიპოთეტური ნება შეიძლება დადგინდეს მაშინ, როცა აშკარაა, რომ ქონების დატოვება კონკრეტულად ანდერძში დასახელებული (შემდგომში გარდაცვლილი) პირის პიროვნებას არ უკავშირდებოდა, - მაგალითად, მისი განსაკუთრებული პირადი დამსახურებების ან ღვაწლის აღიარებას - არამედ ის განკუთვნილი იყო მისი საგვარეულო ხაზისთვის. შთამომავლების შემთხვევაში ბგბ-ს § 2069 პარაგრაფი¹⁴⁴ სწორედ ასეთ ვარაუდს ადგენს, ანუ მიიჩნევა, რომ მოანდერძის სურდა სარგებელი გადასცემოდა გვარის/შთამომავლობის ხაზს (იხ. ბგბ, § 1924 III¹⁴⁵). თუმცა, სხვა ბენეფიციარების მიმართ ბგბ-ს § 2069 BGB პარაგრაფით დადგენილი სამართლებრივი ვარაუდი არ მოქმედებს.¹⁴⁶ ამიტომ ასეთ შემთხვევებში სათადარიგო მემკვიდრედ თავის მიჩნევის მსურველმა პირმა სამოქალაქო პროცესში თავად უნდა მიუთითოს და დაამტკიცოს, რომ მოანდერძეს შესაბამისი რეალური ან სავარაუდო ნება ჰქონდა.

მოანდერძის რეალური ან სავარაუდო ნება, რომელიც მიმართულია საგვარეულო ხაზის სასარგებლოდ სათადარიგო მემკვიდრედ დანიშვნისკენ, შეიძლება განიხილებოდეს, მაგალითად, მაშინ, როცა მოანდერძესა და მთლიან ოჯახს შორის არსებობდა განსაკუთრებული პირადი

142 ბგბ, § 2096. სათადარიგო მემკვიდრე

მამკვიდრებელს შეუძლია იმ შემთხვევისათვის, როდესაც სამკვიდროს გახსნამდე ან გახსნის შემდეგ მემკვიდრე აღარ იქნება სახეზე, მემკვიდრედ დანიშნოს სხვა პირი (სათადარიგო მემკვიდრე).

143 KG Berlin, Beschluss vom 22. Juni 2020 - 19 W 91/19 - ErbR 2021, 417, Rn 14.

144 ბგბ, § 2069. მამკვიდრებლის შთამომავლები

თუ მამკვიდრებელმა ქონება უანდერძა თავის შთამომავალს, ხოლო ეს უკანასკნელი ანდერძის შედგენის შემდეგ სახეზე აღარ არის, მაშინ საეჭვოობისას მემკვიდრეებად დანიშნულად მიიჩნევიან შთამომავლის შთამომავლები ისე, როგორც ისინი დაიკავებდნენ შთამომავლის ადგილს კანონით მემკვიდრეობისას.

145 ბგბ, § 1924. პირველი რიგის კანონით მემკვიდრეები

...

(3) იმ შთამომავლის ადგილს, ვინც სამკვიდროს გახსნის მომენტში აღარ არის ცოცხალი, იკავებენ შთამომავლები, რომლებიც მამკვიდრებელთან ნათესაურ კავშირში იმყოფებიან მისი მეშვეობით (მემკვიდრეობა ნათესაური ხაზით).

146 BGH, Urteil vom 5. Juli 1972 - IV ZR 125/70 - NJW 1973, 240, Rn. 43; juris; Thüringer Oberlandesgericht, Beschluss vom 23. Juni 2025 - 6 W 94/24 - FamRZ 2025, 1638, Rn. 18; KG Berlin, Beschluss vom 22. Juni 2020 - 19 W 91/19 - ErbR 2021, 417, Rn 14.

ურთიერთობა, რომელიც მეზობლურ ან მეგობრულ კავშირს ეფუძნებოდა. ასეთი ურთიერთობა შეიძლება მოიცავდეს ოჯახის რამდენიმე წევრის ერთობლივ მხარდაჭერას ან დახმარებას, თუმცა, როგორც ასეთ შემთხვევებში ხშირად ხდება, მოანდერძე ანდერძში მთელ ოჯახს კი არ ასახელებს, არამედ მხოლოდ საგვარეულო ხაზის პირველ წარმომადგენლებს (მაგალითად, მშობლებს), რომლებიც ფაქტობრივად მთელი ოჯახის წარმომადგენლებად არიან მიჩნეულნი.¹⁴⁷ ასეთი მიდგომა აუცილებელია მაშინაც, როცა მოანდერძემ რამდენიმე მემკვიდრე დანიშნა, რადგან ბგბ-ს § 2094 I 1 პარაგრაფით დადგენილი განმარტების წესი, რომლის მიხედვითაც გამორიცხული მემკვიდრის წილი, ეჭვის შემთხვევაში, დანარჩენ მემკვიდრეებს ემატება, ბგბ-ს § 2099 პარაგრაფის თანახმად მხოლოდ მაშინ გამოიყენება, თუკი მოანდერძეს სათადარიგო მემკვიდრე არ დაუნიშნავს.¹⁴⁸ თუმცა, სწორედ ასეთი შემთხვევები მოითხოვს, როგორც წესი, საქმის კონკრეტული გარემოებების სრულ და საფუძვლიან გამოკვლევას. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ნოტარიულმა და საადვოკატო პრაქტიკამ ანდერძებთან დაკავშირებით უზრუნველყოს მკაფიო და ერთმნიშვნელოვანი რეგულირება.

5.1.5. საანდერძო ნება

ანდერძის შინაარსის განმარტებისთვის ზემოთ ჩამოყალიბებული კრიტერიუმები ასევე გამოიყენება იმის დასადგენადაც, საერთოდ არსებობს თუ არა უკანასკნელი ნების განკარგულება, შემდეგი თავისებურების გათვალისწინებით:

ზუსტად უნდა დგინდებოდეს, რომ მოანდერძემ მის მიერ შედგენილი დოკუმენტი აღიქვა როგორც სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ნების გამოხატვა. თუ ამასთან დაკავშირებით ეჭვი რჩება, მაშინ ბგბ-ს § 2084 პარაგრაფით დადგენილი განმარტების პრინციპი არ გამოიყენება.¹⁴⁹ არსებობდა თუ არა ასეთი სერიოზული საანდერძო ნება,

147 *Nobis in:* Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 2096 BGB, Rn. 1; *Ehm in:* Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 2096 BGB (01.07.2023 მდგომარეობით), Rn. 8.

148 შდრ. KG Berlin, Beschluss vom 22. Juni 2020 - 19 W 91/19 - ErbR 2021, 417, Rn 14.

149 OLG Braunschweig, Beschluss vom 20. März 2019 - 1 W 42/17 - NJW-RR 2019, 583, Rn. 25; OLG München, Beschluss vom 31. März 2016 - 31 Wx 413/15 - FamRZ 2016, 1812, Rn. 10; OLG Düsseldorf, Beschluss vom 23. Juli 2014 - I-3 Wx 95/13 - FamRZ 2015, 700, Rn. 15; Schleswig-Holsteinisches Oberlandesgericht, Beschluss

უნდა დადგინდეს განმარტების გზით (ბგბ, § 133), ყველა მნიშვნელოვანი გარემოების, მათ შორის დოკუმენტის ფარგლებს გარეთ არსებული გარემოებებისა და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებით.¹⁵⁰ როგორც უკვე აღინიშნა, საანდერძო ნების არსებობის დასადასტურებლად მკაცრი მოთხოვნები მოქმედებს მაშინ, როცა დოკუმენტის ფორმა არ შეესაბამება ანდერძისთვის დამახასიათებელ რომელიმე ჩვეულ ფორმას.¹⁵¹ თუ დოკუმენტს სათაურად აქვს „ანდერძი“, „ჩემი უკანასკნელი ნება“, „უკანასკნელი ნების განკარგულება“ ან მსგავსი ფორმულირება და იგი შედგენილია ანდერძისთვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი ფორმით, მაშინ სანინალმდეგო ნიშნების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლო პროცესზე, როგორც წესი, აღარ ჩნდება საჭიროება დამატებით შემოწმდეს, არსებობდა თუ არა სამართლებრივი ბოჭვის ნება.¹⁵² ანუ, თუკი ტექსტი ანდერძის მონახაზს არ ჰგავს, არ არის არასერიოზულად შედგენილი ან მოანდერძე არ აცხადებს, რომ ეს მხოლოდ ანდერძის პროექტია, მაშინ სამართალი, როგორც წესი, ვარაუდობს, რომ მოანდერძეს ნამდვილად სურდა ამ ნების გამოხატვა, თუკი ეს დოკუმენტი ფორმითა და სათაურით ჩვეულებრივ ანდერძს ჰგავს. ასეთ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი ჩვეულებრივ მასზეა, ვინც ამტკიცებს, რომ ასეთი დოკუმენტი შედგენილი იყო სამართლებრივი ბოჭვის ნების გარეშე.

განმარტების ზოგადი წესების საფუძველზე უნდა გაიმიჯნოს ასევე თუ რასთან გვაქვს საქმე - სიკვდილის შემთხვევისთვის გაკეთებულ განკარგულებასთან თუ სიკვდილის შემთხვევისთვის განხორციელებულ ჩუქების დაპირებასთან? ეს უკანასკნელი წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლის სფეროს მიკუთვნებულ ორმხრივ ხელშეკრულებას ცოცხალ პირებს შორის და არა მემკვიდრეობით-სამართლებრივ განკარგულებას.

vom 29. Mai 2009 - 3 Wx 58/04 - FamRZ 2010, 65, Rn. 39.

150 OLG Braunschweig, Beschluss vom 20. März 2019 - 1 W 42/17 - NJW-RR 2019, 583, Rn. 25.

151 OLG München, Beschluss vom 28. Januar 2020 - 31 Wx 229/19 - NJW-RR 2020, 329, Rn. 18 ff.; OLG Braunschweig, Beschluss vom 20. März 2019 - 1 W 42/17 - NJW-RR 2019, 583, Rn. 25; OLG München, Beschluss vom 31. März 2016 - 31 Wx 413/15 - FamRZ 2016, 1812, Rn. 10; OLG Hamm, Beschluss vom 27. November 2015 - I-10 W 153/15 - FamRZ 2016, 1500, Rn. 32, სასამართლო პრაქტიკის ვრცელი ჩამონათვალისთვის იხ. *Staudinger/Baumann* (2022) BGB § 2247, Rn. 33.

152 OLG München, Beschluss vom 9. August 2024 - 33 Wx 115/24 e - FamRZ 2024, 1905, Rn. 27; OLG München, Beschluss vom 5. Mai 2020 - 31 Wx 246/19 - FamRZ 2020, 1783, Rn. 13.

მისი ძალაში შესვლისთვის აუცილებელია დასაჩუქრებული პირის თანხმობა (აქცეპტი), ხოლო ხელშეკრულება იმ პირობით იდება, რომ დასაჩუქრებული მჩუქებელზე ადრე არ გარდაიცვლება.¹⁵³ იმისათვის, რომ ასეთი ვალდებულებით-სამართლებრივი შეთანხმების მეშვეობით არ მოხდეს მემკვიდრეობითი სამართლის ფორმალური მოთხოვნების გვერდის ავლა, ბგზ-ს § 2301 I პარაგრაფის მიხედვით¹⁵⁴ მასზე ვრცელდება საანდერძო განკარგულებისთვის დადგენილი ფორმის მოთხოვნები. თუმცა, რადგან სიკვდილის შემთხვევისთვის განხორციელებულ ჩუქების დაპირებას ხელშეკრულებითი ხასიათი აქვს, აღნიშნული საკანონმდებლო მითითება ეხება არა ცალმხრივ სამემკვიდრეო განკარგულებებს, არამედ (მათ შორის, გაუქმების უფლებასთან დაკავშირებითაც) სამემკვიდრეო ხელშეკრულების (*Erbvertrag*) მარეგულირებელ ნორმებს. ამიტომ ბგზ-ს § 2276 პარაგრაფის შესაბამისად, აუცილებელია სანოტარო დამონშება¹⁵⁵, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ჩუქება ბგზ-ს § 2301 II პარაგრაფის გაგებით სიცოცხლეშივე არ არის შესრულებული.¹⁵⁶ სიკვდილის

153 მაგალითად, თუ ბაბუა და შვილიშვილი ფორმის დაცვით შეთანხმდებიან, რომ ბაბუის გარდაცვალების შემთხვევაში შვილიშვილს უსასყიდლოდ გადაეცემა ბაბუის საკუთრებაში არსებული ავტომობილი, მაშინ ადგილი აქვს ცოცხალ პირებს შორის დადებულ გარიგებას. ასეთ შემთხვევაში ავტომობილი არ შევა სამკვიდრო მასაში, არამედ ბაბუის გარდაცვალების შემდეგ პირდაპირ გადავა შვილიშვილის საკუთრებაში. ხელშეკრულების კონკრეტულ პირობებზეა დამოკიდებული, თუ როგორ განხორციელდება საკუთრებისა და მფლობელობის გადასვლა. თუ ავტომობილი შვილიშვილს უკვე სიცოცხლეშივე ჰქონდა გადაცემული უსასყიდლოდ და დამოუკიდებელი სარგებლობისთვის, მაშინ მხოლოდ საკუთრების უფლების გადასვლა იქნა დაკავშირებული ბაბუის გარდაცვალების პირობასთან. ასეთ დროს ჩუქება ბგზ-ს § 2301 II პარაგრაფის მნიშვნელობით უკვე შესრულებულად ჩაითვლება.

154 ბგზ, § 2301. ჩუქების შეპირება საანდერძო განკარგულებით

(1) იმ ჩუქების შეპირების მიმართ, რომელსაც პირი იძლევა იმ პირობით, რომ დასაჩუქრებული ცოცხალი იქნება მჩუქებლის გარდაცვალების შემდეგ, გამოიყენება საანდერძო განკარგულებების მიმართ მოქმედი ნორმები. ანალოგიური წესი მოქმედებს ვალის შეპირების ან ვალის აღიარების მიმართ, რომლებიც ჩუქების სახით ხორციელდება ზემოაღნიშნული პირობით §§ 780, 781 მოცემული წესით.

(2) თუ მჩუქებელი ჩუქებას ახორციელებს გადასაცემი საგნის მიწოდებით, მაშინ გამოიყენება ცოცხალ პირთა შორის განხორციელებული ნაჩუქრობების მიმართ მოქმედი ნორმები.

155 OLG München, Urteil vom 16. Februar 2011 - 3 U 4316/07 - FamRZ 2011, 1757 Rn. 28; S. Kappler/T. Kappler in: Erman, BGB, 17. Auflage, 9/2023, § 2301 BGB, Rn. 5; სადავოა, შდრ. Staudinger/Raff (2022) BGB § 2301, Rn. 41 mwN.

156 ამ მხრივ ყოველთვის მარტივი არ არის გამიჯვნა: BGH, Urteil vom 23. Februar 1983 -

შემთხვევისთვის განხორციელებული ჩუქების დაპირება, რომელიც ვალდებულებით და მემკვიდრეობით სამართალს შორის მდებარე ინსტიტუტს წარმოადგენს, საჭიროების შემთხვევაში უნდა გაიმიჯნოს ასევე მესამე პირის სასარგებლოდ სიკვდილის შემთხვევისთვის განხორციელებული ჩუქების დაპირებისგან,¹⁵⁷ რომელიც მთლიანად ვალდებულებითი სამართლის სფეროს განეკუთვნება. ამის ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითია სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება, როდესაც მესამე პირს უსასყიდლოდ ენიჭება დაზღვევის თანხის მიღების უფლება. ასეთ შემთხვევაში დაზღვეულის გარდაცვალებისთანავე მესამე პირი უშუალოდ იძენს სადაზღვევო კომპანიის მიმართ გადახდის მოთხოვნის უფლებას. მსგავსი შეთანხმებები ხშირად გვხვდება მაშინაც, როცა მომავალი მამკვიდრებელი საკრედიტო დაწესებულებასთან შეთანხმდება, რომ მისი გარდაცვალების შემთხვევაში საბანკო ანგარიშიდან გამომდინარე უფლებები პირდაპირ გადავიდეს მესამე პირზე. ასეთ ვითარებაში მესამე პირს მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტიდან შეიძლება წარმოეშვას საკრედიტო დაწესებულების მიმართ დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება, რომელიც სამკვიდრო მასაში არ შევა.¹⁵⁸

ისევე როგორც მამკვიდრებლის სიცოცხლეში განხორციელებულ ჩუქებებს, სიკვდილის შემთხვევისთვის განხორციელებულ ჩუქებებსაც შეიძლება ჰქონდეს მემკვიდრეობით-სამართლებრივი შედეგები. კერძოდ, თუ ბენეფიციარი სავალდებულო წილზე უფლების მქონე პირია, ასეთი ჩუქება შეიძლება, სკ-ის 1375-ე მუხლისა და ბგბ-ს § 2315 პარაგრაფის¹⁵⁹

IVa ZR 186/81 - BGHZ 87, 19, Rn. 17; *Staudinger/Raff* (2022) BGB § 2301, Rn. 47 ff.; *Reischl* in: *Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger*, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 2301 BGB (01.07.2023 მდგომარეობით), Rn. 43 ff.

157 ამასთან დაკავშირებით იხ. BGH, Urteil vom 19. Oktober 1983 – IVa ZR 71/82 - NJW 1984, 480, Rn. 7 ff.; *Reischl* in: *Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger*, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 2301 BGB (01.07.2023 მდგომარეობით), Rn. 80 ff.; *S. Kappeler/T. Kappler* in: *Erman*, BGB, 17. Auflage, 9/2023, § 2301 BGB, Rn. 9.

158 ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით შეად. BGH, Urteil vom 18. Januar 2005 - X ZR 264/02 - NJW 2005, 980, Rn. 10 f.; BGH, Urteil vom 26. November 2003 - IV ZR 438/02 - BGHZ 157, 79, Rn. 7 ff.

159 ბგბ, § 2315. ქონებრივი გადაცემების სავალდებულო წილის ანგარიშში ჩათვლა

(1) სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილმა პირმა ანგარიშში უნდა ჩათვალოს ის ქონება, რაც მას მიეცემა მამკვიდრებლისაგან ცოცხალ პირთა შორის გარიგებით იმ დათქმით, რომ იგი უნდა ჩაითვალოს სავალდებულო წილის ანგარიშში.

(2) სავალდებულო წილის გაანგარიშებისას გადაცემული ქონების ღირებულება ემატება სამკვიდრო ქონებას. ღირებულება განისაზღვრება ქონების გადაცემის მომენტისათვის.

შესაბამისად, ჩაითვალოს მის სავალდებულო წილში. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ ჩუქებით ზიანი ადგება პირის სავალდებულო წილის უფლებას, სკ-ის 1378-ე მუხლისა და ბგბ-ს §§ 2325, 2329 პარაგრაფების¹⁶⁰ შესაბამისად, შეიძლება წარმოიშვას სავალდებულო წილის შევსების მოთხოვნის უფლება.

5.2. საანდერძო თავისუფლების საზღვრები

მონდერძის ნების სამართლებრივი აღიარება გამოწვევას სახით უნდა უარყვოთ მაშინ, როცა იგი თავისი განკარგულების შინაარსით აჭარბებს ანდერძის თავისუფლების საზღვრებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი მოქმედებს წესიერების/ზნეობის საწინააღმდეგოდ.

(3) თუ სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირი წარმოადგენს მამკვიდრებლის შთამომავალს, მაშინ შესაბამისად გამოიყენება § 2051 1-ლი ნაწილის ნორმა.

160 ბგბ, § 2325. სავალდებულო წილზე დამატების მოთხოვნის უფლება ნაჩუქრობების შემთხვევაში

(1) თუ მამკვიდრებელმა მესამე პირის მიმართ განახორციელა ჩუქება, მაშინ სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილ პირს შეუძლია სავალდებულო წილზე დამატების სახით მოითხოვოს თანხის ის ოდენობა, რომლითაც სავალდებულო წილი იზრდება ნაჩუქარი საგნის სამკვიდრო ქონებისათვის დამატებით.

(2) მოხმარებადი ნივთი ფასდება იმ ღირებულებით, რომელიც მას ჰქონდა ჩუქების მომენტში. სხვა საგანი ფასდება იმ ღირებულებით, რომელიც მას აქვს სამკვიდროს გახსნის მომენტში; თუ მას ჩუქების მომენტში ჰქონდა უფრო ნაკლები ღირებულება, მაშინ მხედველობაში მიიღება მხოლოდ ეს უკანასკნელი.

(3) ჩუქება მხედველობაში არ მიიღება, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ნაჩუქარის საგნის გადაცემის შემდეგ გასულია ათი წელი; თუ ადგილი აქვს ჩუქებას მამკვიდრებლის მეუღლის მიმართ, მაშინ ვადის დენა არ იწყება ქორწინების შეწყვეტამდე.

ბგბ, § 2329. დასაჩუქრებულის მიმართ მოთხოვნის უფლება

(1) რამდენადაც მემკვიდრეს არ ევალება სავალდებულო წილის დამატება, სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილ პირს ნაკლები თანხის ანაზღაურების მიზნით შეუძლია უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად დასაჩუქრებულისაგან მოითხოვოს საჩუქრის დაბრუნება. თუ სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირი წარმოადგენს ერთადერთ მემკვიდრეს, მაშინ ანალოგიური უფლება ეკუთვნის მას.

(2) დასაჩუქრებულს შეუძლია თავიდან აიცილოს საჩუქრის დაბრუნება ნაკლები თანხის გადახდით. (3) რამდენიმე დასაჩუქრებულიდან უფრო ადრე დასაჩუქრებული პასუხს აგებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მოგვიანებით დასაჩუქრებული არ არის გადახდაზე ვალდებული.

მოანდერძე კანონით დადგენილ ჩარჩოში თავისუფალია თავისი განკარგულებების მიღებაში. გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 (1) მუხლის¹⁶¹ ფარგლებში არსებული „დაძაბულობა“ - რომელიც ერთდროულად იცავს როგორც მოანდერძის განკარგვის თავისუფლებას, ისე მისი შთამომავლების უფლებას, არ დარჩნენ მემკვიდრეობის გარეთ - კანონმდებელმა სავალდებულო წილის ინსტიტუტით კონსტიტუციურად მისაღებ ბალანსამდე მიიყვანა.¹⁶² თუ ამ გზით შთამომავლები უკვე საკმარისად არიან დაცულნი, არც სამოქალაქო სამართლის ნორმები და არც ძირითადი უფლებები არ მოითხოვს დამატებით თანასწორ მოპყრობას.¹⁶³ ამდენად, მოანდერძეს შეუძლია მემკვიდრეობის განაწილება, მათ შორის არაბიოლოგიურ ბენეფიციარებს შორისაც, თავისი სურვილისა და წარმოდგენების შესაბამისად თავისუფლად დაარეგულიროს.¹⁶⁴ თვითნებური განსხვავებაც კი შეიძლება წარმოადგენდეს ანდერძის თავისუფლების გამოხატულებას.¹⁶⁵ ეს ნიშნავს იმას, რომ მოანდერძე არ არის ვალდებული თანაბრად ან სამართლიანად გაანაწილოს ქონება. მაშინაც კი თუ ის ერთ შვილს ყველაფერს დაუტოვებს და მეორეს - არაფერს, ასეთი

161 გერმანიის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია), მ. 14.

(1) საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება გარანტირებულია. მათი შინაარსი და ფარგლები (შეზღუდვები) განისაზღვრება კანონით.

აღნიშნული ნორმა გარკვეულწილად იანუშისებურ ხასიათს ატარებს, რაც გამოიხატება ორი სახის იდეაში - ერთი მხრივ, ის გარანტიაა მამკვიდრებლის ნების თავისუფლებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, კი ამავედროულად დაცვა მემკვიდრეებისთვის, რაც მიიღწევა მაგალითად, მათი სავალდებულო წილის კონსტიტუციური დაცვის უზრუნველყოფით და ამ გზით მოანდერძის სრული თავისუფალი არჩევანის შეზღუდვით. ამასთან დაკავშირებით ვრცლად იხ.: BVerfG, Beschluss vom 19. April 2005 - 1 BvR 1644/00 - BVerfGE 112, 332, Rn. 64 ff.

162 BVerfG, Beschluss vom 25. März 2009 - 1 BvR 909/08 - NJW-RR 2010, 156, Rn. 15 mwN.; BVerfG, Beschluss vom 19. April 2005 - 1 BvR 1644/00 - BVerfGE 112, 332, Rn. 64 ff.; BVerfG, Beschluss vom 22. März 2004 - 1 BvR 2248/01 - FamRZ 2004, 765, Rn. 34 ff.; BGH, Beschluss vom 2. Dezember 1998 - IV ZB 19/97 - BGHZ 140, 118, Rn. 37.

163 BVerfG, Beschluss vom 25. März 2009 - 1 BvR 909/08 - NJW-RR 2010, 156, Rn. 15; BGH, Beschluss vom 2. Dezember 1998 - IV ZB 19/97 - BGHZ 140, 118, Rn. 76; OLG München, Beschluss vom 23. September 2024 - 33 Wx 325/23 e - FamRZ 2025, 389, Rn 35.

164 BVerfG, Nichtannahmebeschluss vom 25. März 2009 - 1 BvR 909/08 - NJW-RR 2010, 156, Rn. 15; BVerfG, Stattgebender Beschluss vom 22. März 2004 - 1 BvR 2248/01 - FamRZ 2004, 765, Rn. 34 ff.

165 BGH, Beschluss vom 2. Dezember 1998 - IV ZB 19/97 - BGHZ 140, 118, Rn. 47; გაუქმებულია გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, Stattgebender Beschluss vom 22. März 2004 - 1 BvR 2248/01 - FamRZ 2004, 765, Rn. 34 ff.

საბოლოო განკარგულება სამართლებრივად მაინც ძალაში რჩება და ითვლება ანდერძის თავისუფლების დასაშვებ განხორციელებად. ამგვარი განკარგულების შედეგებისგან დასაცავად მემკვიდრეს სწორედ სავალდებულო წილის ინსტიტუტი იცავს.

ნებისმიერ შემთხვევაში, ბათილია ანდერძის განკარგულებები, რომლებიც ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ აკრძალვას, მაგალითად, როცა მემკვიდრეობითი დანაწესი მოითხოვს დანაშაულის ჩადენას ან როცა განკარგულებები შეუთავსებელია ზნეობის ნორმებთან.¹⁶⁶ ეს უკანასკნელი მხოლოდ ძალიან შეზღუდულ გამონაკლის შემთხვევებში გამოიყენება,¹⁶⁷ ანუ ანდერძის ბათილად ცნობა იმიტომ, რომ ის ზნეობის საწინააღმდეგოა, ხდება ძალიან იშვიათად. ასეთი საგამონაკლისო შემთხვევა სახეზე არ არის, როცა მართალია მოანდერძე თვითნებურად განსხვავებულად ეპყრობა მემკვიდრეებს, თუმცა ეს ემსახურება ანდერძის თავისუფლებით დაცულ მიზნებს, მაგალითად მისი ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგებას გარდაცვალების შემდეგ (მაგ. პიროვნულად ფორმირებულ საწარმოებში მონაწილეობასთან დაკავშირებულ საკითხებს).¹⁶⁸ სხვაგვარად შეიძლება შეფასდეს სიტუაცია მაშინ, როცა საბოლოო განკარგულება მიმართულია იქეთკენ და ობიექტურადაც იმგვარად მოქმედებს, რომ კონკრეტული პირი იმ ნიშნის გამო, რომელსაც დიფერენცირება ეყრდნობა, დამამცირებელ მდგომარეობაში აღმოჩნდეს და ღირსება შეელახოს.¹⁶⁹ ასეთ შემთხვევაში სახეზე უკვე აღარ გვაქვს სამართლებრივად დასაშვები და პირადი ავტონომიის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება, არამედ გადაწყვეტილება, რომელიც ადამიანის დამცირებისა და მისი ღირსების შელახვის ბოროტი მიზნით მიიღება. ასევე შეიძლება პრობლემური იყოს შემთხვევები, როდესაც ანდერძი უსაფუძვლოდ ზღუდავს ბენეფიციარის პირად, კონსტიტუციურად დაცულ თავისუფლებებს, მაგალითად ქორწინების თავისუფლებას ან ოჯახის დაგეგმვის უფლებას.¹⁷⁰

166 BVerfG, Stattgebender Kammerbeschluss vom 22. März 2004 - 1 BvR 2248/01 - FamRZ 2004, 765, Rn. 30 ff.; BGH, Beschluss vom 2. Dezember 1998 - IV ZB 19/97 - BGHZ 140, 118, Rn. 47.

167 BGH, Beschluss vom 2. Dezember 1998 - IV ZB 19/97 - BGHZ 140, 118, Rn. 47.

168 BGH, Beschluss vom 2. Dezember 1998 - IV ZB 19/97 - BGHZ 140, 118, Rn. 47.

169 BGH, Beschluss vom 2. Dezember 1998 - IV ZB 19/97 - BGHZ 140, 118, Rn. 47.

170 BVerfG, Stattgebender Kammerbeschluss vom 22. März 2004 - 1 BvR 2248/01 - FamRZ 2004, 765, Rn. 34 ff.

განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს ანდერძში ჩართული ისეთი პირობები, რომელთა მეშვეობითაც მოანდერძე ბენეფიციარის პირადი ავტონომიის სფეროს მიკუთვნებულ გადაწყვეტილებას აკავშირებს ქონებრივი უპირატესობის მიღებასთან და ამგვარად ცდილობს მის ქცევაზე გავლენის მოხდენას საკუთარი სურვილების შესაბამისად.¹⁷¹ თუმცა, როცა ასეთი პირობა არ იწვევს ღირსების შელახვას ან გადაჭარბებულ ზეწოლას პირად თავისუფლებაზე, მაშინ მისი ბათილობა ავტომატურად არ დგება, თუნდაც ეთიკურად სადავო იყოს.¹⁷² მაგალითად, საექვოა, უნდა ჩაითვალოს თუ არა მიუღებელ ზეწოლად ის, რომ მოანდერძე შვილიშვილების მემკვიდრეობას უკავშირებს წელიწადში მინიმუმ ექვსჯერ ვიზიტს,¹⁷³ რადგან ასეთ მოთხოვნაში, როგორც წესი, არ ჩანს დამამცირებელი ან არასათანადო ხასიათი. სამაგიეროდ, გაცილებით პრობლემურია პირობები, რომლებიც გავლენას ახდენს ქორწინების თავისუფლებაზე.¹⁷⁴ იმ შემთხვევაში, როცა ზნეობის საწინააღმდეგო დათქმა ეკონომიკურ სარგებელთანაა დაკავშირებული, ანუ როცა „კარგი ქცევა“ განაპირობებს მემკვიდრეობის მიღებას, მაშინ ანდერძის განმარტების პრინციპების საფუძველზე უნდა დადგინდეს, ხომ არ უნდა ჩაანაცვლოს ეს ზნეობის საწინააღმდეგო განკარგულება სხვა შინაარსის მქონე, სამართლებრივად მისაღებმა განკარგულებამ.¹⁷⁵

171 OLG München, Beschluss vom 9. August 2024 - 33 Wx 115/24 e - FamRZ 2024, 1905, Rn. 16.

172 შდრ. შემთხვევას, როცა მოანდერძე მემკვიდრის მემკვიდრეობიდან ჩამოშორებას კონკრეტულ პირთან დაქორწინების პირობას უკავშირებს: OLG München, Beschluss vom 9. August 2024 - 33 Wx 115/24 e - FamRZ 2024, 1905, Rn. 15 ff.

173 ასე მიიჩნია: ფრანკფურტის უმაღლესმა რეგიონულმა სასამართლომ, იხ. OLG Frankfurt, Beschluss vom 5. Februar 2019 - 20 W 98/18 - NJW-RR 2019, 394, Rn. 21 ff.

174 BVerfG, Stattgebender Kammerbeschluss vom 22. März 2004 - 1 BvR 2248/01 - FamRZ 2004, 765, Rn. 30 ff.; BGH, Beschluss vom 2. Dezember 1998 - IV ZB 19/97 - BGHZ 140, 118, Rn. 47; OLG München, Beschluss vom 23. September 2024 - 33 Wx 325/23 e - FamRZ 2025, 389, Rn 35 ff.

175 OLG München, Beschluss vom 23. September 2024 - 33 Wx 325/23 e - FamRZ 2025, 389, Rn 35 ff.; OLG Frankfurt, Beschluss vom 5. Februar 2019 - 20 W 98/18 - NJW-RR 2019, 394, Rn. 29.

5.3. ცალკეული საკითხები

5.3.1. განმარტება / კონვერსია

ზემოთ განხილული პრინციპებიდან გამომდინარეობს, რომ ანდერძის შინაარსის დადგენისას გამოიყენება როგორც კონვერსიის, ისე არასწორი დასახელების (*falsa demonstratio*) მიმართ მოქმედი ზოგადი კრიტერიუმები. თუმცა, ვინაიდან ანდერძით გაკეთებული განკარგულება არ წარმოადგენს მიღებასავალდებულო ნების გამოვლენას, მასზე არ ვრცელდება ის პრობლემატიკა, რაც დაკავშირებულია ორმხრივ გარიგებებში ნების ადრესატის მიერ ნების აღქმის შესაძლებლობასთან (ე.წ. „მიმღების ჰორიზონტი“).¹⁷⁶

განმარტების პრინციპებსა - რომელთა ქვეკატეგორიას *falsa demonstratio*-ს პრინციპიც წარმოადგენს - და კონვერსიას შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ განმარტება ადგენს მოანდერძის რეალურად არსებულ ან სავარაუდო ნებას (ბგბ, § 133 / სკ, მ.52), მაშინ როცა კონვერსია (ბგბ, § 140 / სკ, მ.60) რეალურად არსებული ნების მიხედვით ბათილ განცხადებას „გადააქცევს“ ისეთ განცხადებად, რომელსაც მოანდერძე სავარაუდოდ გააკეთებდა, ბათილობის შესახებ რომ სცოდნოდა. ამის წინაპირობაა, რომ ასეთი სავარაუდო ნების დადგენა შესაძლებელი იყოს.

როგორც შემავსებელი განმარტება, ისე კონვერსია ეფუძნება მოანდერძის სავარაუდო (ჰიპოთეტურ) ნებას. თუმცა, ისინი განსხვავდებიან იმით, რომ შემავსებელი განმარტების მიზანია ანდერძში არსებული შეუმჩნეველი ხარვეზების (დაუგეგმავი სიცარიელის) შევსება ან მოვლენათა მოულოდნელი განვითარების შემთხვევაში სავარაუდო ნების დადგენა, მაშინ როცა კონვერსიის დროს ნება უკვე არსებობს, თუმცა ეს ნება სამართლებრივად ნამდვილი ფორმით არ არის გამოხატული.

მაგალითად, განმარტების საკითხია, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული შემთხვევა, როცა მოანდერძე თავის შვილს „სახლის მემკვიდრედ“ ნიშნავს. ასეთ ვითარებაში რეალური ნება მიმართულია იმისკენ, რომ შვილი მემკვიდრეობის შედეგად სახლის მესაკუთრე გახდეს. ვინაიდან ცალკეულ სამკვიდრო ნივთზე „მემკვიდრედ“ დანიშვნა სამართლებრივად დაუშვებელია, განმარტების გზით უნდა დადგინდეს, რომელი სამართლებრივი მექანიზმით სურდა მოანდერძეს ამ მიზნის მიღწევა

176 Staudinger/Singer (2021) BGB § 133, Rn. 37.

(მაგალითად, მემკვიდრედ დანიშვნა, თუ სახლი ერთადერთი მნიშვნელოვანი სამკვიდრო აქტივია; საანდერძო დანაკისრი (ლეგატი); თუ სამკვიდროს გაყოფის განკარგულება, (როცა არსებობს რამდენიმე მემკვიდრე და მამკვიდრებელი თავად წყვეტს, რომელს რომელი ქონება დარჩეს). სხვაგვარადაა საქმე, როცა მოანდერძე თავის საყვარელ კატას ნიშნავს მემკვიდრედ. ასეთ შემთხვევაში მისი ნების განხორციელება - ანუ ის მიზანი, რომლის მიღწევაც მას სურდა - სამართლებრივად შეუძლებელია, რადგან კატა, სამართლებრივი ქმედუნარიანობის არარსებობის გამო, ვერ გახდება სამკვიდრო მასაში შემავალი ვერცერთი ნივთის მესაკუთრე. ასეთ სიტუაციაში განმარტება საანდერძო განკარგულების ნამდვილობის სასარგებლოდ (*wohlwollende Auslegung*)¹⁷⁷ (ბგბ, § 2084) გამოირიცხულია.¹⁷⁸

საკითხი იმის შესახებ შეიძლება თუ არა ბათილი ანდერძით განკარგულების შენარჩუნება გარდაქმნითი ფორმით, კონვენსიის კრიტერიუმების მიხედვით უნდა გადაწყდეს. ამისათვის აუცილებელია, რომ მოანდერძის სავარაუდო ნების შესაბამისად,¹⁷⁹ მის მიერ გამოხატული არანამდვილი ნების (რომლის არანამდვილობის შესახებაც მან არ იცოდა) ადგილი დაიკავოს ისეთმა განკარგულებამ, რომელიც სამართლებრივად დასაშვებია¹⁸⁰ და მიზნობრივად (თითქმის) იდენტურ შედეგს იძლევა (ე.წ. სამართლებრივი და ეკონომიკური კონგრუენტულობა).¹⁸¹ კონვენსიის მიზანი არ არის ფიქციის გზით ბათილი გარიგებისთვის ნამდვილობის ძალის მინიჭება იმ სამართლებრივი მოქმედების „შემდგომი შევსებით“,

177 აღნიშნული წარმოადგენს განმარტებას, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს და პატივს სცემს მოანდერძის ნებას.

178 Arnold in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 140 BGB, Rn. 3a.

179 BGH, Urteil vom 23. Februar 2022 - IV ZR 101/20 - NJW 2022, 1813, Rn. 23; Staudinger/Roth (2025) BGB § 140, Rn. 24.

180 BGH, Beschluss vom 3. November 2014 - IV ZR 230/14 - RuS 2015, 458, Rn. 11; BGH, Urteil vom 2. März 2004 - XI ZR 288/02 - NJW-RR 2004, 873, Rn. 13; Nassall in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 140 BGB (18.03.2025 მდგომარეობით), Rn. 10.

181 BGH, Urteil vom 23. Februar 2022 - IV ZR 101/20 - NJW 2022, 1813, Rn. 23; BGH, Beschluss vom 3. November 2014 - IV ZR 230/14 - RuS 2015, 458, Rn. 11 BGH, Urteil vom 10. Dezember 1997 - XII ZR 119/96 - NJW 1998, 896, Rn. 13; OLG Frankfurt, Urteil vom 16. Mai 2023 - 26 U 1/19 - Rn. 71 ff.; Staudinger/Roth (2025) BGB § 140, Rn. 21; Nassall in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 140 BGB (18.03.2025 მდგომარეობით), Rn. 10.

რომელიც თავდაპირველად აკლდა.¹⁸² თუმცა, (კონვენსიისათვის საჭირო) ასეთი კონგრუენტულობის მიღწევა „საყვარელი კატის“ მაგალითში თითქმის არასდროს არის შესაძლებელი (იგულისხმება შემთხვევა, როცა მოანდერძე თავის მემკვიდრედ კატას ასახელებს). მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება განიხილებოდეს კონვენსია იმგვარად, რომ მოქმედებაში მოვიდეს კანონით მემკვიდრეობა ან (როცა სამკვიდროს ღირებულება დაახლოებით შეესაბამება მოვლისთვის საჭირო ხარჯს¹⁸³) ადგილობრივი ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის¹⁸⁴ მემკვიდრედ დანიშვნა, იმ პირობით, რომ მას დაევალოს საყვარელი კატის სათანადო მოვლა.

სხვაგვარია ვითარება, როცა მოანდერძე მემკვიდრედ ცხოველს კი არ ნიშნავს, არამედ ფუნქციურად გამოხატავს სურვილს - „დაეხმაროს ცხოველებს“. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, ანდერძი ბათილად არ უნდა ჩაითვალოს მხოლოდ იმიტომ, რომ ბენეფიციარს (ცხოველი) სამართლებრივი ქმედუნარიანობა არ გააჩნია ან დარღვეულია განსაზღვრულობის პრინციპი. პირიქით, განმარტების გზით შესაძლებელია ისეთი სამართლებრივი სუბიექტის „მოძებნა“, რომლის ფუნქციაც მოიცავს მოანდერძის მიერ აღწერილი მიზნის განხორციელებას. მაგალითად, თუ მოანდერძე ადგენს, რომ მისი სამკვიდრო „ცხოველთა დაცვას“ უნდა მოხმარდეს, ეს, როგორც წესი, შეიძლება საანდერძო განკარგულების ნამდვილობის სასარგებლო განმარტების მეშვეობით ისე იქნეს გაგებული, რომ მემკვიდრედ ადგილობრივი ცხოველთა დაცვის ორგანიზაცია დაინიშნა.¹⁸⁵ იმ შემთხვევაში თუ მოანდერძეს ცხოველთა დაცვის სპეციალურ მიმართულებასთან განსაკუთრებული შინაგანი კავშირი

182 BGH, Urteil vom 24. März 2009 - XI ZR 191/08 - NJW-RR 2009, 979, Rn. 23.

183 თუკი მაგალითად, სამკვიდრო ქონების ღირებულებაა 2 მილიონი ევრო, ხოლო კატის მოვლა მხოლოდ 5 000 ევრო ჯდება, მაშინ მთელი სამკვიდრო ქონების ცხოველთა დაცვის ორგანიზაციისათვის გადაცემა უკვე რთულად დასასაბუთებელია. აქ უკვე რთულია იმის თქმა, რომ მოანდერძეს მთელი თავისი ქონების ცხოველთა დაცვის ორგანიზაციისათვის გადაცემა სურდა, რადგან სამკვიდრო მასის ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება კატის მოვლისათვის საჭირო ხარჯებს.

184 მაგალითად, როცა ამის შესახებ მიუთითებს მოანდერძის შესაბამისი განცხადებები და ქცევა.

185 OLG Oldenburg (Oldenburg), Beschluss vom 15. Dezember 1992 - 5 W 120/92 - MDR 1993, 546, Rn. 8 ff.

ჰქონდა, მაგალითად, თუკი იგი სიცოცხლეში მონაწილეობდა ქუჩის ძალების ვაქცინაციის პროცესში, სავარაუდოა, რომ იგი გულისხმობდა ისეთ ორგანიზაციას, რომელიც სწორედ ასეთ მიზანს ემსახურებოდა.

ასეთი ინტერპრეტაცია, ერთი შეხედვით, შესაძლოა გარკვეულწილად „კრეატიულად“ ჩანდეს. თუმცა, იგი ეფუძნება საანდერძო განკარგულების ნამდვილობის სასარგებლო განმარტების პრინციპს, რადგან მნიშვნელოვნად უფრო ახლოს დგას მოანდერძის რეალურ მიზანთან, ვიდრე კანონით მემკვიდრეობის ნებისმიერი ფორმა. ამგვარი მიდგომით არ ირღვევა არც ბგბ-ს § 2065 პარაგრაფის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც მემკვიდრის განსაზღვრა მესამე პირს არ შეიძლება დაევალოს. რამდენადაც სასამართლოები (მათ შორის საარბიტრაჟო სასამართლოებიც) ანდერძის განმარტების გზით ადგენენ მემკვიდრეს და ამ პროცესში გარკვეულ „შემოქმედებით ფუნქციას“ ასრულებენ, ისინი ბგბ-ს § 2065 პარაგრაფის გაგებით „მესამე პირებად“ არ მიიჩნევიან.¹⁸⁶

5.3.2. არანამდვილი ერთობლივი ანდერძის კონვერსია

თუ ერთობლივი ანდერძი არ აკმაყოფილებს მისთვის დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, მაგალითად იმიტომ, რომ მეორე მეუღლეს მასზე ხელი არ მოუწერია, იგი შესაძლოა გარდაიქმნას იმ მეუღლის ინდივიდუალურ ანდერძად, რომელმაც ხელნაწერი ტექსტი შეადგინა (არასოდეს - მეორე მეუღლის ანდერძად¹⁸⁷). ამის წინაპირობაა, რომ დაცული იყოს ინდივიდუალური ანდერძის ფორმა და ასეთი გარდაქმნა შეესაბამებოდეს მოანდერძის სავარაუდო ნებას.¹⁸⁸ შეესაბამება თუ არა მოანდერძის სავარაუდო ნებას გამოვლენილი ნების ცალმხრივ უკანასკნელ ნებად გარდაქმნა, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კონკრეტული შემთხვევის

186 OLG Braunschweig, Beschluss vom 20. März 2019 - 1 W 42/17 - NJW-RR 2019, 583, Rn. 33; Bayerisches Oberstes Landesgericht, Beschluss vom 23. Mai 2001 - 1Z BR 10/01 - FamRZ 2002, 200, Rn. 22; სრულყოფილად იხ. *Staudinger/Otte* (2019) BGB § 2065, Rn. 16 ff.

187 OLG Düsseldorf, Beschluss vom 26. Juli 1996 - 3 Wx 278/96 - FamRZ 1997, 518, Rn. 4 ff.

188 *Staudinger/Raff* (2022) BGB § 2265, Rn. 6 ff. mwN.; S. *Kappler/T. Kappler* in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 2265 BGB, Rn. 4 ff.; *Reymann* in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 2265 BGB (01.07.2023 მდგომარეობით), Rn. 14 ff.; vgl. auch BGH, Urteil vom 16. Juni 1987 - IVa ZR 74/86 - NJW-RR 1987, 1410, Rn. 7 ff.; OLG Braunschweig, Beschluss vom 21. April 2005 -- 2 W 225/04 - NJW-RR 2005, 1027, Rn. 13.

გარემოებებზე.¹⁸⁹ ასეთი ნება განსაკუთრებით მაშინ შეიძლება არსებობდეს, როცა საქმე ეხება მხოლოდ ცალმხრივ (არაურთიერთდამოკიდებულ) განკარგულებებს.¹⁹⁰ ურთიერთდამოკიდებული განკარგულებების შემთხვევაში - ანუ ისეთი უკანასკნელი ნების შემთხვევაში, რომელიც მეორე მეუღლის „კორესპონდირებული“ (საპასუხო, შემხვედრი) განკარგულების გარეშე არ გაკეთდებოდა (ბგბ, § 2270 II) - კონვენსია, ძირითადად შესაძლებელია.¹⁹¹ თუმცა, სავარაუდო ნების დადგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ კონვენსიის სურვილი გარკვეულ შინაგან კონფლიქტშია მეუღლეთა იმ ნებასთან, რომ მათ ერთობლივად და ურთიერთდამოკიდებულად განეკარგათ თავიანთი ქონება.¹⁹² ამიტომ, ავტომატურად ვერ ჩაითვლება, რომ თუკი მეორე მეუღლის ურთიერთდამოკიდებული განკარგულება არანამდვილია, პირველი მეუღლის განკარგულება დამოუკიდებლად მაინც უნდა დარჩეს ძალაში.¹⁹³

თუმცა სხვაგვარია ვითარება, როცა ერთობლივი ანდერძი შინაარსობრივად მხოლოდ მეუღლეთა ერთმანეთის ერთადერთ მემკვიდრედ დანიშვნას მოიცავს. ასეთი ურთიერთდანიშვნა, მართალია, ძირითადად ურთიერთდამოკიდებულ განკარგულებად ითვლება (ბგბ, § 2270 II), მაგრამ თუ ერთობლივი ანდერძი მხოლოდ მეორე მეუღლის მემკვიდრედ დანიშვნას ეხება, როგორც წესი, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მეუღლეებს შორის არსებულ ურთიერთნდობას. ეს ურთიერთნდობა სწორედ ერთობლივი ანდერძის შედგენის მცდელობაში ვლინდება და, როგორც წესი, არ არის დამოკიდებული იმაზე, არის თუ არა მეორე მეუღლის განკარგულება სამართლებრივად ძალამოსილი.¹⁹⁴ ამიტომ, კონვენსიისთვის, როგორც წესი, საკმარისია, რომ მეუღლეთა ურთიერთმემკვიდრედ დანიშვნა გარეგნულად გამოხატული - თუნდაც სამართლებრივად

189 შდრ. *Reymann* in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 2265 BGB (01.07.2023 მდგომარეობით), Rn. 21.

190 *S. Kappler/T. Kappler* in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 2265 BGB, Rn. 6.

191 BGH, Urteil vom 12. Januar 2011 - IV ZR 230/09 - NJW 2011, 1353, Rn. 16; OLG Stuttgart, Beschluss vom 27. Dezember 2018 - 8 W 241/17 - NJW-RR 2019, 715, Rn. 49 ff.

192 *Reymann* in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 2265 BGB (01.07.2023 მდგომარეობით), Rn. 21.

193 ამ მხრივ გერმანიაში სრულად ერთგვაროვანი მიდგომა არ არსებობს. შეჯამების სახით იხ. *Staudinger/Raff* (2022) BGB § 2265, Rn. 8 ff.

194 შდრ. მაგალითად, OLG München, Beschluss vom 23. April 2014 - 31 Wx 22/14 - NJW-RR 2014, 838, Rn. 7 ff.

არანამდვილი ფორმით - და რეალურად ნაგულისხმევი იყოს.¹⁹⁵ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ორი პირი რეალურად და აშკარად გამოხატავს ერთმანეთის მემკვიდრედ დანიშვნის ნებას, მაშინ, თუნდაც მათი საერთო ანდერძი იურიდიულად არანამდვილი აღმოჩნდეს, სასამართლოს შეუძლია კონვენსიის გზით მაინც შეინარჩუნოს მათი ეს ნება და დოკუმენტს სხვა მოქმედი სამართლებრივი ფორმის ეფექტი მიანიჭოს (მაგალითად, ინდივიდუალურ ანდერძებად ჩათვალოს).

იგივე პრინციპები მოქმედებს მაშინაც, როდესაც მეორე მეუღლე ანდერძუნაროა,¹⁹⁶ ან როცა დაუქორწინებელი პირები, მაგალითად პარტნიორები, ერთობლივ ანდერძს ადგენენ.¹⁹⁷ თუ ბათილი ერთობლივი ანდერძი ნოტარიულად არის დამოწმებული, შესაძლებელია (თუმცა, უფრო გამონაკლის შემთხვევებში) მისი გარდაქმნა სამემკვიდრეო ხელშეკრულებად.¹⁹⁸

5.3.3. მემკვიდრედ დანიშვნა სამკვიდრო ქონების ცალკეულ ნივთებზე

ბგბ-ს §§ 1922 და 1967 პარაგრაფებიდან გამომდინარეობს, რომ მემკვიდრე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მთელი სამკვიდროს ან სამკვიდროს წილის მიმართ, მაგრამ არა ცალკეული სამკვიდრო ნივთების მიმართ. აქედან წარმოიშობა გამიჯვნის პრობლემა იმასთან დაკავშირებით სახეზეა უბრალოდ ლეგატი თუ მემკვიდრედ დანიშვნა.

ბგბ-ს § 2087 II პარაგრაფის მიხედვით, კონკრეტული ნივთების ანდერძით გადაცემა ეჭვის შემთხვევაში ლეგატად ითვლება, მაშინაც კი, თუ მოანდერძე ბენეფიციარს „მემკვიდრეს“ უწოდებს. მიუხედავად ამისა, შესაძლოა მოანდერძის რეალურ ან სავარაუდო ნებას შეესაბამებოდეს, რომ ანდერძში ჩამოთვლილი ნივთებით სინამდვილეში მთელი თავისი ქონება გადასცეს კონკრეტულ პირს, ანუ იგი მემკვიდრედ დანიშნოს.¹⁹⁹

195 Staudinger/Raff (2022) BGB § 2265, Rn. 20.

196 OLG Düsseldorf, Beschluss vom 19. Februar 2016 - I-3 Wx 40/14 - FamRZ 2016, 1206, Rn. 22; OLG München, Beschluss vom 23. Juli 2014 - 31 Wx 204/14 - NJW-RR 2014, 1354, Rn. 16.

197 Bayerisches Oberstes Landesgericht, Beschluss vom 27. März 2001 - 1Z BR 130/00 - FamRZ 2001, 1563, Rn. 11 ff.

198 Staudinger/Raff (2022) BGB § 2265, Rn. 24.

199 BGH, Urteil vom 22. März 1972 - IV ZR 134/70 - WM 1972, 780, Rn. 40.

ეს განსაკუთრებით მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, როცა მოანდერძე ბენეფიციარს გადასცემს იმ ნივთებს სამკვიდრო ქონებიდან, რომლებიც მისი წარმოდგენით მთავარ ან თითქმის მთელ ქონებას შეადგენს.

მსგავსი განცხადებები საანდერძო განკარგულების ნამდვილობის სასარგებლო განმარტების (*wohlwollende Auslegung*) პრინციპით უნდა განიმარტოს. მაგალითად, თუ მოანდერძის ფაქტობრივად ერთადერთი მნიშვნელოვანი ქონებაა მინის ნაკვეთი საცხოვრებელი სახლით, ავეჯითა და საოჯახო ნივთებით, და იგი წერს, რომ მისმა მეზობელმა X-მა „სახლი უნდა მიიღოს“, ეჭვის შემთხვევაში ეს მოიცავს არა მხოლოდ უძრავ ქონებას, არამედ ინვენტარსა და საოჯახო ნივთებსაც, ანუ პრაქტიკულად მთელ ქონებას. სასამართლო პრაქტიკაში ამგვარი მიდგომის საფუძველს ძირითადად შემდეგი მოსაზრებები წარმოადგენს:

თუ ასეთი ანდერძი ლეგატად იქნებოდა გაგებული, მაშინ სამკვიდრო ქონება გაუნაწილებელი დარჩებოდა; შედეგად კი მივიღებდით „ნაწილობრივ ანდერძს“, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად თითქმის მთელი ქონება უკვე განაწილებულია. ასეთ შემთხვევაში მემკვიდრეობა გადავიდოდა კანონისმიერ მემკვიდრეებზე. კანონისმიერი მემკვიდრე იქნებოდა უნივერსალური სამართალმემკვიდრე, მაგრამ პრაქტიკულად მიიღებდა მხოლოდ „ცარიელ სამართლებრივ გარსს“. მას ექნებოდა მხოლოდ „შრომა და საზრუნავი“ (მოვალეობები და ტვირთი), მაგრამ უნივერსალური სამართალმემკვიდრეობიდან ეკონომიკურ სარგებელს თითქმის ვერაფერს მიიღებდა.²⁰⁰ მაგალითად, თუკი მოანდერძე ანდერძით მთელ თავის ქონებას (რომელიც ფაქტობრივად მხოლოდ მინის ნაკვეთი და მასზე აღმართული შენობა-ნაგებობაა), უტოვებს პირს, რომელსაც ჩავთვლით ლეგატარად, მაშინ გამოდის რომ ის იღებს მხოლოდ უფლებას, ხოლო მოანდერძის კანონისმიერი მემკვიდრე კი ქონებრივი აქტივის გარეშე რჩება და ეკისრება მხოლოდ ვალდებულებები - სამკვიდროს გამოვლენა და დაცვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ვალდებულებები, საჯარო-სამართლებრივი ვალდებულებები და ა.შ. ასეთ ვითარებაში, როგორც წესი, ადვოკატის რჩევა იქნებოდა, რომ კანონისმიერმა მემკვიდრეებმა ერთმანეთის მიყოლებით უარი თქვან მემკვიდრეობის მიღებაზე. ასეთი შედეგი, როგორც წესი, არ შეესაბამება მოანდერძის ნებას. ამიტომ სასამართლო პრაქტიკა მიიჩნევს, რომ პრინციპულად, მემკვიდრედ დანიშვნა არის ნავარაუდევია, როცა მოანდერძე

200 წარმოდგენის გამარტივების მიზნით, სავალდებულო წილის თემატიკასთან დაკავშირებული საკითხები აქ შეგნებულად გამოტოვებულია, თუმცა ეს გარემოება ეკონომიკურ შედეგებზე გავლენას არ ახდენს.

თავის პრაქტიკულად მთელ ქონებას გადასცემს იმ პირს, რომელსაც თავად ლეგატარს უნოდებს, ან რამდენიმე ბენეფიციარს ერთობლივად.

თუმცა, თუ ქონების განაწილება უკიდურესად დანაწევრებულია (მაგალითად, 60-ზე მეტ პირზე სხვადასხვა წილებით კონკრეტული ნივთების განაწილება), ეჭვის შემთხვევაში ძალაში რჩება კანონით დადგენილი ვარაუდი, რომ მემკვიდრედ დანიშვნა არ ყოფილა განზრახული.²⁰¹ ანუ, ასეთ დროს ივარაუდება, რომ ეს პირები ლეგატარები უფრო არიან, ვიდრე მემკვიდრეები. ასეთი გამონაკლისი შემთხვევებისთვის უნივერსალური განმარტებითი კრიტერიუმების ჩამოყალიბება შეუძლებელია.

თუ ანდერძის ინტერპრეტაციის შედეგად მივაღწიოთ იმ დასკვნამდე, რომ ის პირები, ვისაც ქონება ეანდერძათ, სინამდვილეში მემკვიდრეები არიან და არა მხოლოდ ლეგატარები, მაშინ დღის წესრიგში დგება წილების გამოთვლის საჭიროება. შესაბამისად, თუკი რამდენიმე ბენეფიციარი არსებობს, საეჭვოობისას, მათი სამემკვიდრეო წილი განისაზღვრება მათთვის განკუთვნილი ნივთების ღირებულების პროპორციულად.²⁰² შემდგომი ქონებრივი ცვლილებები ამ წილებს აღარ ცვლის.²⁰³

ანდერძის ინტერპრეტაცია ხდება მისი შედგენის დროის მიხედვით და არა მოგვიანებით შეცვლილი ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით. შესაბამისად, შემდგომი ქონებრივი ცვლილებები მემკვიდრეთა წილებს არ ცვლის.²⁰⁴ სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ამ მიდგომის შედეგად, მოულოდნელი ქონებრივი ზრდა ან კონკრეტული ნივთის ღირებულების მკვეთრი მატება შეიძლება ავტომატურად გადავიდეს იმ პირებზე, რომლებიც ანდერძში კონკლუდენტურად მემკვიდრეებად არიან დანიშნულები.

201 BGH, Urteil vom 19. Januar 2000 - IV ZR 157/98 - ZEV 2000, 195, Rn. 11.

202 OLG Frankfurt, Beschluss vom 11. Januar 2025 - 20 W 169/23 - ErbR 2026, 232, Rn. 69; OLG Karlsruhe, Urteil vom 16. Dezember 2022 - 14 U 49/21 - ErbR 2023, 881, Rn. 49; OLG München, Beschluss vom 21. Mai 2007 - 31 Wx 120/06 - FamRZ 2008, 187, Rn. 13; შდრ. ზოგადად, სამკვიდრო წილების ქონების ცალკეული ჯგუფების ღირებულების საფუძველზე განსაზღვრის პრობლემასთან დაკავშირებით: BGH, Urteil vom 16. Oktober 1996 - IV ZR 349/95 -, NJW 1997, 392, Rn. 15. თუ მოანდერძეს თავად აქვს მითითებული ქონებრივი ობიექტების ღირებულება, მაშინ უპირატესობა სწორედ ამ შეფასებას უნდა მიენიჭოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, მხედველობაში მიიღება ანდერძის შედგენის დროისათვის არსებული ობიექტური ღირებულებითი თანაფარდობები. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული გაურკვევლობები მაინც არსებობს.

203 BGH, Urteil vom 16. Oktober 1996 - IV ZR 349/95 - NJW 1997, 392, Rn. 12.

204 BGH, Urteil vom 16. Oktober 1996 - IV ZR 349/95 - NJW 1997, 392, Rn. 15.

6. დასკვნა

საბოლოოდ, ზემოთ განხილული საკითხები კიდევ ერთხელ კარგად აჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ანდერძში მკაფიო და არაწინააღმდეგობრივი განკარგულებების არსებობა. ეს უპირველესად მოანდერძის უკანასკნელი ნების ეფექტიან დაცულობას უზრუნველყოფს, ხოლო საბოლოოდ კი, ზოგადად, მემკვიდრეობითი ურთიერთობების სტაბილურობისა და სამართლებრივი განსაზღვრულობის გარანტიაა. ანდერძის ბუნდოვანი ნაწილები წარმოშობენ ანდერძის განმარტების საჭიროებას, რასაც თავისი საზღვრები აქვს. განმარტების პროცესში სასამართლოს ფუნქცია მოანდერძის ნების დადგენაა და არა ახალი ნების შექმნა. ერთ-ერთ საქმეში საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს: „ანდერძის შედგენა არსებითად ეხება არამარტო მოანდერძის, არამედ მასთან დაკავშირებული სხვა პირების მნიშვნელოვან ინტერესებსაც. ანდერძის ცენტრალური მიზანია მემკვიდრის (მემკვიდრეების) დანიშვნა. მოანდერძე დაინტერესებულია იმით, რომ ანდერძის აღსრულების დროს არ მოხდეს მისი ნების შეცვლა და სამკვიდრო ქონების ბედი განისაზღვროს ისე, როგორც მას სურდა. თავის მხრივ, მემკვიდრეები არამარტო მატერიალური, არამედ ზნეობრივ-ეთიკური და თუნდაც სამართლებრივი მოსაზრებებით, დაინტერესებული უნდა იყვნენ მოანდერძის უკანასკნელი ნების მართლზომიერად განხორციელებით. სწორედ ამისთვისაა აუცილებელი სამკვიდროს დამტოვებლის ნების მკვეთრად, გასაგებად და არაორაზროვნად გამოხატვა ანდერძში. ხაზგასასმელია, რომ ანდერძთან მიმართებით გარიგების ფორმის საკითხს ანდერძის ნამდვილობასთან ერთად, მტკიცების გაიოლების მნიშვნელობაც გააჩნია.“²⁰⁵ ამდენად, რაც უფრო ნათლად არის ჩამოყალიბებული საანდერძო განკარგულება, მით უფრო მეტია იმის ალბათობა, რომ სამკვიდრო ქონება სწორედ ისე განაწილდება, როგორც ეს თავად მოანდერძეს ჰქონდა განზრახული.

205 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2025 წლის 28 მარტის #ას-1393-2024 განჩინება.

Formerfordernisse und Auslegung bei Testamenten im georgischen und deutschen Recht

1. Einleitung

Das georgische Erbrecht definiert das Testament nicht ausdrücklich. Jedoch steht außer Zweifel, dass die Errichtung eines Testaments eine der höchsten Ausprägungen der Privatautonomie und der Testierfreiheit einer Person darstellt. Durch das Testament verteilt der Erblasser seinen Nachlass nach eigenem Ermessen und bestimmt frei den Kreis der Erben und sonstigen Begünstigten. Er kann auch Personen umfassen, die weder familiär noch verwandt mit dem Erblasser verbunden sind.

Das Testament ist eine einseitige, nicht empfangsbedürftige Willenserklärung,¹ die vom Erblasser grundsätzlich jederzeit widerrufen werden kann. Die Besonderheit einer testamentarischen Verfügung liegt darin, dass die im Testament angeordneten Rechtsfolgen erst mit dem Tod des Erblassers eintreten.² Gerade deshalb kommt im Zusammenhang mit dem Testament sowohl der strikten Einhaltung der Formvorschriften als auch der Ermittlung des wirklichen (tatsächlichen) Willens des Erblassers besondere Bedeutung zu.

Die Testamentsauslegung ist von besonderer praktischer Relevanz, da vor allem unklare, unvollständige oder widersprüchliche Anordnungen im Testament einer Auslegung sowie der Feststellung des wirklichen Willens des Erblassers bedürfen. In diesem Zusammenhang genügt häufig nicht das rein wörtliche Verständnis des

1 Das Testament ist deshalb ab dem Zeitpunkt seiner Errichtung, also ab dem Zeitpunkt der Abgabe der Willenserklärung, wirksam, und es ist unerheblich, ob die Erben den im Testament zum Ausdruck gebrachten Willen annehmen oder nicht. Vgl. *Chanturia*, Kommentar zum Zivilgesetzbuch, Buch I, 2017, S. 295, Rn. 2. Gegen das Aufdrängen einer von ihm nicht gewollten Rechtsstellung ist der Begünstigte durch die gesetzlichen Regelungen zur Ausschlagung geschützt.

2 Beschluss des Obersten Gerichtshofs Georgiens vom 28. März 2025, Nr. as-1393-2014.

Testamentstextes; vielmehr ist es erforderlich, auch zusätzliche außerhalb des Textes liegende Umstände zu berücksichtigen, die eine zutreffende Ermittlung des Erblasserwillens ermöglichen.

In der georgischen zivilrechtlichen Doktrin stellt die Testamentsauslegung bis heute einen der am wenigsten entwickelten Bereiche dar. Der vorliegende Beitrag zielt daher darauf ab, diese dogmatische Lücke teilweise zu schließen und sowohl die weitere Entwicklung der wissenschaftlichen Diskussion als auch eine einheitlichere Rechtsprechung zu fördern. Für die Erreichung dieses Ziels kommt dem deutschen Recht eine besondere Bedeutung zu, da es (bei einer meist identischen Rechtslage) über ein breiteres Spektrum an gerichtlichen Entscheidungen und an wissenschaftlichen Ausarbeitungen verfügt.

Im Hauptteil werden das georgische und das deutsche Recht hinsichtlich der Errichtung von Testamenten, ihrer Formen sowie der Auslegung des in ihnen zum Ausdruck gebrachten letzten Willens vergleichend betrachtet. Die teilweise unterschiedlichen formalen Anforderungen an die Wirksamkeit eines Testaments werden dabei berücksichtigt. Die vorliegende Ausarbeitung befasst sich schwerpunktmäßig mit jenen Fragen, in denen die gesetzlichen Bestimmungen in Georgien und in Deutschland vergleichbar sind und bei denen daher mit einer rechtsvergleichenden Betrachtung auch Anregungen für die Auslegung des jeweiligen nationalen Rechts gewonnen werden können.

2. Arten des Testaments

2.1. Öffentlich beurkundetes Testament

Das sog. öffentliche Testament ist im deutschen Recht in § 2232 BGB geregelt. Ein solches Testament wird im Regelfall auf der Grundlage der persönlichen Erklärung des Erblassers vor dem Notar errichtet.³ Das öffentliche Testament wird bei dem bei der Bundesnotarkammer geführten Zentralen Testamentsregister⁴ registriert und beim Amtsgericht (Nachlassgericht) hinterlegt.

